თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დალი ნადიბაიძე

სიკეთე და მშვენიერება წმიდა მამათა თხზულებების მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

10.01.04-ბიზანტინისტიკა-ნეოელინისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ვალერი ასათიანი

თბილისი
2005

სარჩევი

წინათქმა.

I თავი

სიკეთე და მშვენიერება შესაქმის წიგნის წმიდა მამათა კომენტარების მიხედვით (ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნა).

II თავი

სამოთხიდან განდევნიდან ქრისტეს განკაცებამდე.

III თავი

სიკეთე და მშვენიერება ქრისტეს განკაცების შემდგომ.

ბოლოთქმა.

სიკეთე და მშვენიერება წმიდა მამათა თხზულებების მიხედვით

წ ი ნ ა თ ქ მ ა

სიკეთისა და მშვენიერების რაობა კაცობრიობის არსებობის მანძილზე ყველა კულტურული ერის ინტერესს იწვევდა. ეს ბუნებრივია, რადგან კაცობრიობის ისტორია და, საერთოდ, სამყაროს არსებობა სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია. ორი ძალის დაპირისპირების ასპარეზია დედამიწა. ყველა მეცნიერება თავისი კვლევის საგნით სიკეთისა ან ბოროტების განხორციელებას ემსახურება. არსებითი ისაა, ვისთვის რა არის სიკეთე და მშვენიერება, რა თვალთახედვითაა ეს ფენომენები დანახული. როგორც წამალი გარკვეული დოზით საჭიროა ავადმყოფისთვის, ზედმეტი კი შესაძლოა მომაკვდინებელი იყოს, ჯანმრთელს კი სრულიადაც არ სჭირდება, ისე ნებისმიერი ქმედება სხვადასხვა ადამიანისთვის შესაძლოა სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს. ამიტომ მთავარია ის, თუ რა მიიჩნევა ამა თუ იმ საზოგადოებაში კრიტერიუმად, ვისგან და როგორ უნდა შეფასდეს რა არის კეთილი და მშვენიერი.

ძველი ბერძნული ფილოსოფია ადამიანის გონების პრიმატს აღიარებდა, ადამიანი წყვეტდა სად გადიოდა ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ როგორც თავად აღიარებდნენ, ადამიანი მოკვდავი და არასრულყოფილი არსებაა და, შესაბამისად, მათი აზრებიც ცვალებადი იყო, ხან ემთხვეოდა ერთმანეთს და ხან – არა. ღმერთები კი, როგორც ისინი ოლიმპოს მკვიდრთ – მითოლოგიურ პერსონაჟებს უწოდებდნენ,

მათთვის არ იყო სრულყოფილი მშვენიერებისა და სიკეთის წყარო და ბოროტებისგან სრულიად განშორებული, როგორც ქრისტიანული აზროვნებისთვის არის ღმერთი – წმიდა სამება – ყოვლადწმიდა, ყოვლადკეთილი, მარადის მყოფი და მთელი ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი.

პლატონის "ნადიმში" სოკრატე ეკითხება აგათონს: "კეთილი, შენის აზრით, მშვენიერია თუ არა? – რა თქმა უნდა მშვენიერია. – მაგრამ თუ ეროსს არ გააჩნია მშვენიერება, კეთილი კი მშვენიერია, მაშინ არც სიკეთე უნდა გააჩნდეს მას."[1] შემდეგ კი დიოტიმასთან კამათს ჰყვება სოკრატე: "განა შეიძლება მშვენიერებასთან წილნაყარი არ იყოს ღმერთი? – როგორც ჩანს, არა. – ახლა ხომ ხედავ,– მითხრა,– თვითონაც რომ არ მიგაჩნია ეროსი ღმერთად."[2]

ლოსევი პლატონის ესთეტიკის კვლევისას წერს:"პლატონისთვის იდეალი... არის სხვა არაფერი, თუ არა ბერძნების ღმერთები. მაგრამ ეგრეთწოდებული პლატონისეული იდეა არის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოვლენა ესთეტიკური პრინციპისა".[3] სავლე წერეთელი წერს "ნადიმის" მაგალითზე: პლატონის "აზრით, მშვენიერი საგნების, მშვენიერი ცხოვრებისა და მშვენიერი ცოდნისაგან განსხვავდება მშვენიერება თავისთავად, მშვენიერების იდეა. მშვენიერება თავისთავად არსებობს მარადიულად, ის არც წარმოიშობა, არც ისპობა, არც იკლებს. ის არ შეიძლება იყოს აქ მშვენიერი და იქ არამშვენიერი... ის არ არის

[1] პლატონი, ნადიმი, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1964, 49.
[2] იქვე, 51.
[3] А. Ф. Лосев, История античной эстетики, Софисты, сократ, Платон, Искусство, Москва, 166.

მშვენიერი ერთი მიმართებით და არამშვენიერი მეორე მიმართებით. ის არცერთ საგანში არ შეიძლება არსებობდეს. მშვენიერება თავისთავად აბსოლუტურად ერთნაირია თავისი თავისადმი. მშვენიერი საგნები, რომლებიც წარმოიშობიან და ისპობიან, მშვენიერნი არიან მშვენიერების იდეასთან ზიარების გამო."[4]

არისტოტელეს აზრით, "ბოროტება მრავალსახოვანია, სიკეთე კი ცალსახოვანი: ჯანმრთელობა, მაგალითად, მარტივია, ხოლო ავადმყოფობა მრავალგვარია",[5] მანამდე კი აღნიშნავს, რომ "სათნოების მიზანია – მშვენიერება (to; kalo;n)"[6].

როგორც ვხედავთ ანტიკურ აზროვნებაში არის ძიება სიკეთისა და მშვენიერების არსის წვდომისა, რაც უფრო მოწესრიგებულ სახეს არისტოტელეს ფილოსოფიაში ღებულობს, როგორც ამას ა.ლოსევიც აღნიშნავს[7], თუმცა პლატონმა აღნიშნული საკითხის კვლევას არაერთი დიალოგი მიუძღვნა.

ვლ. ლოსკი წერს: "ანტიკურმა ფილოსოფიამ არ იცოდა "შესაქმე" ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით. პლატონის დემიურგი – არ არის ღმერთი – შემოქმედი. ის უფრო არის სამყაროს მომწყობი, მხატვარი, "კოსმოსის" ხელოვანი, კოსმოსი" კი აღნიშნავს წესრიგს, მორთულობას. "ყოფნა" ელინური აზროვნებისათვის ნიშნავდა ყოფნას გარკვეულ წესრიგში, რაღაც არსებობის ფლობას. დემიურგი ქმნის სუბსტანციებს, "აფორმებს" ამორფულ მატერიას, რომელიც მარადიულად არსებობს

[4] სავლე წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1968, 359-360.
[5] Аристотель, Большая этика, Сочинения в четырех томах, т.4, "Мысль", Москва, 1984,316, 1190a 34 .
[6] იქვე, 321, 1192a12.
[7] А.Ф.Лосов, История античной эстеттики, Аристотель и поздняя классика, Искусство, Москва, 1975.355.

გარეშე, როგორც რაღაც ქაოტური და განუსაზღვრელი სფერო, რომელსაც შეუძლია მიიღოს ყველა შესაძლო ფორმა და შესაძლო ხარისხი. ამრიგად, მატერია თავისთავად არის არა ყოფიერება, არამედ მხოლოდ წმინდა შესაძლებლობა ყოფიერებისა, შესაძლებლობა რაღაცად ქცევისა; ეს "არ-არსებობა" mh; o[n, არ არის სრული არარსებობა oujk o[n. "არაფრისგან" შექმნის იდეა პირველად გაცხადდა ბიბლიაში (2 მაკ. 7,28)".[8]

როგორია ბიბლიაში აღიარებული ღმერთი წმიდა მამათა კომენტარებით, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ წმ.იოანე დამასკელის სიტყვებს: "გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა, ერთისა დასაბამისა დაუსაბამოჲსა, აუგებელისა, უშობელისა, წარუვალისა და დაუსრულებელისა, საუკუნოჲსა, მიუწდომელისა და გარეშეუწერელისა, უსაზღვროჲსა, უზომოჲსა ძალითა, მარტივისა, შეუზავებელისა, უჴორცოჲსა, არა-წარმდინარისა, უვნებელისა, უქცეველისა, უცვალებელისა, უსაზღვროჲსა, რომელი-იგი წყაროჲ არს სახიერებისა და სიმართლისაჲ, ნათელი საცნაური, შეუხებელი ძალი, არცა ერთითა საზომითა ცნობილი, ხოლო მხოლოდ თჳსითა ოდენ განზრახვითა განზომილი; რამეთუ ყოველი, რაოდენი ჰნებავს, ძალ-უც, და არს შემოქმედ ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა და უხილავთა, შემომკრებელ და შემცველ ყოველთა, წინაგანმგებელ ყოველთა, ყოველთა მპყრობელ და მთავარ და მეუფე დაუსრულებელითა და უკუდავითა მეუფებითა, რომელსა არა ერთი რაჲ აქუს წინააღმდგომი, ყოველსავე აღავსებს და იგი არცა ერთისა რაჲსაგან შეიცვის, არამედ უფროჲსღა ყოველნივე უპყრიან და შეუცვან,

[8] В. Н. Лосский. Очерк мистического богословия восточной церкви, Догматическое богословие, "СЭИ", Москва 1991, 70-71.

და იპყრობს და ჰმართებს. უხრწნელად ყოველთა არსებათა შეეზავების და მათ ყოველთაგან შეუზავებელ არს და ყოველსავე არსებასა თანა წარჴდების, ვითარცა ზეშთა არსებისაჲ და ვითარცა უმა[ღ]ლესი არსთაჲ: ზეშთა ღმერთთაჲ, ზეშთა სახიერი, ზეშთა სავსებისაჲ, განმყოფელი ყოველთავე მთავრობათა და წესთა და ყოვლისავე მთავრობისა და წესისა ზეშთა აღმაღლებული, ზეშთა არსებისა და ცხორებისა და სიტყჳსა და მოგონებისაჲ, თჳთ ნათელ, თჳთ-ცხორება, ვითარმცა არა სხჳსა შორის აქუნდა ყოფაჲ, არცა ერთისა რაჲს რაოდენთაგანისა, რამეთუ თჳთ წყაროჲ არს არსთა ყოფისაჲ და ცხოველთა ცხორებისაჲ და სიტყუა მიმღებელთა სიტყჳსათა, ყოველთავე მიზეზ ყოვლისა კეთილისა და ყოველსავე მეცნიერ მათსა პირველ შობადმდე მათდა. ერთ-არსება, ერთ-ღმრთეება, ერთ-ძალ, ერთ-ნება, ერთ-მოქმედება, ერთ-ჴელმწიფება, ერთ-უფლება, ერთ-მეუფება სამითა სრულითა გუამითა ცნობილ და თაყუანისცემულ, ერთითა თაყუანისცემითა რწმუნებულ და მსახურებულ ყოვლისაგანვე სიტყჳერისა აგებულებისა, შეურევნელად შეერთებულ და განუყოფელად განყოფილ, რომელი-ესე უსაკველეს არს, მამად და ძედ და სულად წმიდად, რომელთა მიმართ ნათელ-გჳღებიეს".[9]

რა არის სიკეთე და მშვენიერება, რისგან თუ ვისგან მომდინარეობს ის – ეს საკითხები მუდამ აქტუალური იყო, არის და იქნება, სანამ კაცობრიობა იარსებებს და იაზროვნებს, რადგან ყოველ ნორმალურ ერს აქვს სწრაფვა სიკეთისა და მშვენიერებისაკენ. მას იკვლევდნენ ძველ აღმოსავლეთშიც, აღორძინების ეპოქაშიც (ჩენინო ჩენინი, ლეონარდო და

[9] წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000, 45-46, 40vI I, 41rI.

ვინჩი), გერმანელი ჰუმანისტები და ფრანგი განმანათლებლები. თანამედროვე საქართველოში ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებს განიხილავდნენ თავის შრომებში შ.ნუცუბიძე, ს.წერეთელი, ნ.ჭავჭავაძე, არსებობს ძალიან საინტერესო გამოკვლევა "რუსთაველის ესთეტიკა", გ.ნადირაძის ავტორობით. მრავალი მშვენიერი ნაშრომი იწერებოდა და იწერება დღესაც ამ მიმართულებით.

წმ.მამათა შრომებში როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ლიტერატურაში, აღმოსავლეთის ეკლესიაში და დასავლეთშიც (აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა გაყოფამდე), სიკეთე და მშვენიერება ეთიკისა და ესთეტიკის კი არა, ღვთისმეტყველების სფეროა. საერო აზროვნებაში ფილოსოფოსებთან, მხატვრებთან, ლიტერატორებთან ღმერთი და ადამიანი ადამიანის თვალთახედვითაა დანახული და ადამიანური გონებით ცდილობენ განჭვრიტონ ამა თუ იმ მოვლენის თუ საკითხის არსი. წმიდა მამებისთვის აზროვნება და ყოველგვარი მოვლენის, მათ შორის სიკეთისა და მშვენიერების, აღქმა ღვთისმეტყველებაა. ისინი ღვთაებრივი თვალთახედვით აღიქვამენ ღმერთსაც და სამყაროსაც. მათი ნაშრომები წმ.წერილსა და საღმრთო გამოცხადებაზეა დაფუძნებული და ეკლესიაც კანონიკურად თვლის იმ ნაშრომებს, რომელიც შესაბამისობაშია დოგმატურ ღვთისმეტყველებასთან.

ჩვენი კვლევის საგანია "სიკეთე და მშვენიერება წმ.მამათა შრომების მიხედვით". ეს ძალიან სერიოზული და საინტერესო საკითხია, ვფიქრობ, განსაკუთრებით დღეს, როდესაც XX საუკუნის ათეიზმით დაღლილი მსოფლიო ღმერთს უბრუნდება.

ჩვენ შევისწავლეთ წმ.მამათა შრომები და კრიტიკული ლიტერატურა, რომელიც ეძღვნებოდა სიკეთისა და მშვენიერების თემატიკას წმ. მამებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოლოგიური გამოკვლევები უფრო ცალკეული ავტორის თვალსაზრისს შეისწავლის ამ საკითხზე. ჩვენს ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ფრ. რიშის, პ.ბუტენეფის მეცნიერული დასკვნები გრიგოლ ნოსელისეულ განმარტებაზე სიკეთისა და მშვენიერების შესახებ. ქართველ მეცნიერთგან თ.დოლიძე იკვლევს ნოსელის შემოქმედებას და ჩვენს ერთ სტატიაში დავიმოწმეთ მისი ნაშრომი, გ.კოპლატაძეს აქვს სტატია ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართების შესახებ ბასილი დიდის მოძღვრებაში. მე ბევრი ვეძიე, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი ეს საკითხები ზოგადად წმ.მამათა შემოქმედებაში, არ გამოკვლეულა. ძალიან დამეხმარა თემაზე მუშაობისას თანამედროვე ღვთისმეტყველების ნაშრომები, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების ლოსკის, მეიენდორფის, ფლოროვსკის, ბლუმის და სხვა ამერიკელი, ბერძენი, დასავლეთევროპელი და რუსული ემიგრანტული სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები. ძირითადად დავეყრდენი ორიგინალურ ბერძნულ-ლათინურ წყაროებსა და ძველ ქართულ თარგმანებს, რადგან ხშირად ძველი ქართული ხელნაწერი ორიგინალზე მეტი ღირებულებისაა, რადგან უფრო ძველი ხელნაწერის სახით არის შემონახული.

მთელი პატროლოგია არის ღვთის დიდება, მოძღვრება ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის შესახებ, განმარტება იმ მიზეზებისა, რამაც უკვდავად შექმნილი ადამიანის სიკვდილით დასჯა და სამოთხის

დაკარგვა გამოიწვია, როგორ დააბრუნა ღმერთმა ადამიანი სასუფეველში ძე ღმერთის განკაცებით და რა გზა უჩვენა ქრისტემ კაცობრიობას ღმერთთან დასამკვიდრებლად, რისთვისაც მოწოდებულია ადამიანი. პატროლოგიის ყველა სფერო (ეგზეგეტიკა, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა, აგიოგრაფია, დოგმატიკა) არის ამ საკითხების კომენტირება, წმინდანთა ცხოვრებაც არის მიბაძვა ქრისტესადმი. პატროლოგიისთვის საფუძველი და წყარო არის ბიბლია, ამიტომ გადავწყვიტე ჩემთვის საინტერესო საკითხები გამომეკვლია უმნიშვნელოვანესი ბიბლიური მოვლენების კომენტარების ფონზე ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნიდან ქრისტეს აღდგომამდე, როდესაც ღმერთის სისხლით მოხდა ადამიანის გამოხსნა და ადამიანს დაუბრუნდა ხატისმიერი მშვენიერება და სიკეთე.

თემის წერისას თავებად დაყოფა თემატურად მოვახდინეთ: I თავში განხილულია ღმერთის მიერ ნივთიერი სამყაროსა და ადამიანის შექმნის ექვსი დღის კომენტარები, როდესაც ღმერთმა სრულყოფილი მშვენიერებითა და სიკეთით სავსე შექმნა ადამიანი და დედამიწა; აგრეთვე VII დღე, რომელიც წარმოდგენილია ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომით. II თავში განხილულია კომენტარები სამოთხიდან განდევნიდან ქრისტეს განკაცებამდე, როდესაც ადამიანის ცოდვით დაცემამ სიკეთე და მშვენიერება, ღვთის მადლი დაუკარგა ადამიანს; III თავში განხილულია კომენტარები ახალი აღთქმისა, როდესაც ქრისტეს მიერ მოხდა ნივთიერი სამყაროსა და ადამიანის გამოხსნა და ღვთაებრივი სიკეთე და მშვენიერება დაბრუნდა დედამიწაზე.

I თავი

სიკეთე და მშვენიერება „შესაქმის" წიგნის წმ. მამათა კომენტარების მიხედვით (ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნა)

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ არა მთლიანად "დაბადების" ანუ შესაქმის წიგნის კომენტარებს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ღმერთის მიერ ნივთიერი სამყაროსა და ადამიანის შექმნას ეხება. როდესაც ვამბობთ, რომ ვისაუბრებთ სიკეთისა და მშვენიერების შესახებ, არ ვგულისხმობთ ტექსტის ტერმინოლოგიურ ანალიზს, რადგან ეს საკითხები ძირითადად ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულებით არის გაშლილი ტექსტში და თავად სიკეთისა და მშვენიერების გაგებაც მონათესავეა, თუმცა ზოგჯერ უპირისპირებს ბასილი დიდი გარეგნულ სილამაზესა და სიკეთეს ერთმანეთს. ჩვენი მიზანია სიკეთისა და მშვენიერების არსის წარმოჩენა, როგორც ამას წმიდა მამები განიხილავენ შესაქმის ექვსი დღის კომენტირებისას და ასევე განვიხილავთ ნეტარი ავგუსტინეს კომენტარებს მეშვიდე დღის შესახებ, რომელზეც ნათქვამია ბიბლიაში, რომ "აკურთხა ღმერთმან დღე მეშჯდე და წმიდა ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა"(შეს.2,3).

ყოველივე უფალმა დაჰბადა და ყოველივე შექმნა კეთილად, იოანე ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ესე თქუა ღმერთმან დაბადებასა შინა, ვითარმედ: ყოველი, რომელი დაჰბადა ღმერთმან –კეთილად

ფრიად."[10] ჩვენ შევეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ სამყაროს პირველი შვიდი დღე და პარალელურად წარმოვაჩინოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხები. აი, რას მოგვითხრობს პირველი დღის შესახებ მოსე წინასწარმეტყველი: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ. და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალსა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ. და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი"(შეს.1.1). ბიბლიის ამ პირველ სიტყვებს ბასილი დიდი ასე განმარტავს:„შევიწყნაროთ თქმული იგი მოსესი, რომელმან თქუა არსებისათჳს ცისა..., ვითარმედ : ღმერთმან დაჰბადა ცაჲ და ქუეყანაჲ და ვადიდებდეთ ჴელოვანსა მას განმამზადებელსა, რომელმან დაჰბადა სიბრძნით და [გული]სჴმავყოთ შუენიერი იგი შუენიერისაგან...”[11] ამ სიტყვების ღრმა აზრი ადიდებს უფალს–დიდ შემოქმედს, რომელიც, თავად სრულყოფილი და მშვენიერი, მადლით, ძალით და სიბრძნით არაფრისგან ქმნის ასევე მშვენიერ ცას და ქვეყანას. უფრო დაწვრილებით უფლის ამ შემოქმედებით აქტს გრიგოლ ნოსელი ამგვარად ხსნის: „ვჰგონებ, ვითარმედ ამისი ჯერ არს აღსაარებაჲ სიტყუასა შინა ჩუენსა, რამეთუ ღმრთისა ბუნებასა შინა ნებასა

[10]მვ. ქართული ენის ძეგლები, მამათა სწავლანი X და XI ს.–თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ ა.შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955, 46.

[11] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა”” და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის” X–XIIIსს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი 1964, 31,1-5.

თანა ძლიერებაჲ შეერთებულ არს და საზომ საღმრთოჲსა ძლიერებისა ნებაჲ მისი იქმნების. და ნება სიბრძნე არს, ხოლო თჳსი სიბრძნისაჲ ესე არს, რაჲთა არარას უმეცარ იყოს თჳთოეულად ქმნულთა მათ არსებასა და დაბადებასა, და მეცნიერებასა მას თანა შეზავებულ არს ძალიცა: ვინაჲცა ერთბამად ცნა, რაჲ-იგი ჯერ–იყო დაბადებად და თანამორბედ ექმნა ძლიერებაჲ იგი არსთა არსებისა დაბადებასა და მოგონებული იგი საქმედ აღაორძინა; და არცა ერთი რაჲ დააკლდა აღუსრულებელად საღმრთოსა მას ცნობასა, არამედ განზრახვისა თანა საქმე შეერთებულად და განუშორებელად წარმოიჩინა, რამეთუ განზრახვაჲ მისი ძლიერებაცა არს ერთბამად. და თუ ვითარ დაიბადნენ არსნი, წინაჲსწარ განიზრახა და მოგონებულთა მათ მყისსა შინა მიზეზნი არსებისანი შეაერთნა, ესე იგი არს: ნებაჲ და სიბრძნე და ძალი და არსებაჲ არსთაჲ”[12]. აქ საგულისხმოა ის, რომ ღვთის ძლიერების საზომად, როგორც გრიგოლ ნოსელი წერს, მისი ნება უნდა მივიჩნიოთ, ესე იგი, ღვთისგან ყოველივე შესაძლებელია, რასაც ის ინებებს, და ამ ნებასთან შეზავებულია სიბრძნე, უფრო მეტიც „და ნება სიბრძნე არს”, და ეს სიბრძნეა ის, რომ წინასწარ ხედავს, თუ რა უნდა და როგორ შექმნის და ამ შექმნილთაგან თითოეული არსების წინასწარ მცოდნეა და მისი ცოდნის გარეშე არაფერი ხდება. მეცნიერებასთან კი შეზავებულია ძალა, რის შესაბამისადაც, „მეცნიერებას მყის თანამორბედ ექმნა ძლიერებაჲ იგი არსთა არსებისა დაბადებასა”. ანუ უფალი ქმნის დაუბრკოლებლად, მეყვსეულად და რაც გაიფიქრა, საქმედ აქცია ისე, რომ შეუსრულებელი არაფერი დაუტოვებია. უფალი

3გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, ედიშერ ჭელიძის რედაქციითა და კომენტარებით,საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, 204.

ქმნის მყისიერად, მაგრამ ამ მყისიერებაში არ იგულისხმება მატერიალური შესაქმე. უფალმა შექმნა ხილული სამყაროს პირველსაფუძვლები, სულიერად მოიაზრა ის, მატერიალურად კი ყოველივე თავისთავად განხორციელდა უფლის უშუალო ჩარევის გარეშე ექვს დღეში, „არსთა არსების" ანუ სულიერი ნააზრევის მატერიასთან შერწყმით და ამ მატერიის, გ.მთაწმიდელის ტერმინით რომ ვთქვათ, „შეჴშირებით", ანუ შემკვრივებით, რაც ნივთიერი სამყაროს რეალიზებას, ხილული ფორმით გაცხადებას გულისხმობს, რომელსაც აქვს ფერი, სიმკვრივე, ფორმა და ა.შ.[13] ძალიან საგულისხმოა ვლ. ლოსკის თვალსაზრისი, როდესაც ის მსჯელობს წმ. მამათა განმარტების შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ღმერთის მიერ არარსებულისგან (oujk ejx o[ntwn 2Mak.7,28)[14] სამყაროს შექმნა. მისი თქმით, ღმერთის მიერ არაფრისგან სამყაროს შექმნა გულისხმობს, რომ ის, რისგანაც შეიქმნა სამყარო, არ იყო ღვთაებრივი ბუნება, არც მატერია (რადგან ვერც მატერიას ვუწოდებთ არაფერს). ღმერთის მიერ არაფრისგან სამყაროს შექმნა გულისხმობს, რომ უფალი ქმნის სრულიად ახალ სიუჟეტს, რომელიც არ არსებობდა და რომელსაც თვითონ ანიჭებს არსებობას და „აძლევს ადგილს" თავისი სისავსის გვერდით. ეს სიუჟეტი მისგან უსასრულოდ დაცილებულია „არა ადგილით, არამად ბუნებით" (ouj topw`/, ajlla; fuvsei), –იოანე დამასკელის სიტყვებით რომ ვთქვათ.[15] ასე რომ, ღმერთი დასაბამს უყრის არარსისაგან არსებისა და არსებობის შექმნას თავისი კეთილი ნებით,

[13] იქვე, 211–212, კომენტარები ე.ჭელიძისა 260-262.
[14] ტერმინოლოგიურად "არარსებულიდან" მაკაბელთა წიგნში გვხვდება.
[15] В.Н. Лосский, Очерк мистического богословия восточной церкви, Догматическое богословие, издатель Центр «СЭИ», Москва 1991, 71, PG 94, 853C.

რათა საკუთარი მადლი და ღვთაებრივი არსებობა გაუზიაროს სხვას, მისგან ბუნებით განსხვავებულ, ქმნილ არსებას.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა"...ეს არის ბიბლიის პირველი სიტყვები და ბასილი დიდის განმარტებით, ცისა და ქვეყნის შექმნაში უნდა იგულისხმებოდეს იმ საფუძვლის შექმნა უფლის მიერ, რომლითაც ცა და დედამიწა შემზადდა. იგი წერს: „ღმერთმან პირველად ყოვლისა ხილულისაჲ რაჟამს ინება და იზრახა, რაჲთამცა ქმნა არაარსნი და ვითარ იყოს სოფელი ესე, ზრახვასავე შინა თჳსსა შექმნა სიჴშოჲ იგი სამკაულითა თვისითა. და განუჩინა ცასა ბუნებაჲ, რომელი მას შეეტყუებოდა და ხატსა ქუეყანისასა ნივთი, რომელი შეჰგავდა,"[16] ანუ უფალმა, სანამ ხილულ სამყაროს შექმნიდა, გონებით წინასწარ განჭვრიტა, თუ როგორი სურდა ეს სამყარო რომ გამოსულიყო და შეუსაბამა ცას ისეთი „ბუნება", როგორიც მის (ღვთის) განზრახვას შეესაბამებოდა და დედამიწას „ნივთი", ანუ „სიჴშო"(გ. მთაწმიდელის ტერმინით) – ესე იგი მატერია, რომელიც შეესაბამებოდა მის განზრახვასა და სურვილს დედამიწის სახის შესახებ. აქ ნახსენები ცის თაობაზე ბასილი დიდი ამბობს, რომ „ბუნება" შეუსაბამა ღმერთმა და არა „ნივთი," რადგან მისი თქმით (და იგივე აზრს ასაბუთებს გრიგოლ ნოსელიც) აქ ნახსენები ცა არ არის ის ცა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ (ჩვენთვის ხილული ე.წ. მატერიალური ცა იქმნება ბიბლიური შესაქმის მეორე დღეს). პირველ დღეს შექმნილ ცაზე საუბრისას ბასილი დიდი იმოწმებს[17] პავლე მოციქულს, რომელიც ახსენებს მესამე ცას(2კორ.12,2) და

[16]ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა, 31,1-5
[17]იქვე, 42, 1-2

ფსალმუნს, სადაც „ცანი ცათანი"(ფს.148,4) ანუ მრავალი ცა იხსენიება. ამ აზრს აკონკრეტებს გრიგოლ ნოსელი და ამბობს, რომ შექმნილი სამყარო სამ ცას მოიცავს, ესენია:1)უშუალოდ დედამიწის გარშემო არსებული ცის სარტყელი; 2) გალაქტიკა; 3)სამოთხე, რომლის მშვენიერების ხილვის ღირსიც გახდა პავლე.[18] წმ. იოანე დამასკელი წერს, რომ ზოგიერთის აზრით, ყველა დაბადებულზე ადრე ანგელოზები შექმნა ღმერთმა, და მოჰყავს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები:„პირველად მოიგონნა ანგელოზებრნი ძალნი და ზეციერნი და მოგონებაჲ იგი საქმე იყო, “ სხვანი კი ამბობენ, რომ პირველი ცის დაბადების შემდეგ შექმნა ისინი ღმერთმა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ანგელოზთა დაბადება ადამიანის შექმნის უწინარეს უნდა მომხდარიყო. მე კი ვეთანხმები გრიგოლ ღვთისმეტყველს, – ამბობს წმ.იოანე დამასკელი,– რომ ჯერ გონიერი არსებანი უნდა შექმნილიყო, შემდეგ გრძნობადი, ხოლო ორივე მათგანისგან ადამიანი: „გარნა მე ღმრთისმეტყუელსა გრიგოლის თანა-ჯერ-მჩინებელ ვექმნები, რამეთუ ჰშუენოდა პირველად უკუე გონიერისა არსებისა არს-ყოფაჲ და მერმე – გრძნობადისაჲ და ეგრეთღა ორთაგანვე – კაცისაჲ“.[19]

„ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ...”, როგორც ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი განმარტავენ, უხილავი იყო იგი, რადგან ეს ნივთიერება იყო უხილავი და უფორმო[20] რამ, ხოლო განუმზადებლობა

---

[18] „წმიდისა გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსისა პეტრეს მიმართ ძმისა თვისისა პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის", საქართველოს ეკლესიისკალენდარი, თბილისი 1989წ., 242,18, იქვე, ე.ჭელიძის კომენტარები აღნიშნული თხზულებისათვის, 301,58

[19] წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2000, 79, 63v

[20]იქვე, 211,9

ნიშნავს, რომ მას აკლდა ყვავილები, ხეები და ყოველივე ის, რითაც გამშვენებულია დედამიწა და რაც მის სამკაულებად იწოდება.[21]

„ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალსა" (skovto~ ejpavnw th`~ ajbuvssou, kai; pneu`ma Qeou` ejpefevreto ejpavnw tou` u{dato~) …„უფსკრულს" ბასილი დიდი განმარტავს, რომ არის „სიმრავლე წყალთაჲ და ძნიად მისაწვდომელი სიღრმე მისი",[22] ხოლო ამ, თითქოსდა, წინააღმდეგობრივ ფრაზას, რომ ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა მასზე, გრიგოლ ნოსელი გვიხსნის რომ, რა თქმა უნდა, ღმერთი ნათელია მიუწვდომელი და სიბნელისგან, ისე როგორც ყველანაირი ბოროტებისგან, განშორებულია; რადგან ღმერთს და ღმერთის სულს ანუ სულიწმიდას ერთი ბუნება აქვთ, ამიტომ სული ღვთისაც, რომელიც იქცეოდა წყალზე, ნათელი იყო. იგი წერს: „მე უკუე ესრეთ ვიტყჳ, ვითარმედ სული ღმრთისაჲ ესოდენ განშორებულ არს ბნელისაგან, ვითარცა სხჳსა ყოვლისა ბოროტისაგან უცხო არს… და რამეთუ ღმერთი ნათელ არს ჭეშმარიტ და ნათელსა შინა მკჳდრ არს მიუახლებელსა და სული ღმრთისაჲ ერთ არს მის თანა ბუნებით და ვინაჲთგან ერთ ბუნებაჲ არს ღმრთისა და სულისა წმიდისაჲ და ღმერთი ნათელ არს, განაღა სულიცა ღმრთისაჲ ნათელვე იყოს უეჭველად, და ნათელმა განაღა განანათლოს არე იგი, რომელსაცა ზედა იქცეოდის."[23] უფრო მეტიც, ღვთისგან ქმნილი ყოველივე კეთილია თავისი აგებულებით, შესაბამისად, ის უფსკრულიც კეთილი იყო თავისი აგებულებით. მაშ როგორ უნდა გავიგოთ უფსკრულზე მყოფი ბნელი?

21 ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა, 30.
[22] იქვე, ექუსთა დღეთა, 33.
[23] გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, 213.

ამის თაობაზე ნისის ეპისკოპოსი წერს: „ხოლო მის ზედა მყოფი ბნელი რაჲ მესმეს, ესრეთ გულისჴმა–ვჰყოფ, ვითარმედ ნათელი იგი არსთა ზედა მიფენილი არღა გაბრწყინვებულ იყო მათ ზედა".[24] ეს სიტყვები ასე უნდა გავიგოთ, რომ ნათელი, რომელიც სული წმიდის სახით იქცეოდა უფსკრულზე, ამ მატერიაში ჯერ არ გაბრწყინებულიყო, მასში ჯერ არ შეეღწია და ამიტომ იყო მასზე ბნელი, სული ღმრთისა იქცეოდა ზემოთ დამოუკიდებლად. „ბნელი" აქ პირობითად ეწოდება ნათლის ნაკლებობას.[25]

ასე რომ, უფსკრული ღვთის ბრძანებას ელოდა, რომ ნათლით გაბრწყინებულიყო და მოსდევს კიდეც ლოგიკურად ამ ტექსტს უფლის ცხოველმყოფელი სიტყვები: „იქმენინ ნათელი!". ღვთისგან წარმოთქმული პირველი სიტყვები, რომელიც ადამიანმა იცის და რაც ბიბლიაში წერია, არის –„იქმენინ ნათელი". მშვენიერების და ბრწყინვალების მომფენი ეს სიტყვები დაბნელებულ მატერიას განაბრწყინებს იმ მადლით, რომელიც მის ზემოთ იყო და მასში ჯერ არ შეღწეულიყო. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე უფლის სიტყვა საქმედ იქცა და სულიწმიდის მადლით და ნათლით გაბრწყინდა ნივთიერი სამყარო.

„...და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ...", ბერძნულ ტექსტში ეს ასე იქნება:,,kai; ei\den oJ Qeo;~ to; fw`~ o{ti kalovn" (Gen.1,4). „შესაქმეში" ყოველი დღის ქმედება, ყოველი ცალკეული ეპიზოდი სრულდება უფლის მიერ თავისი შექმნილის ხილვითა და შეფასებით, რომ კეთილია ის, რაც შეიქმნა: „იხილა ღმერთმან, რამეთუ

[24] იქვე, 215–216.
[25] იქვე, 213–215.

კეთილ". ბერძნულ ტექსტში („სეპტუაგინტას" მიხედვით), მსგავსად წინამორბედი წინადადებისა, ეს ასეა: ,,kai; ei|den oJ Qeo;~ o}ti kalovn". სიტყვა ,,kalov~" ნიშნავს – „ლამაზს", „მშვენიერს", „კეთილშობილს", „კეთილის მაუწყებელს", „სიკეთის მომტანს", „წარმატებულს", „კეთილს", „სასარგებლოს", „მომგებიანს". ქართული სიტყვა „კეთილი", როგორც ვიცით, შეიძლება ნიშნავდეს როგორც „კეთილი თვისებების მატარებელს", ასევე „კარგს," „დამაკმაყოფილებელს" და „ფიზიკური მშვენიერებით შემკულსაც". მისი ებრაული შესატყვისი „ტოვ" ასევე ნიშნავს „კეთილს", „შესატყვისს, " რაც ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს ღვთის ჩანაფიქრის შესატყვისს – უფალმა რომ იხილა საკუთარი შექმნილი სამყარო, იხილა ისეთად, როგორიც სურდა, რომ ყოფილიყო, ხილული მის ჩანაფიქრს და განზრახვას შეესაბამებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ალ.მენი წერს: „ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთს მოსწონს ნათელი, რომელიც შექმნა, მოსწონს სამყარო, რომელიც შექმნა. ეს „ტოვ", „ტოვ", ნიშნავს „მშვენიერს", „კეთილს", ბოლოს კი ნათქვამია: „ტოვ ნეოდ", ესე იგი „ძალიან კარგი", „ძალიან მშვენიერი" და „სრულყოფილი".[26]

ბასილი დიდი შესაქმის ექვსივე დღის კომენტირებისას (როგორც ცნობილია, მან მხოლოდ ადამიანის შესახებ ვერ მოასწრო დაწერა) გაშლის „kalov~"–ის ყველა მნიშვნელობას და გვიხსნის, რომ ღვთის განზრახვაში უპირველესია სიკეთე და სარგებელი, რასაც ახალი ქმნილება

[15] Александр Мень, Шестоднев, ihtik. lib.ru / philosoph

მოიტანს, გარეგნული მშვენიერება კი არ არის მთავარი, თუმცა იგულისხმება, რომ ღვთისგან ქმნილი ყოველივე მშვენიერია.

დავუბრუნდეთ ტექსტის განხილვას და ვნახოთ როგორ განიხილავს ნათლის სიკეთეს და მშვენიერებას ბასილი დიდი. „რომელი ქებაჲ ვთქუათ ღირსი ნათლისაჲ მის უფროჲს მისა, რომელი–იგი წინაჲსწარ ითქუა დამბადებელისაგან, ვითარმედ კეთილ არს იგი... ვითარ ბუნებაჲ ნათლისაჲ განმარტებული სწორი ნაწილითა თჳსითა არა მისწუთეს საზღუარსა შუენიერებისასა?"-წერს იგი და გვიხსნის, რომ მიუხედავად ნათლის ყოვლისმომცველი მშვენიერებისა, უფალი მისი გარეგნული სილამაზის გამო არ ამბობს, რომ ის კეთილია. უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია ის სარგებელი და სიკეთე, რომელიც ნათელს მოაქვს ადამიანისათვის – ესაა ის, რომ ნათელს ახლავს ბრწყინვალება, რომელიც თვალებს ძალდაუტანებლად ახილვინებს გარემომცველ სამყაროს, ანუ მთავარია ის, რომ ეს მშვენიერება სიკეთის მომტანია.

ბიბლიის შემდგომი სიტყვები:„...და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა. და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი"(შეს.1,4–5), პირველ დღეს შემოსაზღვრავს და ასე უნდა გავიგოთ: უფალმა გაყო ნათელი და ბნელი ანუ ადგილი „უნათლობელი“ და ნათელს, ანუ იმ პერიოდს, როდესაც ცა და მიწა განათებულია, ეწოდა დღე, ხოლო ამ ნათლის გარეშე პერიოდს ეწოდა ღამე, ორივეს ერთად კი ეწოდა არა ერთი დღე–ღამე, არამედ ერთი დღე, რადგან დღეს, როგორც ნათელში მყოფს, მიენიჭა უპირატესობა: „მწუხრი იგი საზღვარი არს ზიარი დღისა

და ღამისაჲ, და განთიადი კუალად მოძმეობაჲ არს ღამისაჲ დღესა თანა. და რაჲთა მისცეს დღესა პირველი არსებაჲ, მოიჴსენა დასასრული დღისაჲ, და განთიადი არს დასასრული ღამისაჲ, რამეთუ ღამე დღესა შეუთქს. ხოლო რომელ–იგი იყო უწინარეს სოფლის-დაბადებისა, არა იყო ღამე, არამედ ბნელი. წინააღმდგომი ესე დღისაჲ არს ღამე, რომელმან მოიღო ახალი სახელი შემდგომად დღისა“.[27] როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, მწუხრსაც ცისკარზე უწინ ახსენებს მოსე წინასწარმეტყველი, რადგან მწუხრი დღის დასასრულია, ცისკარი კი ღამის დღესთან შეხვადრის ჟამია, რადგან დღეა უპირატესი ღამესთან შედარებით, ამიტომ მწუხრიც უპირატესია ვიდრე ცისკარი. ბასილი დიდის თქმით, ჟამთა აღრიცხვაც სწორედ ამიტომ ხდება დღეებით და დავით წინასწარმეტყველიც სწორედ ამიტომ ამბობს „დღენი წელიწადთა ჩუენთანი“(ფს.89,10). ასე დაიწყო დედამიწაზე პირველი დღე და ქაოსიდან სამყაროსა და წესრიგის ანუ კოსმოსის შექმნა (თავად სიტყვა „oJ kosmov~“– როგორც ცნობილია, ნიშნავს სამყაროსაც და წესრიგსაც, რადგან სწორედ ამ ეტიმოლოგიის მატარებელია).

მეორე და მესამე დღის დასაწყისის მოვლენებს ამგვარად აღწერს მოსე წინასწარმეტყველი: „...და თქუა ღმერთმან: იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა! და იქმნა ეგრეთ. და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე კერძო სამყაროსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროსა. და უწოდა ღმერთმან სამყაროსა

[27] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 38, 25-30.

ცაჲ და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეორე.

 და თქუა ღმერთმან: შეკერბიდ წყალი ქუეშე ცისა შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ჴმელი! და იქმნა ეგრეთ. და შეკრბა წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა და გამოჩნდა ჴმელი. და უწოდა ღმერთმან ჴმელსა ქუეყანა და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღუებ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“(შეს.1,6-11).

 პირველ მუხლში უკვე იყო საუბარი ცისა და ქვეყნის შექმნის შესახებ, ხოლო აქ, როგორც ბასილი დიდი წერს, ნახსენებია სხვა ცა „და არა პირველ დაბადებული იგი ცაჲ და აქუს მას ბუნება მყარი, მიმცემელი საჴმარებისაჲ ყოვლისაჲვე“.[28] ესე იგი, ეს არის ხილული, „ბუნებით მყარი“(ბასილი დიდის ტერმინით), ეგრეთ წოდებული ნივთიერი ცა, საიდანაც წვიმა და თოვლი მოედინება და მნათობებს ვხედავთ და არა ის ცა, რომელიც პირველ მუხლში იყო ნახსენები. ქვეყანა კი, რომელიც უხილავი იყო იმის გამო, რომ წყალი ფარავდა, წყალთა შეკრებით გამოჩნდა, ხილული გახდა. „შეკრბედ წყალნი და გამოჩნდინ ჴმელი. უკუნ-იყვნედ კრედსაბმელნი, რაჲთა გამოჩნდეს უხილავი იგი“[29] (Sunevlketai ta; parapetavsmata, i{na ejmfanh;~ gevnhtai hJ tevw~ mh; oJrwmevnh)[30] წერს ბასილი დიდი ხატოვნად და უხილავისთვის ფარდის ახდას ადრის უფლის მიერ წყლის ჩამოცილებით ხმელეთის გამოჩენას.

---

[28] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 42,25.
[29] იქვე, 54,20.
[30] Basile de Cesarée, Homélies sur l’hexaéméron, Texte grec, introduction et traduction de Stanislas Gift, Gerf, Paris 1968, 248,81A .

ცის ზედა წყლებად ბასილი დიდი ახსენებს ნოტიოს, რომელიც მდინარეთა და ზღვებისგან, ანუ დედამიწის წყლებიდან ორთქლდება, ღრუბლად იქცევა და დედამიწას სიმხურვალისგან იცავს.[31]

ქვედა წყლებზე კი გარკვევით წერია, რომ „შეკრიბა ღმერთმა და უწოდა ზღუებ და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“. აქაც, ისე როგორც ნათელზე საუბრისას, ზღვის დაბადების სიკეთეზე, მის სარგებლიანობასა და სიკეთისმომტანობაზეა საუბარი. ბასილი დიდი აღწერს იისფერ-ლურჯად მოლივლივე დაწყნარებული ზღვის წარმტაც მშვენებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაასკვნის იგი–„შემოქმედი არა თუ შუენიერებასა (tav kavllh) ქუეყანისასა თუალითა ჰხედავს შექმნულთა მათ...არა ესრეთ გულისჴმის-საყოფელ არს წიგნისაჲ, ვითარმედ ღმერთმან ესრეთ იხილა ქუეყანაჲ კეთილად (kalh;n), არამედ სიკეთე (tov kalovn) იგი დაბადებისათჳს განიბჭობვის.“[32] ესე იგი, უფალმა კეთილი დაარქვა ზღვის იმ თვისებებს, რომელიც ამ მშვენიერებას სიკეთეს, ადამიანის კეთილ საქმეებს ამსახურებდა. ზღვის სარგებლიანობაზე საუბრისას ბასილი დიდი დაწვრილებით აღწერს იმ გამდინარე წყლებზე, რომლითაც ზღვა დედამიწას კვებავს და მრავალ საქმეს, რომლითაც ადამიანი ზღვასთან არის დაკავშირებული: მენავეთა საქმიანობა, ქვეყნების ერთმანეთთან ზღვით დაკავშირება, წყლის აორთქლება და წვიმად ქცევა და სხვა მრავალი. ყოველივე ეს იხილა უფლის თვალმა წინასწარ და ამის შეფასებისას თქვა, რომ არის ყოველივე კეთილი:„ზღუაჲ კეთილ არს წინაშე ღმრთისა (kalh; toivnun hJ qavlassa tw/` Qew/`)

[31]ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 48,5.
[32]ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა, 61, 1-10

დინებითა მით ნოტიისა მისისაჲთა სიზრქესა ქუეშე ქუეყანისასა. და რამეთუ არს იგი ჭურჭელი მდინარეთაჲ...და კუალად კეთილ არს იგი, რამეთუ არს იგი დასაბამ და აღმომაცენებელ წყალთა ჰაერისათა, რამეთუ რაჟამს განტფიან იგინი მცხინვარებისაგან მზისა, აღვიდის წულილი იგი ორთქლსა თანა, და რაჟამს მიიწიის იგი ზესკნელსა მას ადგილსა, და განცივნის იგი სიჩრდოისაგან ღრუბლისა, და იქმნის წვიმა და გარდამოჴდის ქუეყანასა ზედა... და კუალად ზღუაჲ კეთილ არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ გარე-მოადგს ჭალაკთა, და არს იგი მათა მშვენიერება და სიმტკიცე (oJmou` me;n kovsmon aujtai`~, oJmou` de; kai; ajsfavleian parecomevnh dij eJaute`~). და კუალად მით მახლობელ იქმნების ქუეყანაჲ ქუაყანასა სლვითა მენავეთაჲთა დაუცადებელად, და მოგებაჲ საფასეთაჲ ვაჭართათვის, და სხუანი მიზეზნი მრავალნი არიან სარგებელად ცხორებისა ამის...

და ვითარ შემძლებელ ვარ მე ხილვად ყოველსავე სიკეთესა ზღჳსასა, ვითარ-იგი სახილველ არს თუალთა წინაშე დამბადებელისა თჳსისა?." [33] ამ სიტყვებიდან, ისე როგორც მთელი შესაქმიდან, ცხადია, რომ უფალი ყოველივეს ქმნის მშვენიერს და თვალწარმტაცს: არარსიდან და ქაოსიდან იბადება ცა და მიწა, და ნათელი ეფინება უფსკრულს; გამოჩნდება ხმელეთი და ცა, და ზღვა თავის ადგილს იპოვის. რაც შეიქმნა ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ მთავარია მაინც ის, რომ ყოველივე კეთილია, რადგან პოტენციური მსახურია ადამიანისა, მრავალ სიკეთეს მოუტანს მას, მრავალგვარად გამოადგება და ამით ეს ცა და ქვეყანა და

[33] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 61,30–62,10.

ადამიანიც, მათი მეშვეობით აღსრულებული კეთილი საქმეებით, შეასრულებს თავის ფუნქციას ღვთის წინაშე და ადიდებს უფალს თავის შემოქმედს.

მესამე დღის მეორე ნახევარში უფლის ბრძანებით მცენარეები აღმოცენდა, ხოლო მეოთხე დღეს მნათობები გაჩნდა. „და თქუა ღმერთმან"–მოგვითხრობს წმიდა წერილი– „ქუეყანამან გამოიღედ მწუანვილი თივისა, მთესველი თესლისა ნათესაობისაებრი და მსგავსებისაებრი და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა, რომლისა თესლი მისი მისთანა მსგავსებისაებრ ქუეყანასა ზედა! და იქნა ეგრეთ... და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მესამე.

და თქუა ღმერთმან: იქმნედ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყვნედ სასწაულებად და დღეებად და წელიწადებად და იყუნედ განმანათლებელად სამყაროსა ცისასა, რაჲთა ჩნდეს ქუეყანასა ზედა! და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მთავრობად დღისა და მნათობი უმრწემესი მთავრობად ღამისა და ვარსკულავნი. და დაასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა, რაჲთა ჩნდეს ქუეყანასა ზედა. და ჰმთავრობდენ დღესა და ღამესა და განსწვალებდენ შორის ნათლისა შორის ბნელისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეოთხე"(შეს.1,11-19).

პირველ მუხლში ნათელზე უკვე იყო საუბარი, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ის იყო ღვთაებრივი, მარადიული, შეუქმნელი ნათელი–სული ღმრთისა, რომელიც ღმერთთან ერთად მუდამ არსებობდა. მეოთხე დღეს კი იქმნება ფიზიკური ნათელი, რომელიც მნათობების–ასევე ფიზიკური, მატერიალური, შექმნილი ენერგიიდან მომდინარეობს და ამ ფიზიკური ენერგიის წყაროდ შეიქმნა მნათობები დღისა და ღამის გასაყოფად. ასე რომ, ჯერ იქმნება დედამიწის მცენარეული საფარი, რომელიც, თითქოსდა, მზის გარეშე ვერ უნდა აღმოცენებულიყო, ხოლო შემდგომ იქმნება მზე და მთვარე–უკვე 1V დღეს, და დღე და ღამე მათ გარეშეც არსებობდა.

ბასილი დიდი ადიდებს უფალს–დიდ შემოქმედს, რომლის ერთ სიტყვიერ ბრძანებაზეც უნაყოფო და ხმელმა ქვეყანამ ბალახი, ხეები და უმშვენიერესი მცენარეები აღმოაცენა: „გამოიღენ ქუეყანამანო! გან–ღა იზრახე, თუ ვითარ ჯმისაგან მცირისა და ბრძანებისაგან შემოკლებულისა ქუეყანა ჴმელი და უთესლოჲ აღიძრა მყის ლმობად და განაგდო თავისა თჳსისაგან სამოსელი მწუხარებისაჲ და შეიმოსა მწუხარებისა წილ სამოსელი ბრწყინვალე, და აღიმღერა შუენიერებითა თჳსითა და გამოღებითა მრავალთა მცენარეთაჲთა“[34](blasthsavtw hJ gh`. Novhsovn moi ejk mikra`~ fwnh`~, kai; prostavgmato~ ou]tw bracevo~, th;n kateyugmevnhn kai; a[gonon wjdivnousan ajqrovw~ kai; pro;~ karpogonivan sugkinoumevnhn, w[sper tina; skuqrwph;n kai; penqhvrh aporrivyasan peribolh;n, metamfiennumevnhn th;n faidrotevran kai; toi`~ oijkeivoi~

[34] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 65, 1-5.

kovsmoi~ ajgallomevnhn, kai; ta; muriva gevnh tw`n fuomevnwn probavllousan)[35]. როგორც ბასილი კესარიელი განმარტავს, სწორედ ამიტომ დაჰბადა ღმერთმა თივა და ხე მზეზე უწინარეს, რომ ყველამ კარგად გააცნობიეროს ღვთის ძალა და ის, რომ ღმერთია შემოქმედი და დამბადებელი, და მნათობების ენერგიას არ მიაწერონ დედამიწის გამშვენება, არც მზეს სცენ თაყვანი ადამიანებმა, როგორც ღმერთს: „ამისთჳს დაებადა შუენიერებაჲ ქუეყანისაჲ უწინარეს მზისა, რაჲთა დასცხრენ შეცთომილნი მონებისაგან მზისაჲსა სიტყჳსა მისთჳს, ვითარმედ: იგი არს მიზეზი ცხორებისა მათისაჲ, რაჟამს ჰრწმენეს, ვითარმედ პირველვე არსებადმდე მზისა განემზადა ყოველი, რაჲცა არს ქუეყანასა ზედა. და დაადგინონ საკჳრველებისა მისისათჳს, რაჟამს განიზრახონ, ვითარმედ უმრწემეს არს იგი არსებითა თჳსითა მწუანვილსა და თივასა“.[36]

მნათობებზე საუბრისას ბასილი დიდი დაწვრილებით აღწერს, რომ უფლის განზრახვაში მათი შექმნისას გათვალისწინებული იყო ის მრავალი სიკეთე, რომელსაც მათი მოძრაობა და მათი მეშვეობით დრო-ჟამის დაწესება და ამინდის ამოცნობა („იყვნედ სასწაულებად“) მოუტანდა ადამიანს. მთვარის მოკლება–გავსებით ადამიანი ამინდს ცნობს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ სიკეთეს მოუტანს ყველას და განსაკუთრებით იმას, ვისი საქმიანობაც (მაგ. მენავის) ამინდთან არის დაკავშირებული და რომელიც გამოცდილებით მრავალ განსაცდელს აიცილებს, თუ ბუნებას დააკვირდება– მთვარის მიხედვით მიხვდება, რომ

[35] Basile de Cesarée, Homélies sur l'Hexaéméron, 284, 97B.
[36] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 63, 15-25.

ქარი ან წვიმა ახლოვდება, მენავე ზღვაში არ შევა და უბედურებას აიცილებს: „მოსწავებანი იგი მნათობთანი სარგებელ არიან ცხორებისათჳს კაცთაჲსა, რაჟამს არავინ გარდაჰჴდეს საზომსა გამოძიებისათჳს, ჰპოო მათგან სარგებელი მრავლად გამოცდილებითა. და ისწაოს მათგან სიმრავლე წჳმათაჲ და სიმცროჲ მათი და სიორძილი ქართა ქიცხელთაჲ...და შესაძლებელ არს მენავისა, რაჟამს აგრძნის, [რაჲ]-იგი ყოფად არს სიფიცხლისაგან ქარისა, რაჲთა დააყენოს ნავი თვისი ნავთსადგურსა შინა და განერის წარწყმედისაგან“[37]. ამ და მრავალი სხვა შემთხვევის აღწერით, კესარიის ეპისკოპოსი წარმოგვიჩენს, რომ უფლის შესაქმეში, როდესაც მთელი ცა და ქვეყანა მნათობებითა და უბრწყინვალესი ვარსკვლავებით, ხეებით, უმშვენიერესი ბალახითა და ყვავილებით შეიმკო, როგორ ყველაფერს ღვთის განგებით თავისი ფუნქცია დაეკისრა, მნათობების მოძრაობაც და მცენარეთა თესლით გამრავლებაც – ყოველივე თავისი არსებითა და არსებობის ფორმით მიზანმიმართულია, რათა ურთიერთარსებობა წარმართოს (მაგ. მნათობებმა– ბალახის აღმოცენებას შეუწყოს ხელი) და ადამიანს გამოადგეს ყველაფერი ერთად ყოველდღიურ ცხოვრებაში– ხე–გასათბობად და საცხოვრებლად, მხალი–საკვებად და ა.შ.

მეხუთე და მეექვსე დღეს პირველი ცოცხალი არსებები გაჩნდა ხმელეთზე, ზღვასა და ცაში. „და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუეწარმავლები სამშჳნველთა ცხოველთა და მფრინველნი მფრინვალენი ქუეყანასა ზედა სამყაროსაებრ ცისა. და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან

[37] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 82,5-10; 82,30-83,10.

ვეშაპნი დიდნი და ყოველი სული ცხოველთა ქუეწარმავალთა, რომელნი გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით და აღავსენით წყალნი ზღჳსანი. და მფრინვალენი განმრავლდედ ქუეყანასა ზედა. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეხუთე.

და თქუა ღმერთმან: გამოიღედ ქუეყანამან სამშჳნველი ცხოველი ნათესაობისაებრ ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა და მჴეცთა ქუეყანისათა ნათესაობითი. და იქმნა ეგრეთ. და შექმნნა ღმერთმან მჴეცნი ნათესაობითნი და საცხოვარნი ნათესაობისაებრ მათისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“(შეს.1,20-26).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი ცოცხალი არსებები გაჩნდა, უფალმა აკურთხა ისინი, აქამდე მოსე წინასწარმეტყველს ეს არ უთქვამს. მეორე–რაც მნიშვნელოვანია ისაა, რომ ეს არსებები ფშვინვიერია და „და საშუმინველი ყოვლისა ცხოველისაჲ სისხლი არს“, სისხლის დაკარგვისთანავე ცხოველის ხორცი მიწას შეერევა და „ნუ ჰგონებ, ვითარმცა სულნი იგი მათნი...არს იგი დადგრომილ შემდგომად დაჴსნისა ხორცთა მათთაჲსა“[38]. ესე იგი, ადამიანისგან განსხვავებით, ცხოველს უკვდავი სული არ გააჩნია.

ძალიან საგულისხმოა, რომ ფრინველი წყლიდან იბადება, ბასილი დიდი ამას ხსნის ფრინველებისა და თევზების მსგავსი აგებულებითა და მოძრაობის წესით – ფრინველი ისევე აპობს ჰაერს ფრთებით, როგორც

[38]ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 109,10; 109,20.

თევზი–წყალს და მოძრაობის მიმართულებას ბოლოს ქნევით განსაზღვრავს. უფალმა ყოველი ქმნილება კეთილად დაჰბადა და იზრუნა ყოველ მათგანზე, შექმნა ისინი ისეთებად, რომ იმ გარემოს მიესადაგონ, სადაც არსებობენ, მათთვის სასარგებლოდ–მერცხალი–მოკლე ფეხებით, რადგან ფეხის სიგრძე არ სჭირდება, ქათამს კი მაღალი ფეხები აქვს, რადგან სჭირდება დედამიწაზე სასიარულოდ, მისი საკვები მიწაზეა.[39]

ძალიან დიდია ბასილი დიდი, როგორც ეგზეგეტი და როგორც ეკლესიის მამა, მოძღვარი. ცნობილია, რომ მისი ეს თხზულება –„ექუსთა დღეთა“ პირდაპირ ქადაგებების დროს წარმოითქმებოდა, იგი მრევლს განუმარტავდა სამყაროს შექმნის საიდუმლოებებს. ამიტომაც გარდა ეგზეგეტიკური შინაარსისა, ამ თხზულებას ახლავს სამოძღვრებო შეგონებანიც, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის აღნიშნულ ნაშრომს. ასეთი რამდენიმე მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, როდესაც ის საუბრობს ზღვის ფრინველებსა და ცხოველებზე და, მათი მაგალითით, ადამიანს ღვთის რწმენას, სიკეთეს, უბოროტობას, სიბრძნესა და სიწმიდეს ასწავლის. მოვიხმობ ამ უმშვენიერეს ადგილებს „ექუსთა დღეთას" განმარტებიდან. ბასილი კესარიელს მოჰყავს ფუტკრების მაგალითი: ფუტკრების საქმიანობა, როგორც ცნობილია, ყველასთვის სასარგებლოა, საინტერესოა მათი მოქმედება – ისინი მეფეს ემორჩილებიან, სანამ მეფე არ აფრინდება, არცერთი ფუტკარი არ გაფრინდება და მეფეს არ გაუსწრებს; უცნაური კი ისაა, რომ მეფეს არ ირჩევენ, არც მეფე იჩემებს მეფობას – მძლავრობით არ ცდილობს

[39] იქვე, 110,25-30; 111,5.

ადგილის დამკვიდრებას, იგი ბუნებით იბადება გამორჩეული ყველასგან: „მეფესა მას ფუტკრისასა ბუნებით აქუს მთავრობაჲ ყოველთა ზედა, რამეთუ უფროჲს არს იგი მათ ყოველთასა გუამითა და ხატითა და სიმშჳდითა სულისაჲთა".[40] და ეს სულის სიმშვიდით (და არა სხვების დაჯაბნით) გამორჩეული ფუტკარი–მეფე იმითაც გამოირჩევა, რომ არა აქვს ისარი და არავის არაფერს არ ვნებს, შურს არ იძიებს; ის ფუტკარი კი, რომელიც მას არ დაემორჩილება, თვითონ შეინანებს თავის უგნურებას და საკუთარი ისრის ცემით კვდება. აქ ბასილი დიდი იშველიებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს და მის სიტყვებს აფორიზმის სახით გვაწვდის: „ისმინეთ ქრისტეანეთა, რომელთა-იგი ბრძანებულ არს, რაჲთა არა მიაგონ ვისმე ბოროტი ბოროტისა წილ, არამედ სძლონ კეთილითა ბოროტსა მას" (jAkouevtwsan Cristianoi;, o|i~ provstagmav ejsti mhdeni; kako;n ajnti; kakou` ajpodidovnai, ajlla; nika`n ejn tw`/ ajgaqw`/ to; kakovn).[41]

კესარიის მღვდელმთავარი მოგვითხრობს ზღვის ფრინველის კირიონის შესახებ (ბერძნ. hJ ajjlkiwvn, ლათ. alcedo hispida), რომელიც ზღვის კიდესთან იბუდებს და შუა ზამთარში ჩეკს მართვეებს, როდესაც არის ძლიერი ქარი და ზღვა მას კვერხებიანად ნაპირზე გამოსვამს. შვიდი დღის განმავლობაში, როდესაც კირიონი კვერცხებს აზის, ქარი ჩადგება და ზღვაც წყნარდება, მეშვიდე დღეს კი მართვეები იჩეკება. გარდა ამისა, კიდევ შვიდ წყნარ დღეს აძლევს ღმერთი ამ ფრინველს, რათა მართვეები

[40] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 113,5-8.

[41] იქვე, 115,13-14, Basile de Cesarée, Homélies sur l'Hexaéméron, 448,173B, შდრ. : „და ნუცა ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; …ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლე კეთილითა ბოროტსა მას(რომ.12,17-21), Mhdeni; kako;n ajnti; kakou` ajpodidovnte~...mh; nikw` uJpo; tou` kakou`, ajlla; nivka ejn tw/` agaqw`/ to; kakovn(Rwm.12,17-21).

გამოზარდოს, ისე რომ „მენავეთაცა ყოველთა იციან ესე და უწოდიან მათ დღეთა კჳრეონიანნი. ესენი გასწავებენ შენ, რაჲთა ითხოვდე ღვთისაგან ყოველსა,"–მიმართავს ბასილი დიდი ადამიანს, რადგან თუკი ებრძანა ზღვას დაყუდება ერთი ფრინველისათვის, რამდენად მეტ სასწაულს მოახდენს ღმერთი „შენთჳს, რომელი-ეგე ხატი ხარ ღმრთისა".[42]

ამის შემდგომ ბასილი დიდი საუბრობს გვრიტზე, რომელიც ქმართან განშორების შემდგომ, თურმე, სხვა ქმარს აღარ ღებულობს – პირველი ქმრის მოგონებით. კესარიის ეპისკოპოსი მიმართავს ქვრივ ქალებს, – ფრინველმაც კი იცის ქვრივობის მშვენიერება მრავლად ქორწინებას რომ აღემატებაო:„ისმინეთ ესე, დედანო, ვითარ შუენიერებაჲ ესე ქურივობისაჲ უვაღრეს არს პირუტყუთაცა თანა და უპატიოსნეს მრავლად ქორწინებისა”[43].

ცხოველების შესახებ სიტყვა ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, მოვიყვანთ ზღვის ზღარბის მაგალითს, რომელზეც ბასილი დიდი მოგვითხრობს: ეს, ერთი შეხედვით, უშნო და პატარა არსება მენავეთათვის ზღვის ღელვისა და დაყუდების მასწავლებელია, ის წინასწარ გრძნობს მოახლოებულ ქარსა და ზღვის ღელვას, ამ დროს ამოირჩევს დიდ ქვას, ზედ გაეკრობა, რომ ტალღებმა არ წაიღოს და ამით მენავეები ხვდებიან, რომ ღელვაა მოსალოდნელი და ზღვაში არ უნდა შევიდნენ. ასე რომ, უფალმა ამ, თითქოსდა შეურაცხ არსებაში დიდი

---

[42] იქვე, 116,5-15, ლათინურ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: „alcedo (halcedo),inis f ალკუნი(ფრინველი,რომელიც ბარტყებს ჩეკს ზამთრის თბილ დღეებში “ და აქედან წარმოებული სიტყვაა alcedonia(halcedonia)orum [alcedo](sc.tempora)1)ზამთრის წყნარი, უქარო დღეები; 2)სიწყნარე, სიჩუმე”, И.Х.Дворецкий, Латинско-Русский словарь, Москва, ,»Русский язык.», 1976.

[43] ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა, 116,20.

სიბრძნე და სასიცოცხლო სიკეთე ჩადო: „არავინ ვარსკვლავთ-მრიცხველთაგანმან, არცა ქალდეველთამან ასწავა ესე გრძღაბსა, რომელნი-იგი სცნობენ სიორძილსა ჰაერისასა აღმოსლვითა ვარსკულავთაჲთა, არამედ უფალმან ზღჳსამან და ქართამან ყო მცირესა ამას შინა ცხოველსა სასწაული ცხადი სიბრძნისა თვისისაჲ. არარაჲ არს ღმრთისა წინაშე შეურაცხ და უღუაწ, ყოველსავე ჰხედავს თუალი იგი დაუძინებელი და ყოველივე მის წინაშე არს, რომელი მომცემელი არს ყოველთავე ცხორებისაჲ."[44]

პირველ დღეს განუმზადებელი ქვეყანა მეექვსე დღეს განმზადებულ იქმნა. ამ დროს უკვე შექმნილია სამყარო მთელი თავისი ბრწყინვალებითა და „სამკაულით" (როგორც მას უწოდებს ბასილი დიდი): ცა – მნათობებითა და ვარსკვლავებით, დედამიწა უმშვენიერესი მცენარეული საფარით, ცხოველებით, ფრინველებით, ზღვა – თავისი ბინადრებით და წყალმცენარეებით. ღვთის სიბრძნით ისე შეიქმნა ცა და დედამიწა, როგორც გრიგოლ ნოსელი წერს, რომ ღმერთმა ყოველ ქმნილებაში ჩადო რაღაც თვისება, რაც მიგვანიშნებს მის ქმნილებისეულ წარმომავლობაზე და ცვალებადობაზე. ეს შეეხება ცას და დედამიწასაც. ცვალებადობა ადამიანის ბუნებაშიც იგულისხმება შესაქმიდანვე, რადგან არარსებობიდან არსებად შექმნა ღმერთმა.[45] ასე იმიტომ განაგო შემოქმედმა, რომ ყველამ კარგად გააცნობიეროს, რომ ღმერთია დამბადებელი, და ერთადერთი ის არის მარადიული და უცვლელი,

[44] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 103, 25-33

[45] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს", თბილისი, „მეცნიერება", 1964, 144-145, 181,10-15

თავი დაიმდაბლონ მის წინაშე და ადიდონ უფალი– თავისი შემოქმედი. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბასილი დიდი სამყაროს შექმნის კომენტირებისას[46] და იგივე აზრს გამოთქვამს წმ. გრიგოლ ნოსელი, როდესაც წერს: „მისთჳს განაგო ესე, რაჲთა არა იყოს თითოვეულებაჲ ღმრთეებისაჲ, რომელი შოვრ არს შეცვალებისაგან და გარდაქცევისა"[47].

„აღესრულნეს ცაჲ და ქუეყანაჲ და შეიმკვნეს ყოველნივე შუენიერებითა მისითა – ცა მბრწყინვალებითა მნათობთაჲთა, ხოლო ზღუაჲ და ჰაერი ცხოველთა მათგან, რომელნი იქცევიან მას შინა; და ქუეყანაჲ – მცენარეთაგან და ფერად–ფერადთაგან ნერგთა... და არნ ყოველი

დაბადებული მხიარულ ბრძანებითა ღმრთისაჲთა",[48] – აღწერს გრიგოლ ნოსელი სამყაროს დაბადებას და დასძენს: „ყოველნი სიმდიდრენი დაბადებულთანი იქმნეს განმზადებულ ჴმელთა ზედა და ზღუათა, და არა იყო ჯერერთ მფლობელი იგი ამათი გამოჩინებულ"[49]. მთელი სიმდიდრე, რაც ღმერთმა შექმნა სამყაროსა და მისი ბინადრების სახით (ყველა ქმნილებით, გარდა ადამიანისა) ბრწყინავდა ღვთის წინაშე თავისი დიდებითა და იმ პირველქმნილი მშვენებით, როგორც ღმერთმა შექმნა, მაგრამ არ ჩანდა პატრონი, ვისთვისაც ყოველივე ეს შეიქმნა, რადგან თავად უფალი არაფრის ნაკლულევანებას არ განიცდიდა არასდროს და არც ეს სამყარო სჭირდებოდა პირადი

[46] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 63, 15-25
[47] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 145,10
[48] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 145, 25–30.
[49] იქვე, 146, 10.

მოთხოვნილებისათვის, უნდა შექმნილიყო ის, ვისაც ეძღვნებოდა ეს დედამიწა.

მოსდევს კიდეც ლოგიკურად ბიბლიაში სამყაროს შექმნის ხუთი დღის მოვლენებს ტექსტი, რომელიც მეექვსე დღეს ადამიანის შექმნას გვაუწყებს: : „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ (kat j eijkovna hJmetevran kai; kaq; jjjjjjjj oJmoivwsin). და მთავრობდეს თევზთა ზღჳსათა … და ყოველთა … ქუეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი. ხატებად ღმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნ[ნ]ა იგინი. და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას და ჰმსთავრობდით თევზთა ზღჳსათა … და იქმნა ეგრეთ. და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა. და აჰა კეთილ ფრიად (kai; ijdou; kala; livan). და იყო მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეექუსე (შეს.1,26–31)… შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი, მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოვლად” (შეს.2,7).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქმნილებების შექმნისას უფალს არ უმსჯელია, ადამიანის შექმნისას კი იმსჯელეს წმიდა სამების ჰიპოსტასებმა – მამამ, ძემ და სულიწმიდამ ურთიერთშორის. ამაზე მიგვანიშნებს მრავლობით რიცხვში ნახმარი ზმნა „ვქმნეთ”. ძე ღმერთის თანამონაწილეობას მამა ღმერთის შემოქმედებით პროცესში ადასტურებს იოანეს სახარების დასაწყისი: „პირველითგან იყო სიტყუა (სადაც, როგორც ცნობილია, „სიტყუა” იესო ქრისტეს ეპითეტია) და სიტყუა იგი იყო

ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი... და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა" (იო. 1,1-3). სულიწმიდის მონაწილეობა ქვეყნიერების შექმნისას „შესაქმის" წიგნის პირველივე მუხლშია ნათქვამი, რომ „სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალსა" (შეს.1,1-2); ამავე აზრს ადასტურებენ წმიდა მამები: ეფრემ ასური, კირილე ალექსანდრიელი, ბასილი დიდი[50], გრიგოლ ნოსელი წერს ამის თაობაზე: „რომელმან იგი თქუა: „ვქმნეთ ხატად ჩუენდა", თქუა სიმრავლითა სამებისაჲთა და არა აჴსენა ხატებაჲ ერთითა ხოლო".[51]

სამყაროს შექმნისას ყოველი დღის ქმედება მთავრდებოდა ღმერთის მიერ საკუთარი შემოქმედების ნაყოფის ხილვითა და შეფასებით – რომ „კეთილია" ის, რაც შეიქმნა. ბასილი დიდის განმარტებით, ეს სიკეთე გულისხმობდა ქმნილების არა მხოლოდ გარეგნულ მშვენიერებას (იგულისხმება, რომ ღვთისგან ქმნილი ყოველივე მშვენიერია), არამედ, უპირველესად, შექმნილის კეთილ თვისებებს, „კეთილში" იგულისხმებოდა ქმნილებაზე ღმერთის ზრუნვაც–რომ მას ღვთისგან არაფერი მოაკლდებოდა და, თავის მხრივ, ქმნილების შესაძლებლობაც – რომ მას სიკეთის მოტანა შეეძლო ამ სამყაროში, მისი არსებობა არამარტო გამართლებული, მიზანდასახულიც იყო, ყოველი ქმნილება ერთმანეთის არსებობას უწყობს ხელს (მზე– ბალახის აღმოცენებას და ა.შ.), ასეთია ღვთის ჩანაფიქრი სამყაროს შექმნისას. თუ სხვა ქმნილებების დაბადებისას ნათქვამია „კეთილ', ადამიანის შექმნისას ნათქვამია „კეთილ ფრიად", რაც ადამიანის დაბადების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და

[50] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 135-136
[51] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 151, 20

გამორჩეულად კეთილ თვისებებზე მიგვანიშნებს. მისი გამორჩეულობა, უპირველეს ყოვლისა, იმას გულისხმობს, რომ ადამიანი შეიქმნა არა მხოლოდ ღვთის მიერ, არამედ ღვთის ხატად და მსგავსად, რაც მის სულიერ სიკეთესა და ფიზიკური მშვენიერების სრულყოფილებაზე მეტყველებს. როგორც გერმანელი მეცნიერი ფრ. რიში აღნიშნავს, ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა მშვენიერია და ეს მშვენიერების სისრულე ყველა არსებაში უნდა განვიხილოთ. ნივთიერი სამყაროსა და ცხოველების შექმნისას ნათქვამია ზოგადად „კეთილი", რადგან მრავალფეროვანია ქმნილებები –ცხოველები, მცენარეები და სხვა ყველაფერი, ადამიანის შექმნისას კი ნათქვამია „კეთილ ფრიად", რაც მის სრულყოფილებასა და უზადოობაზე მიგვანიშნებს, ფრიად ამყარებს უზადოობის მნიშვნელობას.[52]

ადამიანის გარეგნობა მის „მთავრობას" შეეფერება. წმ. გრიგოლ ნოსელის განმარტებით, ადამიანი განსხვავებით სხვა ქმნილებებისაგან, „მართლ მდგომარე არს და ცად მიმართ აღმართებულ არს და განიცდის, რომელ არს ზედა კერძო ყოველთა, დადგინებული მეუფედ, მოასწავებს ყოვლითურთ გზათა მთავრობისათა. და ესე მოსწავებაჲ არს ჭეშმარიტი, რამეთუ ყოველნი დამორჩილებულნი მხედველ არიან დამხედ, ქუე დამართ, გარნა კაცი ხოლო მარტოჲ თავაღებულად მდგომარე არს, ხოლო სხუანი ცხოველნი დაღონებულ არიან გუამითა, მოასწავებენ მორჩილებასა მთავრობისასა"[53]. ეს სიტყვები ასე უნდა გავიგოთ, რომ ადამიანი,

[52] Gregor von Nyssa über das Sechstagewerk (Bibliotek der Griechischen Literatur, B,49), eingel., übers., und komm. von Franz Xaver Risch, Anton Hiersmann / Stuttgart 1999, 78-79.
[53] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 154,15-20.

განსხვავებით ცხოველთაგან, წელში გამართული ზეცას შეჰყურებს და იძულებით მიწას არ დაჰყურებს, როგორც ოთხფეხი, თევზი ან ფრინველი; ყველა სხვა ქმნილება იძულებით, როგორც მორჩილებაში მყოფი, მიწისკენ იყურება, ადამიანი ერთადერთია, რომელიც განიცდის –ხედავს და აღიქვამს მის ზემოთ ზეცაში რაც ხდება, იგი იძულების გარეშეა და თავისუფალია მოქმედებასა და მოძრაობაში ფიზიკურადაც – თავისი აღნაგობით. ყოველივე ეს შემთხვევითობას კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ ღვთის განგებას („ესე მოსწავებაჲ არს ჭეშმარიტი"), რადგან ღმერთმა დაჰბადა ადამიანი დედამიწაზე არსებული ყოველი ქმნილების ხელმწიფედ და მისი საქმე და ცხოვრება ხელმწიფების შესაფერისია („მოასწავებს ყოვლითურთ გზათა მთავრობისათა"). უფრო დაწვრილებით და ცოტა ხნით ადრე გრიგოლ ნოსელის კომენტარამდე ამ საკითხს ბასილი დიდი ამგვარად განიხილავდა: პირუტყვი ქვეყანისაგან არის და მიწას დაჰყურებს, ადამიანი კი ზეცის მოქალაქეა; როგორც გაყო ხატი, ანუ გარეგნობა ცხოველისა და ადამიანისა და განასხვავა ღმერთმა, ისე განასხვავა სულიც ცხოველისა და სული ადამიანისა. ცხოველის თავი დადრეკილია და მუცელს დაჰყურებს, „ეძიებს გემოთა ყოვლით კერძოვე, ხოლო თავი შენი ზეცად მიმართ ამაღლებულ არს, და თუალნი შენნი ზეაღმართ იხედვენ. და უკუეთუ შენ ოდესმე შეურაცხ ჰყო თავი თჳსი ვნებითა ჴორცთაჲთა და ჰმსახურო მუცელსა, და რომელი-იგი ქუეშე-კერძო მუცლისა არს, მიემსგავსე შენ პირუტყუთა უგუნურთა (ფს.48,13). არამედ ზრუნვაჲ იგი, რომელი ჯერ-არს შენდა, რაჲთა ზესკნელსა ეძიებდე, სადაცა –იგი ქრისტე არს (კოლ3,1),

და იყო გონებითა შენითა ზედა-კერძო ქუეყანისათა. ვითარცა-იგი დაებეჭდა ხატი დაბადებისა შენისაჲ, ეგრეთვე ყავ ცხორებაჲ შენი. იყავნ მოქალაქობაჲ შენი ცათა შინა (ფილიპ. 3,20) და სამკჳდრებელი შენი იყავნ იერუსალჱმი ზეცისაჲ; და მოქალაქენი შენნი და ნათესავნი იყვნედ პირმშონი იგი ზეცისანი (ებრ.12,12)[54]". ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ ადამიანს გარეგნობა მიეცა მისი უკვდავი სულის შესაფერისი, რათა თავისი ცხოვრებითაც ღვთაებრივი, ზეცის მოქალაქე იყოს და პირუტყვივით საჭმლის ძიებასა და გემოთმოყვარეობაში არ გაატაროს ცხოვრება. ადამიანი მოწოდებულია სულიერი ცხოვრების, ღმერთთან კავშირის, გონიერი საქციელისა და საკუთარი სხეულის ფლობისთვის. თუ ადამიანი სხეულზე გადაჭარბებულ ზრუნვას და პირუტყვის მსგავსად მუცლის მსახურებას გადაჰყვება, იგი კარგავს ამ ხატისმიერ მშვენიერებას, რომელიც მას ღვთისგან მიენიჭა და დავით წინასწარმეტყველის სიტყვით რომ ვთქვათ, „ემსგავსება პირუტყუთა უგუნურთა". ბასილი დიდი მოუწოდებს ადამიანს პავლე მოციქულის მსგავსად, რომ მისი ზრუნვა იყოს იმ სამყაროსკენ მიმართული, სადაც ქრისტეა და გონება ზეცას მიაპყროს, რათა იყოს ზეცის მოქალაქე, დაიბეჭდოს და შეინარჩუნოს ხატი, რომელიც ღვთისგან ებოძა, რათა მან და ნათესავმა მისმა დაიმკვიდრონ ზეციური იერუსალიმი.

სამოთხის ბაღში დაწესებული მორჩილება :„ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამო, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით

[54] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 125, 5-25

მოჰკუდეთ”(შეს.2,7), სწორედ საკუთარი სხეულის ფლობისა და გონების როლის დაწინაურებისთვის მიეცა ადამიანს ღვთისგან; მას, როგორც თავისუფალი ნების მქონე არსებას, კეთილი ნება უნდა გამოეჩინა და დაემტკიცებინა, რომ სულიერია, სხეულს და მიწიერ საზრუნავს სული და ღმერთი ურჩევნია. ამგვარად ადამიანი საკუთარ ცხოვრებას წარმატებულს ხდის ღვთის წინაშე და ემსგავსება „ძირსა მას შუენიერებისასა” (ძვ. ქართ. თარგმანით) – უფალს. გ.ფლოროვსკი წერს ბასილი დიდის ამ კომენტართან დაკავშირებით: „სამყაროს წყობაში არის საფეხურები სულ უფრო მეტი სრულყოფისაკენ. კიბის მწვერვალზე კი დგას ადამიანი. მაგრამ ის შექმნილია სხვაგვარად, ვიდრე ქვედა სამყარო, რაც აისახება ბიბლიური თხრობის გარეგნულ ფორმაშიც, რომელიც ცხადად გვიხსნის „ჭეშმარიტების დოგმატს”,–შემოქმედებით პროცესში სიტყვა-ღმერთის „მონაწილეობის” შესახებ. ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად. ის უკვდავია და შექმნილია სულიერი ცხოვრებისათვის”[55]. ადამიანი, ბასილი დიდის თქმით, სულიერ არსებათა შორის (იგულისხმება მიწიერი არსებანი) არის ერთადერთი ღვთისმსგავსი არსება. შექმნილ ადამიანში ღმერთმა ჩადო „რაღაც თავისი საკუთარი მადლისგან, რათა ადამიანს მსგავსით მსგავსი შეეცნო”[56]. ამ კომენტარს შეიძლება დავურთოთ ის, რომ სხვა ქმნილებები (დედამიწაზე არსებული) ღვთის შეცნობისთვის არ არის მოწოდებული, ისინი მიწიერად ცხოვრობენ და ამისთვის დაჰბადა ღმერთმა, ადამიანი კი უკვდავია, სულიერი ცხოვრებისთვის არის მოწოდებული, ღმერთის შეცნობისთვის უნდა მოემზადოს თავისი

[55] Г.В.Флоровский, Восточные отцы IV века, (Второе издание), YMCA-PRESS, Paris, 1990, 67
[56] იქვე.

ამქვეყნიური ცხოვრებით, უნდა ისწავლოს მიწიერზე ამაღლება, რათა საუკუნო ზეციური სამყოფელი დაიმკვიდროს; ღვთის მსგავსი ხატი მიეცა, რათა ღვთის მსგავსი სულით იცხოვროს და მსგავსმა – მსგავსი (უფალი) შეიცნოს. სხვაგვარად ადამიანი ვერ შეძლებს ღმერთის გვერდით, მის სამყოფელში არსებობას. წმ. გრიგოლ ნოსელი საუბრობს სამოთხის აკრძალული ხის ნაყოფის შესახებ, რომ მასში ბოროტება განშიშვლებული, ანუ ცხადი არ იყო, არამედ დაფარული იყო კეთილის საბურველით. ბოროტება რომ შეუფარავი ყოფილიყო, მაშინ არავინ წაეტანებოდა იმ ნაყოფს და ყველასათვის საძულველი იქნებოდა. „რამეთუ ბუნებაჲ ბოროტისაჲ შეზავებულ არს, რომელსა შინაგან დამალული გულისწყრომაჲ დამკჳდრებულ არს. ხოლო გარეშეთ აჩუენებს სახესა კეთილისასა”[57]: ასევე კეთილიც არსებობს ჭეშმარიტად კეთილი და არსებობს ისეთიც, რომელიც კეთილი გგონია, მაგრამ ბოროტია. „ამისთჳსცა გულის-თქუმაჲ ესე, რომელი კეთილად საგონებელ არს, უწოდა მას ღმერთმან ცნობაჲ კეთილისაჲ და ბოროტისა, მოასწავებს ცნობითა მით ორთა მათ შეზავებასა და შეერთებასა. აწ უკუე ბოროტი არა ხოლო ურწყოდ ბოროტ არს, არამედ დაფარულ არს კეთილსა მას შინა; და არცა კეთილი განტევებულად კეთილ არს, რამეთუ ბოროტი იგი მას შინა დამალულ არს. არამედ ხილი იგი არს შეზავებულ, რომლისა გემოჲს ხილვაჲ მიიყვანებს სიკუდილდ, რომელი მიეახლოს მას”[58]. წმ.გრიგოლ ნოსელი იშველიებს ბიბლიის სიტყვებს, რომ გველმა სახილველად კეთილად მოაჩვენა აკრძალული ხის ნაყოფი დედაკაცს და

[57] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 191, 15-30
[58] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 192, 1-10.

გემოც მისცა კარგი, რომ ეცდუნებინა ის. გარეგნულად ლამაზი და გემოთი მიმზიდველი ნაყოფი კი გულისწყრომას აღძრავდა ადამიანში და თვისებით ბოროტი იყო. ამიტომ წმ. გრიგოლ ნოსელი ცხადად ამბობს, რომ ის, რაც ჭეშმარიტად კეთილია, არ არის აგებული ბუნებით და ბოროტებასთან შეუზავებელია, ხოლო „განწვალება"(ძვ.ქართ.), მრავალფერად ჩვენება ბოროტების თვისებაა.[59] ადამისა და ევას კეთილი ნება უნდა გამოვლენილიყო ღვთის სიტყვის ნდობასა და ღვთის ნების აღსრულებაში, რითაც ისინი ღვთის სიყვარულს დაამტკიცებდნენ და ბოროტებას – გველის სიტყვას განეშორებოდნენ, ღვთის ხატებას და მსგავსებას დაიმკვიდრებდნენ. ღვთის სიყვარულის მოპოვებით ისინი ღვთის მეგობრები გახდებოდნენ, რადგან უფალი თავის ერთგულ ხალხს ეტყვის, რომ იცნობს მათ, ხოლო „ბოროტთა მათ ეტყჳს: „ყოვლადვე არა გიცნი თქუენ.[60]

ადამიანი დედამიწაზე არსებულ ქმნილებათაგან ერთადერთი მეტყველი არსებაა. როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს, „ჴელნი შემწე არიან საზრახავისათჳს"[61], რადგან ხელით წერს ადამიანი, როდესაც პირადად საუბარი მოუხერხებელია. ამიტომ ადამიანს გაუთავისუფლდა ხელები და პირუტყვივით ოთხფეხი არ არის, არც პირით ეძიებს საჭმელს, რადგან ღმერთმა გონიერი არსებობისთვის დაჰბადა და პირი მიეცა, რათა იმეტყველოს და აზრი გამოთქვას[62]. „ხოლო ჩუენ ვიტყჳთ", დაასკვნის ნისის ეპისკოპოსი, – „რამეთუ მოგუცა ჩუენ სიბრძნჱ და

[59] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 192, 1-15.
[60] იქვე, 191, 1-10.
[61] იქვე, 154, 25.
[62] იქვე, 159,15.

გონიერებაჲ, და სახიერებითა მისითა მოგუანიჭა ჩუენ მსგავსებაჲ თჳსი და შუენიერებაჲ შუენიერებისა თჳსისაჲ”[63]. ღვთაებრივი მშვენიერების ჩვენში ასახვად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ყველა ქმნილებაზე აღმატებული არსებობა, როგორც ბრძენი, გონიერი, კეთილი ქცევითა და მეტყველების უნარით შემკული არსებისა.

„ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა” – ამ სიტყვებს ბასილი დიდი ამგვარად ხსნის: „ვის ეტყჳს მსგავს ჩუენდაო? ვის სხუასა, გარნა მას, რომელი –იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი გუამისა მისისაჲ, რომელი-იგი არს ხატი უხილავისა ღმრთისაჲ. არამედ იტყჳს სამე უკუე, „ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდაო”, ხატსა მას თჳსსა ცხოველსა, რომელმან იგი თქუა: მე და მამაჲ ერთ ვართ* და : რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი**. სადა ხატი ერთ არსო, მუნ არა არს ცვალებაჲ”[64]. „სადა ხატი ერთ არს, მუნ არა არს ცვალებაჲ”, –გულისხმობს, რომ მამას და ძეს ერთი ხატი აქვთ ბუნებით და რადგან ძე ღმერთი თანაარსია მამისა, ისიც მარადიული და უცვლელია ბუნებით. ბასილი დიდი ძე ღმერთს უწოდებს მამის „ცხოველ ხატს”. თუ როგორი ხატია ღვთისა ადამიანი, ამის კომენტარად მოვიყვანთ წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებს: „პირმშოჲცა იგი ხატი უხილავისა ღმრთისაჲ, რომელი ქალწულისაგან განკაცნა, იქმნა ყოვლითურთ მსგავსებით კაცობრივისა ბუნებისა... რაოდენცა შესაძლებელ იყოს, სათნოებათა ფერნი წმიდანი, ჴელოვანთა რაჲთმე შეერთებითა შეზავებულნი, ბრწყინვალედ გამოხატვისა ძალად ვიჴუმინეთ, რაჲთა

[63] იქვე, 158,10-15.
*იო.10,30; **იო.14,9.
[64] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 135, 15-25

ვიქმნნეთ ხატ ხატისა მის საუფლოჲსა, გამოწულილვით მიმსგავსებითა, რაოდენცა შეუძლოთ პირმშოჲსა ხატისა სიკეთე თავთა შორის ჩუენთა გამოვაჩინოთ”[65]. როგორც ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, „პირმშოჲ იგი ხატი უხილავისა ღმრთისა”, ქალწულისაგან განკაცებული არის ქრისტე – ძე ღვთისა, ხოლო ჩვენ მოგვიწოდებს წმ. მამა, რომ გავხდეთ „ხატ ხატისა”, ანუ ქრისტეს ხატნი, რამდენადაც ჩვენს ძალებს შეესაბამება –მრავალფერ სათნოებათა მოპოვებით და ზედმიწევნით მიმსგავსებით, რათა სიკეთე პირმშოჲსა ხატისა – ქრისტესი ჩვენს შორის გამოვაჩინოთ და მსგავსი ღვთისა გავხდეთ.

ის, რომ ადამიანის შექმნას წინ უძღვის მსჯელობა, განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ როლს ამ ახლადშექმნილ სამყაროში. წინასწარ გადაწყვიტა ღმერთმა – რა სახით შეექმნა ადამიანი, ვის ემსგავსოს, რა საქმით იყოს დაკავებული და როცა დაიბადება, რისი მთავარი იყოს.[66] როგორც წმ.გრიგოლ ნოსელი წერს, ასეთი ზედმიწევნითი მსჯელობა ადამიანის გამო განპირობებული იყო ერთი მიზეზით: „რაჲთა დაჰბადოს ბუნებაჲ მიმსგავსებული საქმესა თჳსსა, რომლისათჳს დაებადა”.[67] როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს და ბასილი დიდის კომენტარებშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, ყველა ქმნილება რაღაც საქმისთვის გაჩნდა, უმიზნოდ არაფერი დაბადებულა, ყველაფერს და ყველას რაღაც სიკეთის მოტანა შეუძლია. ადამიანი კი გაჩნდა განსაკუთრებული საქმისთვის და მისი ბუნებაც შექმნა ღმერთმა ორგვარი, როგორც მის საქმეს შეეფერებოდა: 1)გონებითა

---

[65] ე. ჭელიძე, ადამიანი –ხატი პირმშოხატისა, ჟურნალ „გზა სამეუფოს” დანართი 1, თბილისი 1995,33, PG 46, 272B, გ„მთაწმიდელის თარგმ. A –55,267v 1-2.

[66] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 148,5-10.

[67] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 148, 20.

და სულით ადამიანი მოწოდებულია ღვთისაკენ სწრაფვისთვის, ხოლო 2)სხეულით და ფიზიკური მოთხოვნილებებით ის უკავშირდება დედამიწას, საიდანაც ის ფიზიკურად საზრდოობს („და ამით ესევითარითა სახითა ყო მზრდელმან მან ბუნებისა ჩუენისამან, მდიდარმან და მეუფემან, რაჟამს შეამკო დაბადებული ყოვლითა შუენიერებითა და განჰმზადა საყოფელი ესე დიდებული და პატიოსანი, მაშინ-ღა შემოიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვნილი და მომზადებული. და ამისთჳს ყო მას შინა მიზეზი ცხორებისაჲ მრჩობლად და შეჰრია საღმრთოჲ იგი ქუეყანისასა მას, რაჲთა იწოდოს და სახელ-ედვას ორთავე მათ: ერთი იგი ღმრთისა ბუნებითა გონებისაჲთა, ხოლო მეორჱ იგი კეთილთა ქუეყანისათა განშუებად საგრძნობელითა ჴორციელითა”[68]. ადამიანის საქმედ უნდა მივიჩნიოთ მეფობა. ადამიანის დაბადებას ყველა ქმნილებაზე გვიან გრიგოლ ნოსელი სწორედ ადამიანის განსაკუთრებული პატივით და მისიით ხსნის, რომელიც მას ღვთისგან დაეკისრა: „ამისთჳს შეიყვანა კაცი სოფლად უკუანაჲსკნელ ყოველთა დაბადებულთა, არა თუ შეურაცხებისა მისისათჳს უკუანა მოაქცია, არამედ რაჲთა იყოს მეფე დაბადებითგანვე მისით, ვითარცა-იგი ვის ჰნებავნ სერისა ყოფაჲ, თანა-აც მას, რაჲთა განჰმზადოს პირველად, რაჲ-იგი უჴმს საჭმლად, და მაშინ-ღა მოუწოდოს ჩინებულთა მათ”.[69] როგორც ვხედავთ, ჩინებული სტუმრის მოწვევას ადრის წმ. მამა ადამიანის დედამიწაზე მოსვლას და გვიხსნის, რომ მანამ არ მოიწვია, ანუ არ შექმნა იგი უფალმა, სანამ სუფრა არ გამზადდა

[68] იქვე, 147, 17-25.
[69]გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 147, 10-15.

საპატიო სტუმრისთვის, ე.ი. სანამ არ ჩათვალა, რომ მას ღირსი პატივი დახვდებოდა ყოველგვარი სიკეთით შემკული დედამიწის სახით. ადამიანის მეფობას და მასზე ზედმიწევნით ზრუნვას უფლისმიერ ხაზგასმით და დაწვრილებით აღწერს გრიგოლ ნოსელი და ამბობს, რომ მცენარე, ცხოველი და ყველაფერი, რაც დედამიწაზეა ადამიანისთვის შეიქმნა მთელი თავისი სიკეთითა და მშვენებით, და ასევე „მსგავსებაჲ ოქროჲსაჲ და ვეცხლისაჲ და ესე ქვანი პატიოსანნი მბრწყინვალენი, რომელნი საკჳრველად ჩანედ წინაშე კაცთა, რამეთუ ესე ყოვლითურთ დაიუნჯნეს კაცისათჳს უბესა შინა ქუეყანისასა, ვითარცა საგანძურნი მეფეთანი".[70] ასე რომ, დედამიწის წიაღიც თავისი საგანძურით ადამიანისთვის, როგორც ჭეშმარიტი მეფისთვის არის გამზადებული. თუ რას ნიშნავს ადამიანის მეფობა, ამაზე პასუხს იძლევა წმიდა წერილი და პატრისტიკული ლიტერატურა. „ეწოდა მას სახელი მეფჱ, არა თუ ამისთჳს, რამეთუ ჰმოსიეს მას შემკულებაჲ მეფეთაჲ გჳრგჳნი,... არამედ რამეთუ ჰმოსიეს სათნოვებაჲ",[71] წერს გრიგოლ ნოსელი და აქვე განმარტავს, თუ რომელია ეს სათნოებანი, რომლითაც ჭეშმარიტი ცხოვრება უნდა შეიცნოს ადამიანმა: „უბიწოვებაჲ და სიწმიდჱ და სიწრფოვებაჲ და განშოვრებაჲ ყოვლისაგან ბოროტისა. და ესევითარითა სახითა, რომლითა ემსგავსების კაცი დამბადებელსა თჳსსა"[72]. ბოროტება კი არის ცოდვის დამონება, რომლითაც იწყება „შეცვალებაჲ ხატებისაჲ

[70] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 146-147, 4.
[71] იქვე, 149, 10.
[72] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 150, 5.

პირუტყუთა მსგავსებასა, ვიდრემდის ყოველი ბუნებაᲘ მიემსგავსის სახესა პირუტყუთასა”[73].

სათნოებათა მოპოვება ხდება ადამიანის გონიერი საქციელით. გრიგოლ ნოსელი გონების როლს ადამიანის მიერ ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიკეთის მოპოვებაში ამგვარად ხსნის: ყველანაირი სიკეთის სრულყოფილება ღმერთია, რომლის მიმართ მიისწრაფვის ყოველი კეთილისმოსურნე; ამიტომ გონება არის ხატი კეთილისა მანამ, სანამ ემყარება მშვენიერების საფუძველს („ძირს”) – ღმერთს, თავისი ძალის შესაბამისად, ამ ფარგლებში იგი არის მშვენიერი; ღმერთს მიდევნებული გონება მართავს ადამიანის სხეულს და ღვთის ხატებას და მსგავსებას შეუნარჩუნებს და მოუპოვებს უფრო მაღალ ხარისხში. როგორც კი გონება ღმერთთან კავშირს გაწყვეტს, იგი ვეღარ მართავს სხეულს და იწყება უკუპროცესი: ვნებები ანუ ცოდვა იმძლავრებს ადამიანის სხეულზე, ვნებებს დამონებული სხეული მართავს გონებას და მას ღვთაებრივ მშვენიერებასა და სიკეთეს უკარგავს. შესაბამისად, ამგვარი ადამიანი ღვთის ხატებასა და მსგავსებას განეშორება.[74] გრიგოლ ნოსელის ამ კომენტართან დაკავშირებით პ. ბუტენეფი წერს: „nou`~” თავისთავად არ არის ღვთის ხატება უპირობოდ, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს არქეტიპთან საკუთარ მიმსგავსებაში. ის უნდა მართავდეს სხეულს და

[73] იქვე, 186, 20.
[74] იქვე, 166, 25-167.

არა პირიქით – სხეული არ უნდა მართავდეს გონებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს თავის ხატისმიერ მშვენიერებას”[75].

ასე რომ, თუ სათნოებანი მიამსგავსებს ადამიანს თავის დამბადებელს – უფალს, რისთვისაც მოწოდებულია ადამიანი, ამ სათნოებათაგან განშორება ხატებას და მსგავსებას აკარგვინებს მას, პირუტყვს ამსგავსებს და ღვთაებრივ სულს განაშორებს. პირუტყვთან მსგავსება ადამიანმა (ანგელოზებრივი ცხოვრების ნაცვლად, რისთვისაც ის მოწოდებული იყო თავისი ღვთაებრივი ხატითა და უკვდავი სულით) მიიღო ცოდვით დაცემისა და, აქედან გამომდინარე, პირუტყვთა მსგავსი შობიერების მიღებისაგან[76].

როდესაც წმიდა წერილში ნათქვამია ადამიანის შექმნის შესახებ, რომ „მამაკაცად და დედაკაცად შექმნ[ნ]ა იგინი” ღმერთმა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთშიც არის მამაკაცება და დედაკაცება, რადგან ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა. გრიგოლ ნოსელი იმოწმებს მოციქულის სიტყვებს და ამბობს ღვთის შესახებ, რომ „არა არს მას შინა მამაკაცებაჲ და დედაკაცებაჲ, ესენი პოვნილ არიან ცხორებასა მას შინა კაცობრივსა”[77]. მამაკაცად და დედაკაცად ადამიანის გაყოფა ადამიანის ორგვარი ბუნებიდან გამომდინარეა და მის ხატებასა და მსგავსებას კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ ამქვეყნიურისკენ მიდრეკილებით უნდა ავხსნათ. უფრო დაწვრილებით რომ განვმარტოთ, ღმერთმა ადამიანს არანაირი სიკეთე არ დააკლო, „შუენიერებასა მას ხატებისასა უკუეთუ აკლდეს

[75] Peter C. Bouteneff, Essential or existential: the problemof the body in the anthropology of st. Gregory of Nyssa, Gregory of nyssa: Homilies on the Beatitudes, ed. by Hubertus R. Drobner and Albert viciano, Brill. Leiden. Boston. Köln, 2001,412.

[76] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათჳს, 185, 23.

[77] იქვე, 179, 30 – 180,1

რაᲘმე, არა არს იგი ხატ. ხოლო ერთ არს რომელი განჰყოფს ღმრთეებასა კაცებისაგან, რამეთუ იგი დამბადებელი არს და ესე დაბადებული”[78], ე.ი. ადამიანის ხატისმიერ მშვენიერებას არაფერი არ აკლია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხატი ვერ იქნება, რაც განასხვავებს ადანიანს ღვთისგან არის ის, რომ ღმერთი დამბადებელია, ადამიანი კი დაბადებული. ნისის ეპისკოპოსის თქმით, „კეთილი იგი არათუ გუამი არს, არამედ სრულებაᲘ კეთილთაᲘ”[79], აქ უეჭველია, რომ „გვამ”-ში იგულისხმება არა სხეულის გარეგნული ფორმა, არამედ სწორედ მისი ხორციელი მიდრეკილება, რომელსაც კეთილს ვერ დავარქმევთ. აქედან გამომდინარე მოდის შემდეგ კიდევ განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც გააჩნია ადამიანს, როგორც ქმნილებას. „ვწამებთ, ვითარმედ დაუბადებელი იგი ბუნებაᲘ შეუცვალებელ არს თჳსისაგან წესისა უკუნისამდე. ხოლო დაბადებული არა არს გარნა შეცვალებათა მის გამო, რამეთუ არა შეიქმნა ვიდრე შეცვალებაᲘ არა იქმნა და ძრვაᲘ, რაჟამს იგი არა-არსისაგან შეცვალა არსად მადლითა თჳსითა დამბადებელმან,"[80] როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს ადამიანის ცვალებადობა მისი დაბადებიდან უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მანამ არ დაიბადა, სანამ არარსისაგან არ დაჰბადა ღმერთმა საკუთარი მადლით.

ადამიანს ღმერთმა არანაირი სიკეთე არ დააკლო და არ დააკლო არც თავისუფალი ნება, რადგან მეფედ შექმნა და მეფობისკენ მოუწოდა: „არა არს კაცი დამონებულ, არამედ ჴელმწიფე, მოქმედ მსგავსად ნებისა

[78] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათვის, 180,25-30.
[79] იქვე, 180, 10.
[80] იქვე.

თჳსისა, რამეთუ ყოველი, რომელი დაპატიჟებასა და იძულებასა ქუეშე არს, არა არს მას შინა აზნაურებაჲ, არამედ აზნაურებაჲ ესე არს, რაჲთა აქუნდეს ჴელმწიფებაჲ ნებასა ზედა თჳსსა”[81], თავისუფალი ნების წართმევა კი დამონებას ნიშნავს. რადგან მიენიჭა ადამიანს თავისუფლება, როგორც ხელმწიფეს და არ დაჰბადა ღმერთმა უფლებააყრილი, როგორც მონა, ამიტომ აგებს კიდეც პასუხს ადამიანი თავის საქციელზე ღვთის წინაშე. ბასილი დიდი ბოროტებას კეთილი ნებიდან გადახვევას უწოდებს: „რომელსა ზედა ჴელმწიფე ხარ, ნუ ეძიებ მიზეზთა მისთა გარეშეთ, არამედ უწყოდე, ვითარმედ ბოროტი ჭეშმარიტი ნებისა მიდრეკილობისაგან არს. და უკუეთუმცა არა ჩუენგან იყო და არცა ნებისა ჩუენისაგან, არამცა თანა –ედვა პატიჟი შჯულისაგან ძჳრის –მოქმედთა მათ მსგავსად საქმეთა მათთაებრ”.[82] ბასილი დიდი საუბრობს იმაზე, თუ რისი მფლობელია ადამიანი და რა არ ექვემდებარება მის ნებას: ადამიანის განკარგულებაში არ არის სიბერე ან ავადმყოფობა, ან რაიმე განსაცდელი, რომელიც მას შეემთხვევა (მაგ. ძაღლმა უკბინა); მაგრამ სიცრუე, ამპარტავნება და სხვა მრავალი მანკიერება ცოდვაა და ადამიანის მიერ თავისუფალი ნების ბოროტად გამოყენებაა, ამიტომაც ადამიანი მასზე პასუხს აგებს.[83] კესარიის ეპისკოპოსი თავისუფალ ნებაზე საუბრისას კომენტარს აკეთებს კეთილისა და ბოროტის შესახებ და ამბობს: „ბოროტი არა არს ბუნებაჲ ცხოველი და სულიერი, არამედ აღძრვაჲ სულსა შინა, წინააღმდგომი სათნოვებისაჲ, და არნ იგი უდებთა

[81] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათვის, 180, 22-25.
[82] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 34, 30-35.
[83] იქვე, 20-30.

შორის მოკლებისაგან კეთილისა. და ნუ ჰგონებ, ვითარმედ ბოროტი გარეშეთ არს; და ნუცა ჰგონებ, ვითარმედ პირველითგანვე არს ბუნებაჲ ბოროტისაჲ”[84]. „ბოროტი არა არს ბუნებაჲ ცხოველი და სულიერი”, –ამ სიტყვებს ბასილი დიდი ამბობს მას შემდეგ, რაც საუბრობს ბნელზე სამყაროს შექმნისას („ბნელი იყო ზედა უფსკრულთა” შეს.1,3). იგი ამბობს, რომ ბნელს დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, ღმერთს ბნელი არ შეუქმნია და სიბნელისაგან, ისე როგორც ყველანაირი ბოროტებისგან განშორებულია, ღმერთმა ყოველივე კეთილად დაჰბადა, ბნელი კი არის ნათლის კლება. სიკეთესა და ბოროტებაზე მსჯელობისას კესარიის ეპისკოპოსი დაბეჯითებით ამბობს, რომ ბოროტებას არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, ის არის სათნოების მოკლება, თავისუფალი ნების წარმართვა სათნოების, სიკეთის საპირისპირო მიმართულებით; ამისდა შესაბამისად, რადგან თავისუფლება ადამიანშია, ღმერთმა მას მიანიჭა და საითკენაც უნდა ნებას იქეთ წარმართავს. ამიტომ ადამიანმა ბოროტება საკუთარი თავის გარეთ კი არა, შიგნით უნდა ეძებოს. აქ ამბობს ბასილი დიდი საოცარ სიტყვებს, რომელიც აფორიზმად უნდა მივიღოთ: „თითოეული დასაბამი არს ბოროტისა თჳსისა”[85], ყოველი ადამიანის ბოროტების საწყისი მის საკუთარ თავშია და არა მის გარეთ, სხვა ადამიანში. წმ. იოანე დამასკელი წმ. ბასილი დიდის მსგავსად, მხოლოდ უფრო ფილოსოფიურად მსჯელობს რა უფლებამოსილება აქვს ადამიანს და რა – არა და, გამორიცხვის მეთოდით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი თავად არის მიზეზი საკუთარი ქმედებისა და

[84] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 34, 12-19.
[85]ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 34, 19.

საქმეებისა და თვითმფლობელია: იგი გამორიცხავს ღმერთის როლს, როდესაც ბინძურ საქმეს სჩადის ადამიანი, რადგან ღმერთი არ შეიძლება ბოროტების მიზეზი იყოს, გამორიცხავს აუცილებლობას, რადგან აუცილებლობას ექვემდებარება: „მარადის ერთსა ზედა მყოფთაგანთა მოძრავობაჲ “ (არსენ იყალთ. თარგმ.), „ამგვარი საქმეები მარადის იგივედ მყოფთა თვისება არაა” (ე. ჭელიძის თარგმ.), გამორიცხულია, რომ ცუდი საქმე ბედს მიაწერო ან ბუნებას, რადგან ბუნებას ექვემდებარება ცხოველები და მცენარეები. აქ წმ. იოანე დამასკელი აკეთებს ძალიან მნიშვნელოვან დასკვნას: თუ საკუთარი საქმის დასაბამი არ რის ადამიანი, მაშინ რისთვის მისცა ღმერთმა გონება?! რაში სჭირდება მას გონება, თუკი არანაირი საქმის მოთავე არ იქნება, რადგან გონიერება საქმისთვის სჭირდება ადამაინს; ხოლო თუ ამ უმშვენიერეს ნაწილის ადამიანის არსებაში, რომელიც აღმატებულია ყველა ნიჭზე – ადამიანის გონიერებას ვინმე უხმარად ჩათვლის, ყველაზე დიდი უგნურება იქნება, რადგან განზრახვა და გონიერება მიეცა ადამიანს, რათა საქმეს და მოქმედებას მოახმაროს: „ხოლო უკუეთუ უშუენიერესსა ამას და უპატიოსნესსა კაცისა ტალანტთასა უჴმარად ვინმე გამიაჩინებდეს, ესე უწესოებათა ყოველთა უძჳრეს არს. რამეთუ უკუეთუ განიზრახავს, უეჭველად საქმისათჳს განიზრახავს, ვინაჲთგან ყოველი განზრახვაჲ საქმისათჳს არს და მოქმედებისა” (ეფრემ მცირის თარგმ.).[86] ეს სიტყვები ზუსტად იგივეა, რაც წმ.გრიგოლ ნოსელის სიტყვები, როდესაც ის ადამიანის გონებას უწოდებს მშვენიერს, როგორც ღვთაებრივ ხატს მიმსგავსებულს იმ

[86]წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000, 137, 75v I.

ფარგლებში, როდესაც ის ღვთის მობაძავი და ღმერთს მიდევნებულია. ასე რომ, ადამიანი თავისუფალია, თავის მფლობელია, რადგან ღვთის ხატია და ღვთის ხატად შექმნილია მისი გონება, მსგავსება კი უნდა მოიპოვოს კეთილი ნებით. ამისდა შესაბამისად, ადამიანი პასუხს აგებს თავის საქციელზე, რადგან დასაბამი ამ საქციელისა თვითონ არის და უფლება აქვს ეს ნება და საკუთარი მოქმედება წარმართოს სიკეთისაკენ ან ბოროტებისკენ.

როგორც ნისის ეპისკოპოსი აღნიშნავს, როდესაც ღმერთმა თავისი ყოვლისმცოდნე ბუნებით განჭვრიტა, რომ ადამიანი თავისუფალი ნებით ღვთის ნებას არ მიჰყვებოდა, მაშინ შექმნა მამაკაცად და დედაკაცად ისინი, რაც ღვთაებრივი ხატისთვის არ არის დამახასიათებელი და დამახასიათებელია სწორედ ცხოველებისთვის „რამეთუ წიგნი იტყჳს , ვითარმედ კაცი ესე ჴელმწიფე ყოფად არს, და მავალი ნებასა ზედა თავისა თჳსისასა, და რამეთუ მიდრეკადცა არს, ვითარ-იგი იქმნა, მაშინ გამოსახა ხატისა მისთჳს თჳსისა მამაკაცებაჲ და დედაკაცებაჲ, რომელნი-იგი არა არიან ძირსა მას შინა, არამედ, ვითარ-იგი ვთქუთ, მახლობელ არს ბუნებასა მას პირუტყუებრსა”[87].

ამ საკითხზე მსჯელობისას წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობს, რომ „შემკრებელი ყოვლისა სახისაჲ კაცებაჲ არს... ყოველი, რომლითა ვიცნობთ დამბადებელსა, იყო იგი დაბადებულსაცა თანა პირველ. და რომელი – იგი აღდგეს უკუანაჲსკნელ აღსასრულსა სოფლისასა, ყოველთა მათ შორის იყოს ხატი იგი პირველ. ამისთჳს კაცსა ერთსა ეწოდების ყოველ,

[87] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათჳს, 181, 10-15.

რამეთუ არა არს ძალსა შინა ღმრთისასა, რომელიმე წარსრულ და რომელიმე მომავალ, არამედ ყოველივე ჰგიეს წინაშე მისსა, დაღაცათუ ჩუენ ყოველი მოველით სასოვებით, არამედ ღმრთისა თანა არს მოუკლებელ და ჰგიეს"[88]. ამ სიტყვებიდან გამომდინარე, კაცობრიობა ერთიანად არის ღვთის ხატებისა და მსგავსების მატარებელი, ეს მადლი სრულად იყო პირველ ადამიანში და იქნება უკანასნელ ჟამს რომ იცხოვრებს იმაშიც. მამაკაცად და დედაკაცად გაყოფა კი, როგორც აღვნიშნეთ, ხატების და მსგავსების ნიშანი კი არ არის, ადამიანის ცოდვისკენ მიდრეკლების გამო გაჩნდა და არის გაყოფა ადამიანისა („და რამეთუ ბუნებაჲ ყოვლითურთ პირველითგან შემდგომამდე ერთსა შინა ხატებასა არს. ხოლო მამაკაცებაჲ და დედაკაცებაჲ განყოფაჲ არს, დამტკიცებისათჳს დაებადა ამთ მიზეზითა, ვითარ ვჰგონებ"[89]) და კაცობრიობის გამრავლებისთვის დაჰბადა ღმერთმა, როდესაც ადამიანის ცოდვით დაცემა განჭვრიტა წინასწარ. ამ საკითხს ძალიან სიღრმისეულად განიხილავს თანამედროვეობის თვალსაჩინო ღვთისმეტყველი ანტონი სუროჟელი (ბლუმი). ბიბლიური ტექსტის მიხედვით, სამოთხის ბაღში, ცოდვით დაცემამდე, ადამი და ევა შიშვლები იყვნენ და არა რცხვენოდათ, ცოდვით დაცემის შემდეგ კი მათი სიშიშვლე სამარცხვინო გახდა; ანტონი სუროჟელი ამ ფაქტს ხსნის ცოდვით დაცემამდე ადამისა და ევას უბიწოებით და, თანაც, ღვთის განგებით, რომ ისინი შეადგენდნენ ერთ სავსე პიროვნებას, ერთმანეთს ავსებდნენ, რადგან თავიდან არ იყო განზრახული ადამიანის გაყოფა მამაკაცად და

[88] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათვის, 182, 10-15.
[89] იქვე, 182, 15-20.

დედაკაცად; და ღმერთმა მაშინ შექმნა დედაკაცი, როდესაც ადამმა სახელები დაარქვა ყველა ქმნილებას და თავი მარტოდ იგრძნო ამ სამყაროში, რადგან თავისი მსგავსი ვერავინ ნახა („ხოლო ადამისი არა იპოვა შემწე მსგავსი მისი” შეს. 2,20), მაშინ შეუქმნა ღმერთმა ადამს ევა ადამის გვერდისგან (დასდვა ღმერთმან განკჳრვებაჲ ადამს და დააძინა: მოიღო ფარცხალი ერთი გუერდისა მისისა. და აღმოუვსო ჴორცითა მის წილ. და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელ მოიღო ადამისგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისსა...”შეს. 2,21-22) და მისცა შემწედ ქალი, რათა სიმარტოვე არ ეგრძნო. ამრიგად ისინი ფიზიკურადაც ერთ მთლიანობას შეადგენენ. ანტონი სუროჟელი წერს ამის თაობაზე: „ორივე ერთად ისინი ქმნიან სრულ, სავსე ადამიანურ არსებას. და იმიტომ რომ ისინი ერთნი არიან, როგორც ამბობს შოპენჰაუერი, „ერთი პიროვნება ორ სახეში”, ისინი ვერ ხედავენ ერთმანეთის სიშიშვლეს, რადგანაც სწორედ რომ, ერთმანეთს სხვად ვერ აღიქვამენ, საკუთარ თავთან კონტრასტში. ადრეული საუკუნეების ერთი ღვთისმეტყველის თხზულებებში არის ადგილი, რომელიც ძალიან მრავლისმეტყველია ლათინურ თარგმანში; იქ ნათქვამია: დაცემამდე თითოეული მათგანი უყურებს მეორეს და ამბობს: ეს არის ჩემი alter ego, მეორე მე თვითონ; დაცემის შემდგომ, იმის გამო, რომ მოხდა რაღაც, რამაც დაარღვია მათი ერთობა... თითოეული მათგანი უყურებს მეორეს და ამბობს: მე – ეს მე ვარ, ის კი –სხვაა... და იმ წუთში, როდესაც ისინი ამბობენ: „მე – ეს მე ვარ”, განსხვავებით, კონტრასტულად: „მე – არა ვარ სხვა”, ისინი ხედავენ საკუთარ

სიშიშვლეს”[90]. ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ადამიანის სხეული და სული, სხეულებრივი და სულიერი მშვენიერება და სიკეთე განუყოფელ კავშირშია ერთმანეთთან. ადამმა და ევამ ღვთის სიტყვის დარღვევით სიყვარული დაკარგეს და ეგოისტური გახდა მათი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. ძალიან საგულისხმოა თანამედროვე ღვთისმეტყველის – ეპისკოპოს კალისტოს დიოკლიელის სიტყვები, როდესაც ის საუბრობს წმიდა სამების ჰიპოსტასთა ურთიერთსიყვარულზე და თუ როგორ უნდა მივუსადაგოთ ის ჩვენს ცხოვრებას და ამ ურთიერთსიყვარულის პრინციპით როგორ ვიცხოვროთ ადამიანებმა – რა გვევალება ღვთისგან. ურთიერთსიყვარულის მაგალითს თავად უფალი გვაძლევს თავგანწირული სიყვარულით, რომელიც მიმართულია არა საკუთარი თავისკენ, არამედ სხვისკენ (წმიდა სამების წევრთა შემთხვევაში, –სხვა ჰიპოსტასისადმი). იგი წერს: „საკუთარი თავის სიყვარული – სიყვარული მიმართული საკუთარი თავისადმი – არ არის ჭეშმარიტი სიყვარული. სიყვარული – ეს არის ნიჭი და ურთიერთგაცვლა, და ამიტომაც იმისთვის, რომ სიყვარული იყოს სრული, უნდა იყოს ურთიერთმიმართული. ის საჭიროებს „შენ"-ს,”ისევე როგორც „მე"-ს,”ეს კი ნიშნავს, რომ სიყვარული გულისხმობს პიროვნებათა სიმრავლეს”. აქ კალისტოს დიოკლიელი იმოწმებს ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს: „ერთი პიროვნების სრულყოფის პირობად გვევლინება ურთიერთობა მეორესთან< ... >არ არის არაფერი იმაზე დიდებული, ვიდრე ისურვო არ გქონდეს არაფერი, რაც შენ არ გენდომებოდა გაგეზიარებინა [ჩემთან].

[90] Митр. Антоний Сурожский, „...Мужчину и женщину сотворил он ”, http:// www.pagez.ru / olb /103.php

„ამიტომაც”,–აგრძელებს კალისტოს დიოკლიელი, –„თუკი ღმერთი სიყვარულია, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ის მხოლოდ ერთი პიროვნებაა, რომელსაც საკუთარი თავი უყვარს, ის უკიდურეს შემთხვევაში არის ორი პიროვნება, მამა და შვილი, რომელთაც უყვართ ერთმანეთი.”[91] ჩვენ კი ვიცით, რომ ღმერთია წმიდა სამება, რომელშიც სამი ჰიპოსტასის ურთიერთ – და სამყაროსადმი დიდი სიყვარული იგულისხმება და ამ სიყვარულის მოტივით შექმნა ღმერთმა სამყარო და ადამიანი არაფრისაგან.

ადამიანის ცხოვრება წარმატებული უნდა ყოფილიყო ღვთის წინაშე სათნოებათა მოპოვებით, ამ სახით ის ღვთის ხატებასა და მსგავსებას სრულყოფდა და ღმერთს დაუახლოვდებოდა. სათნოებათა შორის როგორც მოციქულნი, ასევე წმ. მამები გამოარჩევენ სამ უმთავრესს: სარწმუნოებას, სასოებას (იმედს) და სიყვარულს. იოანე სინელი, „სათნოებათა კიბის” აღმწერელი, ამ სამ სათნოებას ყველაზე მაღალ, 30-ე საფეხურზე იხსენიებს და როგორც მოციქულნი, ისიც წერს, რომ მათ შორის უპირატესია „სიყვარული, რამეთუ ღმერთ ეწოდების”[92]. სიყვარულში ორ სახეს განარჩევენ: სიყვარულს ღვთისადმი, რომელსაც მათეს სახარების მიხედვით იესო ქრისტე პირველ და მთავარ მცნებას უწოდებს, და მეორე, მსგავსი ამისი, არის სიყვარული მოყვასისადმი. „ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი

[91] kalistos, http: //www.pagez.ru /olb / 117.php, St.augustine, de trinitate, 3.6. ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომი ციტირებულია კალისტოს დიოკლიელის სტატიის მიხედვით.

[92] ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა „კლემაქსი, რომელ არს კიბე”, ზუგდიდი 1997, 261, შდრ.: „ღმერთი სიყუარული არს”(1იო.4,16), „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს”(1კორ.13,13).

დამოკიდებულ არიან" (მთ. 22,40). ამ სიტყვებით მაცხოვარმა მთელი წმიდა წერილი ძველი და ახალი აღთქმა დაიყვანა ამ ორ მცნებაზე, რომელთაგან უპირატესის –ღვთისადმი სიყვარულის გამოვლენა უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის სამოთხის ბაღში დაწესებული მორჩილება: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამო, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ"(შეს.2,17). ადამიანს, როგორც თავისუფალ არსებას, მიეცა არჩევანი ან უფრო დაახლოებოდა უფალს და სრული მემკვიდრეობა მიეღო, და ან ისიც დაეკარგა, რაც ჰქონდა: ან უკვდავება დაემკვიდრებინა, რისთვისაც მოწოდებული იყო თავისი ღვთაებრივი ხატითა და უკვდავი სულით, ან ეს ხატება დაეკარგა უღირსი საქციელით და სიკვდილით დასჯილიყო. „ყოველი ძრვაჲ გონიერი ამით დიდებითა მიემსგავსების შუენიერებასა მას ღმრთეებისასა, არამედ მიდრეკაჲ იგი ცოდვისაჲ მძიმე არს და შთამჴდელ ქუესკნელად".[93] ღმერთის მიერ სამოთხის ბაღში დაწესებული მორჩილების დარღვევით ადამიანმა ღვთის სიყვარული დაკარგა და დაკარგა ადამიანისადმი სიყვარულიც, რომლის გამოვლენაც იყო ადამისა და ევას მიერ ერთმანეთის გაუცხოება და ცოდვაში დადანაშაულება. ამ საქციელმა კაცობრიობას ტანჯვა მოუტანა; ადამისა და ევას ღვთისადმი ხატება და მსგავსება შეურაცხჰყო; მათში დაწინაურდა არა სულიერი, არამედ მიწიერი, ხორციელი მხარე, რამაც სიკვდილი გამოიწვია. ამას ადასტურებს უფლის სიტყვები, როდესაც მან ადამი და ევა სამოთხიდან

[93] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 187,20.

განდევნა: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე”(შეს.3,19). ღმერთი აღარ ახსენებს ,რომ ხატად და მსგავსად არის შექმნილი ადამიანი, როგორც მისი შესაქმისას თქვა, მის მკაცრ სიტყვებში დაწინაურებულია მიწა, მატერია, (რაც ღმერთმა ყველა მიწიერ ქმნილებაზე ადრე შექმნა და საფუძვლად დაუდო ნივთიერ სამყაროს) რისგანაც შექმნა ადამიანი და რაც ადამიანის არსებაში განსხვავებული იყო – ღვთის ხატებას და მსგავსებას არ შეესაბამებოდა.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავურთოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ადამიანის ბუნებას საერთო აქვს ღვთაებრივ ბუნებასთან. ეს არის ადამიანის გონების მიუწვდომლობა და შეუცნობლობა. წმ. ბასილი დიდი წერს: „ჭეშმარიტად შეჰგავს, რაჲთა უძნელე იყოს ყოვლისა ცნობაჲ თავისა თჳსისაჲ”.[94] ამ სირთულის გამო ადამიანი სხვის ცოდვას იოლად ხედავს და საკუთარს ძნელად. წმ. მამა ამას ჩვენი დაბადებით ხსნის: „იტყჳს წინასწარმეტყუელი: საკჳრველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩუენგან(ფს.138, 6), ესე იგი არს, რომელ გამოვიკულიეთ თავი თჳსი, ვისწავე სიმრავლე სიბრძნისა შენისაჲ”[95]. საკუთარი თავის შეუცნობლობა ადამიანს ღვთის დიდებას და მისი სიბრძნის მიუწვდომლობას დაანახებს. წმ გრიგოლ ნოსელი თავის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაში ადამიანის შესახებ, ამ საკითხს ერთ თავს უძღვნის და ამგვარად წარმართავს მსჯელობას: ვინაიდან ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი, ხატებას არაფერი დააკლო, „რომელ პოვნილ არს ძირსა შინა, რაჲთა ღირსად

[94] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 133,25.
[95] იქვე, 133,30 –134,5.

იწოდოს ხატებაჲ”[96], თუ ხატებას რაჲმე დააკლდება ღვთაებრივ თვისებათაგან, ის ხატება არ იქნება; „და უკუეთუ ძირი იგი ვერ მისაწვდომელ არს ცნობითა და ხატი იგი მისი მისაწვდომელ არს ცნობითა და საცნაურ, უკუე არს ესე განწვალებაჲ ცხადი შორის მათსა შეუტყუებელი გამოცხადებასა ამის თქმულისასა. აწ ოდეს ბუნებაჲ გონებისაჲ გამოუსახველ არს და მიუთხრობელ ცნობისაგან, გამოცხადნა ჭეშმარიტებაჲ ხატებისაჲ ძირად მიმართ, რომელ არს ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ, რომელ-იგი გამოუსახველ არს და მიუწვდომელ, რომელსა-იგი მიმსგავსებულ იქმნა ბუნებაჲ ჩუენი”[97]. ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ადამიანის გონების მიუწვდომლობა მისი ღვთის ხატად შექმნიდან მომდინარეობს და ადამიანში ღვთაებრივი ბუნების ანარეკლია, რაც ადამიანს მუდამ ახსენებს ღმერთის საკუთარ თავში არსებობას და მიუწვდომლობას, ახსენებს საკუთარ არსებასაც, რომ ქმნილებაა – ყველაფერს ვერ წვდება, თვით საკუთარ თავსაც კი და არ არის დამბადებელი–ღმერთი, რომელიც ყოველივეს მცოდნეა. აქედან გამომდინარე, არამარტო ღმერთის შეცნობა, საკუთარი თავის შეცნობაც ერთადერთი გზით არის შესაძლებელი –ესაა ხატებისა და მსგავსების „ძირთან”(ძვ. ქართ) – ღმერთთან კავშირი, რომელიც ღვთაებრივ სიკეთესა და მშვენიერებას მოუპოვებს ადამიანს და საკუთარ თავს გაუცხადებს ღვთის წინაშე.

ასე რომ, ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად და მსგავსად. მის ხატისმიერ მშვენიერებისა და სიკეთეს ღმერთმა არაფერი არ დააკლო. წინააღმდეგ

---

[96] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 162, 25.
[97] გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმისათჳს, 162,25-163,5.

შემთხვევაში, როგორც ნისის ეპისკოპოსი წერს, მას ხატი არ დაექმეოდა. ადამიანი შეიქმნა ყველა ქმნილების მეფედ დედამიწაზე და მისი ბუნებაც არის ორგვარი – გონებითა და სულით ადამიანი მოწოდებულია ღმერთთან კავშირისათვის, სხეულით კი ის უკავშირდება დედამიწას, რომლისგანაც ის ფიზიკურად საზრდოობს. ის, რაც განასხვავებს ადამიანს ღვთისგან არის, რომ ღმერთი დამბადებელია და ადამიანი – დაბადებული. ამიტომ ადამიანში მარადიული არ არის სიკეთე და მშვენიერება, რადგან არარსებობიდან შეიქმნა და აქვს თავისუფალი ნება, რომელიც შეიძლება სიკეთისაკენ არ წარმართოს. ღვთაებრივ სიკეთესა და მშვენიერებასთან მსგავსებას განმტკიცება და მუდმივი სრულყოფა სჭირდება ადამიანის ზრუნვით, რათა მუდამ საკუთარი ნება სიკეთისა და სათნოებათა მოპოვებისკენ წარმართოს. ყოველი სათნოებისა და სიკეთის წყარო კი არის ღმერთი, რომლის მორჩილებაც ევალება ადამიანს. იგი მოწოდებულია, რომ თავისი სხეული (როგორც სულზე დაბლა მდგომი და მიწიერისკენ მიდრეკილი) დაუმორჩილოს სულს და გახადოს სხეულიც ღვთაებრივი. სწორედ ამისთვის მიეცა მას სხეული მეფობის შესაფერისი და ცხოველებზე აღმატებული (ადამიანი წელში გამართულია, მეტყველებს, წერს და ა.შ). სათნოებებით შემკული გონებისა და სულის ადამიანი ემსგავსება „ძირსა მას შუენიერებისასა" – ღმერთს და ღვთის ხატებასა და მსგავსებას სამუდამოდ მოუპოვებს და დაიმკვიდრებს უფლის სამყოფელს. ამისთვისაა მოწოდებული ადამიანი თავისი დაბადებით, როდესაც ის სიკეთითა და მშვენიერებით შემკული, თავის ხატად და მსგავსად შექმნა ღმერთმა.

ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ მეექვსე დღის მოვლენებზე – ადამიანის შექმნის შესახებ და გასცდა კიდეც მეექვსე დღის მოვლენებს ადამიანის შექმნის თემა, თავად მეექვსე დღე იტევდა მრავალს, მთელი კაცობრიობის მომავალსაც, ნაწილობრივ. ადამიანი – ხატი და მსგავსი ღვთისა, დედამიწაზე ყველა ქმნილების მეფე, განსაკუთრებული პატივით მოსილი ღვთისგან, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც ატარებდა ღვთის წინაშე. ადამიანის მომავალი დაცემა, როგორც აღვნიშნეთ, უფლის თვალმა წინასწარ განჭვრიტა, და ამიტომაც მისი შექმნისას უკვე ხდება ცვლილება საღმრთო განგებულებაში –ერთი ადამიანის ნაცვლად იქმნება მეორეც (როდესაც ადამმა თავი მარტოდ იგრძნო), შემწე და ცოლი ადამისი –ევა. მათი შექმნით შესაქმე დასრულდა.

მეშვიდე დღის შესახებ ბიბლიაში ნათქვამია: „და სრულ იქმნეს ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველი სამკაული მათი. და განასრულნა ღმერთმან დღესა მეშჳდესა საქმენი მისნი, რომელნი ქმნნა, და დასცხრა დღესა მეშჳდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომესლნი ქმნნა. და აკურთხა ღმერთმან დღე მეშჳდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად" (შეს.2,1-3). ნეტარი ავგუსტინე ამბობს, რომ ექვსი დღის განმავლობაში არ იხსენიება ღამე (გარდა იმ ადგილისა, როცა წერია, რომ ღმერთმა „ბნელს უწოდა ღამე"), არამედ მწუხრის შემდეგ განთიადია და ჰქვია „დღე ერთი", შემდეგ – „დღე ორი" და ა.შ. მეშვიდე დღემდე, როცა დაისვენა უფალმა. ასე

იმიტომ არის ნათქვამი, რომ ღამე ეკუთვნის დღეს და არა – პირიქით[98](მსგავსი აზრი გამოთქმული ჰქონდა ბასილი დიდსაც, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით პირველი დღის შესახებ, და ნათლისა და დღის უპირატესობაზე ღამესა და ბნელთან შედარებით). წმ. ავგუსტინე ამბობს, რომ მეშვიდე დღეს, როდესაც უფალმა დაისვენა, ჰქონდა დილა, საღამო კი არა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ღმერთს დასვენება სჭირდებოდა, არამედ იმას, რომ „დაისვენა საქმეთაგან მისთა, რომელთა იწყო უფალმან ქმნად"; დაისვენა და განისვენა საკუთარ თავში, რა თქმა უნდა, შეუქმნელში, საკუთარ ანგელოზთა თვალწინ. ანგელოზები, რომლებიც აქამდე ღმერთის მიერ <u>აღსრულებულ საქმეებს შეიცნობდნენ ცისკარსა და მწუხრზე (ლათ. dies cum vespera</u>), ამ საქმეების დასრულების შემდეგ ვეღარაფერს ვერ შეიცნობდნენ, გარდა თავად უფლისა, რომელიც განისვენებდა საკუთარ თავში ყველა საქმისგან და არცერთ მათგანს არ საჭიროებდა, რათა ნეტარი ყოფილიყო.[99] თავად „მწუხრი" და „ცისკარი", ნეტარი ავგუსტინეს აზრით (თუმცა, როგორც თავად ამბობს, ვერ დაიჩემებს, რომ საუკეთესო ახსნაა ბიბლიის ამ სიტყვებისა, მაგრამ თვითონ ასეთი გულისხმისყოფა მიეცა, სხვამ კი ითხოვოს ღვთისაგან შეწევნა და, იქნებ, უკეთესი ახსნაც არსებობდეს) ჰქვია პერიოდს იმის მიხედვით, თუ შესაქმის რომელ პერიოდს შეესაბამება, ალეგორიული ახსნა უნდა მოვუნახოთ ამ სიტყვებს: ღმერთის სიტყვაში ყოფნა ნათელია და თუ იმ პერიოდს, როდესაც უფალი სიტყვას წარმოთქვამდა,

---

[98] Sancti Aurerli Augutini, De Genesi ad letteram libri duodecim , Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum, ed.consilio et impensis academiae Littterarum Caesareae Vindobonensis, Vol.XXVIII, lib.IV,cap. XXXV Pragae, Vindobonae, lipsiae, MDCCCLXXXXIIII .

[99] Sancti Aureli Augustini, De Genesi Ad Litteram Libri Duodecim, lib.IV, cap.XXXV.

დავარქმევთ დილას, და მზერას გადავიტანთ ქმნილებაზე, მაშინ ქმნილებაზე მზერის პერიოდს ღამეც კი შეიძლება ვუწოდოთ იმასთან შედარებით, ვიდრე ღვთის სიტყვაში ყოფნა და ღმერთთან თანაზიარი არსებობა ჰქვია.[100] ანგელოზური თვალთახედვით, რომელსაც ჩვენ უნდა ვემსგავსოთ და რომელთა მსგავსი არსებობაც ჩვენ გვექნება ცათა სასუფეველში, თუ ქრისტეს კვალს მივყვებით, როდესაც ღვთის სიტყვისამებრ ქმნილება იქმნებოდა, იმ პერიოდს ჰქვია დილა, ხოლო ამ სიტყვის და ღმერთის მზერის გარეშე პერიოდს, როდესაც მზერა გადადიოდა ქმნილებაზე, ჰქვია მწუხრი. ამისდა შესაბამისად, მეშვიდე დღეს არ ჰქონდა მწუხრი, ვინაიდან ის იყო უფალში გამუდმებული არსებობა –ღმერთი საკუთარ თავში ნეტარებდა და ქმნილება – ღმერთში.

ნეტარი ავგუსტინეს ეს სიტყვები იგივეა, რაც წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვები, რომ ადამიანი ღმერთთან ყოფნით მოიპოვებს ღვთაებრივ სიკეთესა და მშვენიერებას. ეს არის ადამიანის ჭეშმარიტი არსებობა, რისთვისაც ის მოწოდებულია თავისი ღვთაებრივი ხატითა და უკვდავი სულით. ამიტომ ანგელოზებიც ქმნილების შემდეგ მზერას მიაპყრობდნენ უფალს, რათა კვლავ ამაღლებულიყვნენ მის დიდებამდე და სიყვარულამდე, რადგან ის არის არა ქმნილება, არამედ შემოქმედი, რომელშიც იმასაც კი დაინახავ, რაც ჯერ არ შექმნილა. ანგელოზებს რომ მეტი ყურადღება საკუთარი თავისთვის მიეპყროთ, თვითკმაყოფილებაში ყოფილიყვნენ, ღმერთი არ ედიდებინათ და მისი სიყვარულით არ

[100] ibid, cap.20 –28.

დამტკბარიყვნენ, ისევე დაეცემოდნენ, როგორც ის გველი, რომელმაც ადამი და ევა აცდუნა. [101]

წმ. ავგუსტინეს მოჰყავს ფსალმუნის სიტყვები ამ დღის – მეშვიდე დღის სრულყოფილების შესამკობად: „ესე არს დღე უფლისაჲ, რომელ ქმნა უფალმან; ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა" (ფს.117, 24). მართლაც, თუ ამ დღეს განვიხილავთ, როგორც ერთადერთ სრულყოფილ დღეს კაცობრიობის ისტორიაში ქრისტეს განკაცებამდე, ვინაიდან ეს იყო მომდევნო დღე ადამიანის შექმნისა; ეს იყო ადამიანის სამოთხეში არსებობა და მისი სრული თანხმობა უფალთან, ადამისა და ევას უფალთან თანამყოფობის დღე, როდესაც ადამიანმა ყველაზე მეტი მადლი მიიღო, რადგან უფალში არსებობდა სრულად და ჯერ ცოდვა მას არ შეხებოდა. ეს იყო ადამიანის პირველქმნილი მშვენიერებისა და სიკეთის სრული და მრჩობლი გამოვლენა, რადგან მას თან ერთვოდა ღვთაებრივ მშვენიერებასთან და სიკეთესთან სრული ზიარება და თანხმობა. ამ დღის შესახებ, ჩვენის მხრივ, შეიძლება გავიხსენოთ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „უფალი სუფევს, შუენიერება შეიმოსა, შეიმოსა უფალმან ძალი და გარეშეირტყა; და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას. განმზადებულ არს საყდარი შენი მიერითგან და საუკუნითგან შენ ხარ" (ფს.92,1-2).

ასე რომ, ღმერთმა არაფრისაგან საკუთარი მადლითა და კეთილი ნებით შექმნა უხილავი და ხილული სამყარო. სამყაროს შესაქმე ექვს დღეში განხორციელდა. ყველაფერი შეიქმნა ღვთის სიბრძნით, ძალით და

[101] S Aureli Augustini, De Genesi ad Litteram libri duodecim, lib.IV, cap.XXIV.

გულისხმისყოფით. წინასწარ იხილა უფლის თვალმა ყოველივე რაც უნდა შექმნილიყო და შექმნა ისეთი, როგორიც სურდა – მშვენიერი და კეთილი, რადგან იგულისხმება, რომ ღვთისგან ქმნილი ყოველივე მშვენიერია და ასევე კეთილიც, გარეგნული მხარე მის შინაგან კეთილ თვისებებს შეესაბამება. მთავარი კი არის კეთილი თვისებები და როდესაც მშვენიერებაზეა საუბარი, იქ სიკეთე და დაბადებულის კეთილისმომტანი თვისებები იგულისხმება. როგორც წინასარმეტყველი წერს: „უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდენ ფრიად, ... დიდად შუენიერებაჲ შთაიცუ, შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი...რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა ... რომელმან აღმოუცენა თივა პირუტყუთა, და მწუანე სამსახურებელად კაცთა, გამოღებად პური ქუეყანით ... ვითარ განდიდენ საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ"(ფს.103, 1-2, 4, 14, 24). ყოველ ქმნილებაზე იზრუნა უფალმა და მთელი მატერიალური სამყარო შექმნა ადამიანისათვის, რადგან ადამიანი დაადგინა ყოველივეს ხელმწიფედ და მიანიჭა ადამიანს მეფობის შესაფერისი გარეგნობა – გონიერი არსებობისა და ღვთის დიდებისათვის შექმნილი, გონება – ღვთაებრივ ხატს მიმსგავსებული და სათნოებებით შემკული, და სული –უკვდავი, სასუფეველისა და ღმერთთან არსებობისთვის მოწოდებული. ყოველი ქმნილება მოწოდებულია, რათა ადამიანს ემსახუროს, ადამიანი კი – რათა ღმერთს ემსახუროს კეთილი საქმეებით, სათნოებათა მოპოვებით ღვთის ხატება და მსგავსება სამუდამოდ დაიმკვიდროს და დაუსრულებლად

იზრუნოს სულიერ სრულყოფაზე. დაუსრულებელია ადამიანის სრულყოფის შესაძლებლობები, რადგან ღვთისაკენ სწრაფვისთვისაა მოწოდებული და ღმერთი ბოლომდე მიუწვდომელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანს დედამიწა მიეცა ასპარეზად, რომ უკვდავება და ღვთისათვის სათნო ცხოვრება დაემკვიდრებინა. ადამიანის შექმნაზე საუბარს კი დავამთავრებთ წმ. იოანე დამასკელის სიტყვებით: „შექმნა უკუე ღმერთმან კაცი უბოროტოდ, წრფელად, სათნოებიანად, უმწუხარებოდ, უზრუნველად, ყოვლითა სათნოებითა განბრწყინვებულად, ყოველთა კეთილთა მიერ აღსავსედ, ვითარცა მეორე რაᲣმე სოფელი, დიდსა შინა მცირე; სხუაᲣ ანგელოსი, თაყუანისმცემელი, შეზავებული, ზედამხედველი ხილულისა აგებულისაᲣ, მესაიდუმლე საცნაურისაᲣ, მეფე ქუეყანისზედათაᲣ, სამეფოქმნილი ზენაᲣთ, ქუეყანისაᲣ და ზეცისაᲣ, ჟამიერი და უკუდავი, ხილული და საცნაური, საშუალ სიდიდისა და სიმდაბლისა; იგივე სულ და ჴორც. ჴორც – ამპარტავნებისათჳს, სულ – მადლისათჳს, იგი – უკუე, რაᲣთა ევნებოდის და ვნებულსა მოეჴსენებოდის და განისწავლებოდის, ხოლო ესე, რაᲣთა ეგოს და ადიდებდეს ქველისმოქმედსა სიდიდითა პატივცემული; ცხოველი, აქა განგებული, ესე იგი არს, აწინდელსა ამას ცხორებასა და სხუად მიცვალებადი – ყოფადსა საუკუნესა. და დასასრული საიდუმლოისაᲣ ღმრთისა მიმართ წამის-ყოფითა განღმრთობაᲣ იყო, ხოლო განღმრთობაᲣ ზიარებითა საღმრთოᲣსა გამობრწყინვებისაᲣთა და არა საღმრთოდ არსებად მიცვალებითა”.[102]

[102] წმ.იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000, 111, 70 r I..

II თავი

სამოთხიდან განდევნიდან ქრისტეს განკაცებამდე

პირველ თავში ვისაუბრეთ სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ. ბიბლიაში ნათქვამია და ყველა წმიდა მამა ამოწმებს, რომ ღმერთმა ყოველივე კეთილად დაჰბადა; ბოროტებას დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, რადგან ყოველივე ღმერთმა დაჰბადა და ყოველივე შექმნა კეთილად, ბოროტება სიკეთის კლებაა. ჩვენ ვიმსჯელეთ პირველ შვიდ დღეზე, როდესაც სამყარო, ადამიანი და ღმერთი სრულ ჰარმონიაში თანაარსებობდნენ, უფრო ზუსტად რომ ითქვას, მიწა, თავისი დანიშნულებისამებრ, საკუთარი ბინადრებით ადამიანის მსახურებაში იყო, ადამიანები კი – ადამი და ევა, თავის მხრივ, ღვთის სიტყვას ასრულებდნენ და ცხოვრობდნენ უბიწოდ, იცოდნენ მხოლოდ სიკეთე, ბოროტება კი არ განეცადათ, ღმერთს ესაუბრებოდნენ და სამოთხის მშვენებით, ღმერთთან თანაარსებობით ტკბებოდნენ, ანგელოზები კი ღმერთს ადიდებდნენ და განსცხრებოდნენ უფალში. ადამიანი სულით და ხორცით ნეტარებდა.

ერთი სიტყვით, სუფევდა ისეთი არსებობა, რომლისთვისაც მოწოდებული იყო ადამიანი და მთელი სამყარო: ღმერთთან სიახლოვე და მისკენ სწრაფვა, სიმშვიდე და სულიერი და ფიზიკური უკვდავება. ეს ის სრულყოფილი სიკეთეა, რაც ადამ და ევას გარდა არავის განუცდია თავის ამქვეყნიურ ცხოვრებაში კაცობრიობის არსებობის მანძილზე. არსებობდნენ დიდი წმიდანები, ღმერთი განკაცდა და კაცობრიობას ხსნა

მოუტანა, სასუფეველი გაიხსნა ადამიანისათვის, მაგრამ დედამიწა სამუდამოდ იქცა არა სამოთხედ, არამედ სამოთხიდან განდევნის ადგილად. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ადამიანმა დიდხანს ვერ შეძლო ღვთის სიტყვის დაცვა და ერთგულება. თავისუფალი ნება, რომელიც მიენიჭა ადამიანს, როგორც დედამიწის მეუფედ დაბადებულს, ადამმა და ევამ წარმართეს ღვთის ნების საპირისპიროდ. ადამიანმა ამ შეცოდებით, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკარგა ფიზიკური უკვდავება, ღვთის ხატება და მსგავსება შეურაცხყო, მოშორდა „მშვენიერების ძირს" – უფალს (წმ.გრიგოლ ნოსელის სიტყვით რომ ვთქვათ) და პირუტყვს ემსგავსა; ადამიანის ორბუნებოვნებაში (სულიერ – ღვთაებრივსა და ფიზიკურ – მიწიერში) იმძლავრა მიწიერმა ინსტინქტმა – ვნებამ და გამოიწვია ადამიანის სულის, გონების დაკნინება. სხეულმა იმძლავრა გონებაზე და ღვთაებრივი მადლი ჩამოშორდა ადამიანს; წმიდა გრიგოლ ნოსელის თქმით „სიწულილადß იგი გონებისაჲ საღმრთოჲ არს, რამეთუ მიმსგავსებულ არს შუენიერებასა ღმრთეებისასა"[103], როდესაც ეს გონება ღვთაებრივ მშვენიერებას, ღვთაებრივ გონებას–საფუძველს ჩამოსცილდა, დაკარგა მშვენიერება და სიკეთე და ბოროტებაც ხომ ეს არის – სიკეთის კლება. ადამიანის არსებაში ღვთაებრივი ნაწილი ცხოველურმა დაიკავა – ღვთის სიტყვის სანაცვლოდ ადამმა და ევამ დაუჯერეს გველს, რასაც მოჰყვა ცხოველური ცხოვრების წესზე მიმსგავსება და გადასვლა. ამისდა შესაბამისად, ადამიანმა დაკარგა ფიზიკური უკვდავებაც. ამითაც თავისზე დაბლა მდგომ ქმნილებებს ემსგავსა, თუმცა სულიერი

[103] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს, 186, 20.

უკვდავება მას ღვთისგან სამუდამოდ მიენიჭა, როდესაც ღმერთმა მას საკუთარი უკვდავი სული შთაბერა და ამით საკუთარი ხატება და მსგავსება ადამიანში უკვდავყო, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არჩევანს გააკეთებს ადამანი, ეს ღვთაებრივი მარცვალი – სულიერი უკვდავებისა ადამიანში სამუდამოა.

II თავში განვიხილავთ წმ. მამათა შრომებს, რომელიც ეხება ადამიანის სამოთხიდან განდევნას. ეს ახალი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ადამიანის პირველქმნილი მშვენიერება და სიკეთე დაკნინდა ცოდვით დაცემის გამო და, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანისთვის დედამიწა იქცა არა სამოთხედ, არამედ სამოთხიდან განდევნის ადგილად., რაც იმას ნიშნავს, რომ დედამიწამაც თავისი სხვა ქმნილებებით დაკარგა ის ღვთაებრივი წესრიგი, რაც შესაქმისას ჰქონდა. ამ პერიოდში, სამოთხიდან განდევნიდან ქრისტეს განკაცებამდე წმინდანებად იხსენებიან მამათმთავარნი და წინასწარმეტყველნი. ამ თავში ჩვენ ასევე შევეხებით უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს წინასწარმეტყველთა წიგნებიდან. ჩვენ ვერ შევძლებთ ყოველი წინასწარმეტყველის წიგნის განხილვას, ვერც თითოეული მათგანის ცხოვრებაზე შევჩერდებით, ამას ჩვენი თემა ვერ დაიტევს. განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რომელნიც განსაკუთრებით გამოირჩევიან კაცობრიობის ისტორიაში: აბრაამ მამათმთავრის ცხოვრებიდან განვიხილავთ ისააკის მსხვერპლშეწირვის კომენტარს, რადგან ისაკის მსხვერპლშეწირვა ქრისტეს ჯვარცმის წინასახეა; მოსეს შეხვედრას უფალთან – რადგან წმ.წერილის მიხედვით მოსე ერთადერთი ადამიანია კაცობრიობის ისტორიაში,

რომელიც უფალს შეხვდა პირისპირ და მის სახეზე ღვთაებრივი სიკეთე და მშვენიერება, დიდებულება აღიბეჭდა, ასევე შევეხებით ილია წინასწარმეტყველის ცხოვრებას, რადგან წმ.წერილის თანახმად, ილია წინასწარმეტყველს სიკვდილი არ განუცდია, დავით წინასწარმეტყველი და სოლომონ ბრძენი კი ქრისტეს წინაპრებად იხსენებიან.

წმიდა წერილი სამოთხის ბაღში ცდუნების შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო გუელი იყო უგონიერეს[104] ყოველთა მჴეცთა ქუეყანასა ზედა, რომელ ქმნა უფალმან ღმერთმან და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: რად რამეთუ თქუა უფალმან ღმერთმან: არა სჭამოთ ყოვლისაგან ხისა სამოთხისა. და ჰრქუა დედაკაცმან გუელსა: ყოვლისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა ვჭამოთ. ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხისა, თქუა ღმერთმან, არა სჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკუდეთ. და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა:****არა სიკუდილით მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხილვად და შუენიერ განცდად. და მიმღებელმან დედაკაცმან ნაყოფისაგან ჭამა და მისცა ქმარსაცა მისსა მის თანა და ჭამეს.

[104] „უგონიერეს”ნათქვამია მცხეთურ ხელნაწერში, სხვა რედაქციებში ნათქვამია „უცნობილეს”, ჩვენ ვამჯობინეთ ამ ციტატისთვის მცხეთური ხელნაწერის გამოყენება, ვინაიდან უფრო ზუსტი შესატყვისია ეს სიტყვა ბერძნ. „fronimwtato~ “ და ლათ. „callidior”-ისა, რომელიც ამ ტექსტის ბერძნულ და ლათინურ ვარიანტებშია ნახმარი.

და განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს. და შეკერეს ფურცელი ლეღჳსა და ქმნეს თავთა თჳსთა გარემოსარტყმელნი.

და ესმათ ჴმაჲ უფლისა ღმრთისა, მავალისაჲ სამოთხესა შინა, მიმწუხრი და დაიმალნეს ადამცა და ცოლი მისი პირისაგან უფლისა ღმრთისა საშუალ ხესა სამოთხისასა.

და უწოდა უფალმან ღმერთამან ადამს და ჰრქუა მას: სადა ხარ?

და მან თქუა: ჴმისა შენისა მესმა, მავალისა შორის სამოთხესა, რამეთუ შიშუელ ვარ და დავიმალე"(დაბ. 3,1-10). პირველივე განცდა, რაც გაჩნდა ღვთის სიტყვის დარღვევის შემდგომ – სირცხვილი იყო, ე.ი. მათ დაკარგეს უბიწოება. ამას მოჰყვა ზედიზედ ადამისა და ევას მრავალგვარი შეცოდება: უფლის კითხვაზე, თუ რატომ ჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, ადამი ღმერთს და ევას სდებს ბრალს: „დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისაგან და ვჭამე". როგორც ჩვენ პირველ თავში აღვნიშნეთ, ამ შეცოდებით ადამმა და ევამ არამარტო ღვთის სიყვარული, ერთმანეთის სიყვარულიც დაკარგეს, ღმერთი დაადანაშაულა ადამმა იმაში, რომ მას ევა მისცა მაშინ, როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის მამაკაცად და დედაკაცად გაყოფა ღვთის განზრახვას არ შეესაბამებოდა და მას შემდეგ მოხდა, რაც ადამმა თავი მარტოდ იგრძნო ახლადშექმნილ სამყაროში.

ნეტარი ავგუსტინე წერს ადამ და ევას შეცოდებისა და ღვთის სიტყვის ურჩობის თაობაზე: „შეუძლებელია, რომ საკუთარი ნება თავს არ დაატყდეს ადამიანს დაცემის დიდი ტვირთის სახით, თუ ის

ქედმაღლურად მიანიჭებს მას უპირატესობას უზენაესის ნების წინაშე. ეს გამოსცადა ადამიანმა, როდესაც არად ჩააგდო ღვთის შეგონება და ამ გამოცდილებით შეიტყო, თუ რა განსხვავებაა კეთილსა და ბოროტს შორის, სახელდობრ, მორჩილების სიკეთესა და ურჩობის ბოროტებას შორის, რომელიც არის ქედმაღლობა და თვითნებობა, ღვთის გულმოდგინე მიბაძვასა და ცოდვიან თავისუფლებას შორის" („nec fieri potest, ut voluntas propria non grandi ruinae pondere super hominem cadat, si eam voluntati superioris extollendo praeponat. hoc expertus est homo contemnens praeceptum dei et hoc experimento didicit, quid interesset inter bonum et malum, bonum scilicet oboedientiae, malum autem inoboedientiae, id est superbiae et contumaciae, peruersae imitationis dei et noxiae libertatis")[105]. ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები გულისხმობს იმას, რაც მის კომენტარებში შემდგომ თავებშიც ცხადდება[106], რომ ადამიანმა მანამდე სიკეთისა და ბოროტების გარჩევა იცოდა იმით, რომ იცოდა – რა იყო სიკეთე. და თუ სიკეთეს დაკარგავდა, (უნდა სცოდნოდა ღვთის ნდობა რომ ჰქონოდა) ეს იქნებოდა ბოროტება. როდესაც ადამიანმა არად ჩააგდო ღვთის სიტყვა, გველს ენდო და მისი სიტყვისამებრ, ღმერთის გატოლება განიზრახა (გავიხსენოთ, რომ სწორედ ასე დაეცა ანგელოზი და გახდა ეშმაკი), მოინდომა სიკეთესა და ბოროტებას შორის სხვაობის ცოდნა, გემოთმოყვარეობამ სძლია, მან დაკარგა მადლი, სიკეთე, დაეცა და ამით გაიგო – რა იყო ბოროტება; ღმერთს, რა თქმა უნდა, ვერ გაუტოლდა, სიცოცხლე დაკარგა, რადგან სიცოცხლის ხის ნაყოფის ჭამა აეკრძალა და

[105] Sancti Aureli Augustini, De genesi ad litteram libri duodecim eiusdem libri capitula, lib.VIII, cap.14,18-24, 252, თარგმანი საკუთარია – დ.ნადიბაიძე.
[106] იქვე, cap.15-16.

გაიგო განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის, მხოლოდ ამჯერად გაიგო იმით, რომ ბოროტებაში იმყოფებოდა. მანამდე ის ბოროტს იმით სცნობდა, რომ სიკეთეს ფლობდა და არ განეცადა ბოროტი, იცოდა, რომ იმ მადლის მოკლება იქნებოდა ბოროტება, სიკეთის დაკარგვით კი მასში ბოროტება შევიდა და რეალურად განიცადა მისი არსი, სანაცვლოდ კი სიკეთე ჩამოშორდა.

ადამ და ევას თავის მართლებას მოჰყვა ლოგიკური სასჯელი, როგორც მოსალოდნელი იყო. ღმერთის სიტყვები ადამისა და ევასადმი განსაზღვრავს მთელი მომდევნო კაცობრიობის ბედს დედამიწაზე: „განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი. და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევაჲ შენი. ** და იგი გეუფლებოდეს შენ.

ხოლო ადამს ჰრქუა: რამეთუ ისმინე ჴმაჲ ცოლისა შენისაჲ და სჭამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამაჲ, მისგან სჭამე, წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მას ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა. ეკალსა და კუროჲსთავსა აღმოგიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა, ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე" (დაბ. 3,16-19). ამის შემდგომ ნათქვამია ბიბლიაში, რომ „უწოდა ადამ სახელი ცოლსა თჳსსა: ცხორებაჲ. რამეთუ იგი არს დედა მაცხორებელთა”(დაბ. 3, 20).

ამ სიტყვებში ასახულია ადამიანის ღვთისადმი ხატებისა და მსგავსების გადაგვარება ცხოველებისადმი მსგავსებაზე. ესენია: ცხოველური წესით

გამრავლება, ტკივილით მშობიარობა, საკუთარი ოფლით ლუკმა-პურის მოპოვება და ბოლოს – სიკვდილი („მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე”); აღარ იხსენიება ადამიანი – ხატი ღვთისა, დედამიწის მეფე, მეფედ დაბადებული და სასუფევლისთვის გამზადებული. ყველა ღირსებითა და სათნოებით შემკული ადამიანი ამ დაცემის შედეგად მიწის ნაშიერად იქცა, მიწის ნაშიერებივით იცხოვრებს ამქვეყნად და მათ მსგავსად მოკვდება.

სამოთხის ბაღში ადამისა და ევას ცხოვრება ერთი შეხედვით მარტივი იყო, მაგრამ ამ სიმარტივით და უმცირესის აკრძალვით, მათ ეძლეოდათ უმთავრესი – ღმერთთან კავშირი, მასთან უშუალო ურთიერთობა, უბიწოება, პირველქმნილი მშვენიერება, სრული სიკეთე, სულიერი და ფიზიკური უკვდავება. ერთი შეცოდებით – ღვთის სიტყვაში ეჭვის შეტანით მათ თითქმის ყველაფერი დაკარგეს. როგორც ბერძენი მეცნიერის პ.ნელასის სტატიაშია განხილული, წმ. იოანე ოქროპირი წერს: „პირველქმნილი ადამიანი ცხოვრობდა სამოთხეში, ქორწინებაზე კი სიტყვაც არ თქმულა. შემწე დასჭირდა – ისიც გამოჩნდა; მიუხედავად ამისა, ქორწინება ჯერ კიდევ არ იყო აუცილებელი. ის დღესაც არ იარსებებდა, და ადამიანები მის გარეშეც იქნებოდნენ, იცხოვრებდნენ სამოთხეში, როგორც ზეცაში, და დატკბებოდნენ ღმერთთან საუბრით; ხორციელი ვნება, ფეხმძიმობა, მშობიარობის ტკივილები და, საერთოდ, ყველანაირი ხრწნილება მას არ შეეხებოდა”.[107]

[107] Св. Иоанн Златоуст, О девстве, 14 PG48, 543, მითითებულია სტატიის მიხედვით Панайотис Нелас, Кожаные ризы, ч.II, http://www.Pagez.ru/olb/067.php.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) ამგვარად აღწერს ადამიანის დაცემას და სამოთხის დატოვებას: „ვითარღა წარსაწყმედელ არს სიბოროტე და პირველი მისი დასაბამი და ბოროტი იგი, რომელმან ჩუენ მძინარეთა ზედა, შთამოსთესნა ღუარძლნი, რაჲთა დასაბამ ბოროტისა იქმნეს უდებებაჲ კეთილისაჲ, ვითარ-იგი ბნელისაცა – განშორებაჲ ნათლისაჲ.

ესე – ხისანი და მწარისა გემოჲსხილვისანი და მოშურნისა გუელისა და ურჩებისანი, რომელთათჳს დამესაჯა ოფლითა პირისაჲთა ცხორებაჲ. ამიერ ვიქმენ მე შიშუელ და უშუერ და შიშულოებაჲ ვცან და ტყავისა სამოსელი შევიმოსე და სამოთხით გამოვვარდი და მიწადვე მივიქეც, ვინაჲ მოღებულ-ვიყავ.

ერთი ოდენ მაქუნდა ნაცვალ საშუებელი – ჩემთა ბოროტთა უწყებაჲ – და მწუხარებაჲ დამესაჯა დაუცხრომელი ნაცვლად მცირედისა გულისთქუმისა და ბრძოლაჲ ბოროტად დამეგობრებულისა მიმართ და გემოჲსხილვისა მიერ წარმტყუენველისა.

ესე ბოროტთა ჩემთა ჴელისჴელადნი, ამიერ ჭირით შობაჲ და ცხორებაჲ და დაჴსნაჲ.”[108]

როგორც ვხედავთ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ხაზს უსვამს ცდუნების მრავალმაგ ბოროტებას – ადამიანმა თავი არ შეიკავა ერთი ხის ნაყოფის ჭამისგან და დაკარგა მრავალი, ერთხელ არ შეეწინააღმდეგა გველს და სამუდამოდ ბრძოლაში ჩაება ბოროტთან, გამუდმებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რადგან დაკარგა საბურველი მადლისა.

[108] Gregorius Nazianzenus, oratio XIX, Ad Iulianum exaequatorem, Corpus Christianorum, Series Graeca 42, Corpus nazianzenum 9, Turnhout, Brepols & Publishers, 2000, 209-211, 12r.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ახსენებს ტყავის სამოსელს, რომელიც ადამიანმა შეიმოსა მას შემდეგ, რაც „შიშულოება ცნა". მას შემდეგ, რაც ღმერთმა განსაზღვრა კაცობრიობის მომავალი ცოდვით დაცემის შემდგომ, ბიბლიაში ნათქვამია: „და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ"(დაბ. 3, 21).

„რა არის „სამოსელნი ტყავისანი", რომელსაც მოსე წინასწარმეტყველი ახსენებს, არის ეს უბრალოდ ადამისა და ევას სხეულის საფარველი ლეღვის ფურცლების სანაცვლოდ, რომელმაც უნდა დაფაროს მათი სხეული, რადგან მას აღარ გააჩნია პირველქმნილი მშვენიერება და უბიწოება, და მათი სიშიშვლე სამარცხვინო გახდა, თუ ეს არის სიმბოლური ფრაზა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანის სხეული – ხატად ღვთისა შექმნილი, თვისობრივად შეიცვალა და ცხოველური ცხოვრების წესზე გადავიდა? ამ საკითხს ძალიან საინტერესო გამოკვლევას უძღვნის თანამედროვე ღვთისმეტყველი პანაიოტის ნელასი მონოგრაფიაში – „განღმრთობა ქრისტეში", სადაც კონკრეტულად ამ თემას ეძღვნება თავი – „სამოსელნი ტყავისანი". აქ წმ. მამათა თხზულებების მიხედვით მრავალმხრივად განხილულია ეს საკითხი და, ვფიქრობ, გაცხადებულია, შემლებისდაგვარად, დასმული პრობლემატიკა. იგი წერს:[109] „ძირითადი, რაშიც თანხვდება ამ გამოთქმის მრავალრიცხოვანი ვარიანტები, – ესაა მოკვდაობის აღნიშვნა, რომლითაც შეიმოსა ადამიანი, როგორც მეორე ბუნებით, დაცემის შემდეგ. წმ. მეთოდე ოლიმპიელი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ღმერთმა შეუქმნა

[109]Панайотис Нелас, Кожаные ризы, ч.I, http: // www.pagez.ru / olb/ 066.php.

ტყავის სამოსი ადამიანს ნიშნად მოკვდავად ქცევისა.[110] გრიგოლ ნოსელი კი განმარტავს, რომ თუ დაცემამდე ადამიანი იყო შიშველი მკვდარი ტყავის საფარველისაგან, დაცემის შემდეგ ის ამ სამოსით შეიმოსა[111], და ამ სახით „მოკვდაობა, აღებული არაგონიერი არსებების ბუნებიდან, საღმრთო განგებულებით ჩამოეცვა ბუნებას, რომელიც უკვდავებისთვის შეიქმნა"[112].

აღნიშნულ სტატიაში საუბარია მოკვდაობის იმ ნიშნებზე, რომელიც შეითვისა ადამიანმა (ქორწინება, მშობიარობა და ა.შ., რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ) და ავტორი წმ. მამათა კომენტარებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ ყოველივე ეს, რასაც თანამედროვე ადამიანი ბუნებრივ თვისებებად მიიჩნევს, სრულიადაც არ არის ადამიანისათვის ბუნებრივი და თანდაყოლილი, პირიქით, ადამიანმა ეს თვისებები დაცემის შედეგად შეიძინა. იგი წერს: „პირველი, რასაც გვინდა ყურადღება მივაქციოთ, – არის ძალიან აშკარა ფაქტი შესაქმის წიგნიდან, რომ „სამოსელნი ტყავისანი" ადამიანს ჩააცვეს დაცემის შემდგომ და არ გვევლინება მის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად[113]. ის, რასაც ემპირიული მეცნიერება უწოდებს „ადამიანურ ბუნებას", ბიბლიურ და წმიდა მამათა აზროვნებაში არის უკვე გვიანდელი თვისება, მდგომარეობა, რომელიც ძალაში შევიდა დაცემის შემდეგ, და არ არის პირველქმნილი, ჭეშმარიტად ადამიანური

---

[110] Св.Мефодий Олимпийский. Слово о воскресении мертвых I, 39, GCS 27, 281, 13-14, მითითებულია პ.ნელასის სტატიის მიხედვით.

[111] Св. Григорий Нисский. Слово о девстве 12, PG 46, 373C, 376A , მითითებულია პ.ნელასის აღნიშნული სტატიის მიხედვით.

[112]Св.Григорий Нисский,Огласительное поучение 8,PG45,33CD , მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.

[11]Быт.2,25 –3, 24;Ср.Св.Григорий Нисский. Огласительное поучение восьмое. PG45,33C; его же. Толкование молитвы Господней, 5, PG 44? 118B. Значение этого момента проанализировано:Danielou J. Platonisme et theologie mystique. P.? 1956.P.58-59.სქოლიო მითითებულია პ.ნელასის სტატიის მიხედვით.

ბუნება: „რამედენადაც მხოლოდ სიცოცხლე, ღვთის მსგავსად წარმართული, ჭეშმარიტად შეეფერება ადამიანს და თანხმობაშია მის ბუნებასთან”[114]. შესაბამისად, თუკი თანამედროვე ადამიანს სურს ბოლომდე გაიგოს თავისი ყოფიერების ბუნება მთელი კეთილი და ბოროტი მხარეებით, ის უნდა ამაღლდეს თავის ჩვეულ შეხედულებებამდე და დასვას კითხვა: რასაც ის „ბუნებრივად” მიიჩნევს, განა ასე ცხადია?”[115] აქვე ის იძლევა განმარტებას, რომ თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ვნება არ არის ადამიანის თანდაყოლილი თვისება და დაცემის შედეგად შეიძინა მან, ეს არ ნიშნავს სხეულის უარყოფას, სხეულის როლის უარყოფა ერესია (ორიგენეს მიაჩნდა დასაშვებად, რომ „სამოსელნი ტყავისანი” შეიძლება ნიშნავდეს ადამიანის სხეულს[116]); ამ გნოსტიკურ ერესს, რომელიც სხეულის როლს აკნინებდა ადამიანის პიროვნებაში, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში დაუპირისპირდნენ წმ. მამები და ხაზი გაუსვეს სხეულის არა მარტო დადებით მხარეს, არამედ გამოკვეთეს ცხადად აზრი, რომ ქრისტიანული სწავლება აღიარებს, რომ სხეული და სული ერთად შეადგენს ადამიანის ბუნებას. პ.ნელასი იმოწმებს წმ. მამებს: ეპიფანე სალამინელს, გრიგოლ ღვთისმეტყველსა და გრიგოლ ნოსელს და ამბობს, რომ „მართებულია ადამიანის ბუნება ვუწოდოთ არა სულს სხეულის გარეშე, არც სხეულს სულის გარეშე,

[114] Св. Григорий Нисский, Толкование на Экклесиаста I, PG44, 624B, სქოლიო მითითებულია პ.ნელასის სტატიის მიხედვით.
[115]Панайотис Нелас, Кожаные ризы, ч.I, http;//www.pagez/ru/olb/066/php.
[116] Ориген. Толкование на Бытие 3, 2, 3 PG 12, 101, მითითებულია ნელასის მიხედვით.

არამედ მშვენიერ მთლიანობას, შემდგარს სულისა და სხეულის შეხამებით”[117].

შემდგომში მკვლევარი განმარტავს, ასევე წმ. მამათა ნააზრევზე დაყრდნობით, თუ რა იგულისხმება „მოკვდაობაში”. იგი წერს: „ამ და მრავალ ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტებში, შესანიშნავია ის, რომ საუბარია არა სიკვდილზე, არამედ მოკვდაობაზე, ახალ მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდა ადამიანი, ესაა „სიცოცხლე სიკვდილში”.[118] დაცემა გასაოცრად და სრულიად ცვლის საქმის ვითარებას. ადამიანს უკვე აღარ გააჩნია საკუთარ თავში სიცოცხლე, როგორც შინაგანად დამახასიათებელი თვისება, რომელსაც ის მანამდე ფლობდა. მასში ამჟამად ბუნებრივად მჩქეფარე სიცოცხლეში უკვე აღარ არის მადლი. სიცოცხლე გრძელდება მხოლოდ იქამდე, სადამდეც სიკვდილია გადავადებული. საკუთრივ არსებული აღმოჩნდა სიკვდილი: სიცოცხლე გადაიზარდა არსებობაში”.[119] ასე რომ, – დაასკვნის ის,– მთელი ბუნება ადამიანისა ადამმა სიკვდილის ლუკმად აქცია, რადგან იგემა არა სიცოცხლის ხის, არამედ იმ ხის ნაყოფი, რომელიც მას სიკვდილს მოუტანდა; ამიერიდან კაცობრიობა საზრდოს ღებულობს და უახლოვდება ამქვეყნიდან გასვლის ჟამს. ამიტომაც „სიკვდილი ცოცხლობს მთელი ამ ხნის განმავლობაში, ისე რომ ჩვენით საზრდოობს, ჩვენ კი სინამდვილეში არასდროს არ ვცოცხლობთ,

---

[117] Св. Епифаний Саламийский, Panarion 64, 18, PG 41, 1097D. СВ. Григорий Богослов. Слово 45, PG 36, 632; Св. Григорий Нисский. Об устроении человека 29, PG 44, 233D, მითითებულია პ.ნელასის სტატიის მიხედვით.

[118] Св. Григорий Нисский, Изъяснение Песни Песней Соломона 12, PG 44, 1021 D, მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.

[119] П. Неллас, Кожаные ризы, ч. I, http:// www. pagez.ru /olb/ 066.php.

რადგანაც მუდამ ხრწნილების გამო სიკვდილი გვნთქავს”[120]. ამიტომაც წმ. მაქსიმე აღმსარებელი ამ სიცოცხლის დასრულებას უწოდებს არა სიკვდილს, არამედ სიკვდილისაგან გათავისუფლებას[121]. აქ უნდა დავძინოთ, რომ ამ სიცოცხლის დასრულება სიკვდილისაგან გათავისუფლებაა მათთვის, ვინც ამქვეყნიური ხრწნადი სიცოცხლის (რომელსაც წმ. მაქსიმე აღმსარებელი სიკვდილს უწოდებს და იგივე აზრს გამოთქვამდა წმ. გრიგოლ ნოსელი, როდესაც ჩვენს სიცოცხლეს უწოდებდა „სიცოცხლეს სიკვდილში”) შემდგომ მოიპოვებენ სიცოცხლეს ღმერთში, რაც ქრისტემ მოუტანა კაცობრიობას – გახსნილი ცათა სასუფეველი, სული ღმერთთან დამკვიდრებული და დაბრუნებული, უკვე სამოდამოდ; როგორც ეპიფანე კვიპრელი იტყვის: „ვიდრე მოსლვადმდე ქრისტჱსა ითქუმის ჴელმწიფებაჲ იგი სიკუდილისაჲ”.[122]

ასე რომ, წმ. მამათა განმარტებით, „სამოსელნი ტყავისანი”, როგორც პ.ნელასი სამართლიანად დაასკვნის, არის, უპირველეს ყოვლისა, მოკვდაობა, რომელიც ადამიანმა შეიმოსა დაცემის შედეგად. ამ მოკვდაობაში კი იგულისხმება ყველა ის ნიშანი, რაც მას ახასიათებს (ცხოველური წესით გამრავლება, ფეხმძიმობა, მშობიარობის ტკვილები და, ბოლოს, გარდაცვალება). აქედან გამომდინარე, ადამიანი წავიდა არა ღვთისაკენ სწრაფვის, არამედ დაცემის მიმართულებით და გააგრძელა ცხოვრება ვნებებს მინდობით. დაკარგა ის სულიერი მადლი, მიწიერი ნუგეში და სიტკბოება, რომელიც მას სამოთხის ბაღში ეძლეოდა

[120] Прп. Максим Исповедник. Ambigua, PG 91, 1156C-1157A, მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.
[121] Прп.Максом Исповедник. Ambigua, PG 91, 1157C, მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.
[122] შატბერდის კრებული, 1979, 150,22.

ღვთისგან და ამის სანაცვლოდ დაიწყო მუდმივად ტკბობის ძიება იქ, სადაც მისი ჭეშმარიტი ბუნების საწინააღმდეგოა და ღვთისგან არ ეძლევა. ამიტომ, დაასკვნის პ.ნელასი: „წმ. მაქსიმე (აღმსარებელი) დაწვრილებით საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ გამოამწყვდევს ეს საქციელი ცოდვილს ცოდვის შეშლილ და სიკვდილისმომტან წრეში. რადგანაც, რამდენადაც დაძაბულია ძიება ტკბობისა, მით უფრო ინტენსიურია ტანჯვის სიმწარე, რომელიც კულმინაციას სიკვდილში აღწევს. „ასე რომ სიამოვნების გავლით, რომელიც ბუნებაში გონების საწინააღმდეგოდ არის შეყვანილი, მასში შედის ტანჯვაც, რომელიც არ ეწინააღმდეგება გონებას."[123] გააცნობიერა რა, რომ სიამოვნებას, ჩვეულებისამებრ, მოსდევს ტანჯვა, ადამიანმა შეიძინა მისწრაფება ტკბობისაკენ და ზიზღი ტანჯვისა; და იბრძვის მთელი ძალით, რათა მიაღწიოს პირველს და გაექცეს მეორეს, იმის ვარაუდით, რომ ამით ის შეძლებს ერთის მეორისაგან ჩამოცილებას და პირველის დაპატრონებას, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი თავის სიყვარულით გამოწვეულ ტკბობასთან, – რაც შეუძლებელია. რადგან ვერ გაიგო ადამიანმა... რომ არ არსებობს სიამოვნება ტანჯვის გარეშე; არაბუნებრივი ტკბობა თავისთავად ატარებს საკუთარ თავში ტანჯვის სიმწარეს"[124].

როდესაც წმ. მაქსიმე აღმსარებელი საუბრობს არაბუნებრივ – ბუნების საწინააღმდეგო ტკბობაზე, „ბუნებრივ"-ში გულისხმობს ადამიანის იმ ბუნებას, რომელიც ღვთის ხატად შეიქმნა. ამ ხატების საწინააღმდეგოა

[123] Прп. Максим Исповедник. К Фалассию 61. PG 90. 628B, მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.
[124] Прп. Максим Исповедник. К Фалассию. 256 A; ср. 61.629D-632A. Панаиотис Нелас, Кожаные ризы, ч.II, http://www.pagez.ru/olb/ 067.php.

ცოდვა, ვნება, ანუ საქციელი, რომელიც ღვთის ნების საწინააღმდეგო ტკბობას იწვევს.

ასე რომ, ადამიანის ცხოვრება სამოთხის ბაღში ცოდვით დაცემამდე შეესაბამებოდა ადამიანის ბუნებას – ღვთის ხატად შექმნილს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმიდა მამები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ადამიანის არსებაში არ შეიძლება არც სულის განხილვა სხულის გარეშე და არც – პირიქით; ორივე ერთად შეადგენს ადამიანის პიროვნებას (წმ. გრიგოლ ნოსელი თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „კაცისა აგებულებისათვის" ერთ თავს უძღვნის ამ საკითხს, ესაა „გამოძიებაᲲ, რომელი მოასწავებს, ვითარმედ სულისა და ჴორცთა ა[რ]სებაᲲ შეერთებულ არს"[125]). პიროვნება ინარჩუნებს ღვთის ხატებასა და მსგავსებას და, შესაბამისად, ღვთაებრივ სიკეთესა და მშვენიერებას მანამ, სანამ ღვთის ნებას მიჰყვება. ცოდვით დაცემამ კი ადამიანი პირუტყვს დაუახლოვა, ანგელოზთა მსგავსად ღვთის დიდებისთვის შექმნილი ადამიანის ცხოვრება სამოთხიდან განდევნის შემდგომ იქცა საკუთარი თავის გადარჩენისთვის ბრძოლად. სიცოცხლე იქცა ზრუნვად საზრდოს მოპოვებისთვის, რომ ადამიანმა სიკვდილი აიცილოს, ფიზიკურად გადარჩეს, სიკვდილი კი ბოლოს მაინც მოდის. ცოდვამ წარმოშვა საკუთარი თავის არასწორი სიყვარული – ეგოისტური და გაუმართლებელი, რომელსაც სიკეთე არ მოაქვს. ამ გრძნობამ – თვითგადარჩენის ინსტინქტმა, რომელიც ღვთისა და ადამიანის სიყვარულს აცილებს ადამიანს, ადამიანში ღვთის მადლი დათრგუნა და

[125] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 216.

ტანჯვა გამოიწვია. ცხოვრება ვნებებს მიენდო, ხორციელი ტკბობის ძიებას მიჰყვა ადამიანი, რასაც მისთვის სიკეთე არ მოჰქონდა. ამიტომ, რადგან წმ.მამათა განმარტებით, სიკეთე და მშვენიერება ღვთის განუყოფელი თვისებებია (და სრულყოფილებას მხოლოდ ღმერთში აღწევს), რომელიც ადამიანმა მხოლოდ ღვთის მსგავსი ცხოვრებით უნდა მოიპოვოს, სამოთხიდან განდევნის შემდგომ ადამიანი სრულყოფილებას დასცილდა, იერარქიულად დაბალ საფეხურზე ჩამოინაცვლა, მისი სიკეთე და მშვენიერებაც, რითაც თავის დამბადებელ უფალს ემსგავსებოდა, დაკნინდა; დედამიწის მეუფედ დაბადებულმა, მეფობის პატივი დაკარგა. როგორც წმ. მამები განმარტავენ, ადამიანის დაცემით დედამიწის ყველა ქმნილება დაეცა და მტრობა ჩამოვარდა ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის. მტრობა ჩამოვარდა ანგელოზებსა და ადამიანს შორისაც, ვინაიდან ანგელოზები მარად ღვთის ნებას ასრულებენ, ადამიანი კი მეტ-ნაკლებად ღვთის საწინააღმდეგო ცხოვრების წესზე გადავიდა. სამოთხის ბაღთან ღმერთმა ქერუბიმი დააყენა, რომ ადამიანი არ შეეშვა:,, და თქუა ღმერთამან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და აწ ნუსადა მიყოს ჴელი თჳსი და მოიღოს ხისაგან ცხორებისა, და ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე.

და განავლინა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებელისა საქმედ ქუეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა.

და განჴადა ადამ და დაამკჳდრა იგი წინაშე საშუებელსა სამოთხისასა და დააწესა ქერობინი და მოტყინარე მახჳლი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხორებისასა” (დაბ. 3,22 - 24).

სამყაროში, რომელიც კეთილად შეიქმნა და რომლის ხილვისას თავად შემოქმედი ამბობდა, რომ არის ყოველივე „კეთილი", ვინაიდან ღმერთმა ყოველი ქმნილება კეთილად დაჰბადა და ყოველი მათგანის ცხოვრება ღვთაებრივი წესრიგით განაწილდა – ერთმანეთის არსებობას უწყობდა ხელს, ამ სამყაროში წესრიგი დაირღვა. ადამიანმა დაარღვია ეს წესრიგი და ყველა ქმნილება მის მსგავსად თვითგადარჩენის მოტივით იწყებს სიცოცხლეს. ის მშვენიერება და სიკეთე, რაც პირველქმნილ სამყაროს ჰქონდა, დაიკარგა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ღვთის ქმნილებას დედამიწისა და მისი ბინადრების სახით სრულიად დაეკარგოს ეს თვისებები, მაგრამ სრულყოფილება დაიკარგა ადამიანის დაცემის შემდგომ.

სამოთხიდან განდევნიდან ქრისტეს განკაცებამდე ახალ ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში. ამ დროს ადამიანი ცხოვრობს ჯერ სტიქიურად (ადამისა და ევას ცხოვრება სამოთხის გარეთ დაიწყო უმძიმესი ცოდვით, მათმა ერთმა შვილმა კაენმა საკუთარი ძმა – აბელი მოკლა შურით), შემდეგ კი ამ სტიქიური არსებობის მოწესრიგება ხდება სჯულით ანუ კანონით, რომელსაც ღმერთი ათი მცნების სახით მოსეს გამოუცხადებს სინას მთაზე, რათა ადამანებს აუწყოს, თუ რა წესით უნდა იცხოვრონ. წმ. ეპიფანე კვიპრელი წერს სჯულის აუცილებლობის შესახებ: „ამისთჳს სხუაცა-გამო[სა]თქუმელ და გამოსათარგმანებელ. არამედ შჯული იგი იყო, რომელი დაშჯიდა. ნუ იყოფინ! და არცა მომკლველ იყო წერილი იგი, არამედ მოსაკუდინებელ იყო მათა, რომელნი გარდასლვასა და ცოდვასა იქმოდეს. და არა თუ დასაშჯელად იყო შჯული იგი. ნუ

იყოფინ! არამედ რომელნი იმარხვიდეს სიმართლესა და სიწრფოვებასა, მიიღებდეს თავთა თჳსთა საშჯელსა სიკუდილისასა უდებებითა ბოროტთა მათ საქმეთაჲთა”[126]. ვერ ვიტყვით, რომ ათი მცნების მიღების შემდეგ ადამიანები ღვთის გზას დაადგნენ, მაგრამ მიეცათ საშუალება საკუთარი თავის ღვთის წინაშე გაწონასწორებისა, ეს ის მინიმუმი იყო, რომელიც ადამიანებს სრულყოფილებას ვერ მოუტანდა, მაგრამ მართლად გამოაჩენდა ღვთის წინაშე და დამატებით სასჯელს ააცილებდა. ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი მაცხოვრის შესახვედრად. ამ ეტაპზე ხალხს ღვთისაკენ უძღვებოდნენ წინასწარმეტყველნი. წინასწარმეტყველები არსებობდნენ ქრისტეს მოსვლამდე და მის მოსვლას წინასწარმეტყველებდნენ, დაცემულ ადამიანს ამზადებდნენ მესიის შესახვედრად, რათა ადამიანს ხელახლა უარი არ ეთქვა აღთქმულ სასუფეველზე და გამოხსნა მიეღო. რადგან სიკეთე და მშვენიერება ადამიანის განღმრთობის თანამდევია, უეჭველია, ეს პერიოდი უნდა განვიხილოთ, როგორც მოსამზადებელი ეტაპი დაკარგული მშვენიერების დაბრუნებისა, რომელიც ქრისტეს მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.

ვლ. ლოსკი ამ მოსამზადებელი პერიოდის, ანუ ძველი აღთქმის პერიოდის ამგვარ ანალიზს აკეთებს: "წინასწარგანმზადების პერიოდი – ესაა აღთქმანი: ნელი წინსვლა ქრისტესკენ, რომლის განმავლობაშიც ღვთაებრივ "პედაგოგიკას" სურს შესაძლებელი გახადოს დასჯის წუთში მიცემული აღთქმის შესრულება. ამიტომ მთავარი ძველ აღთქმაში არის სჯული; აქ ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის არის – არა

[126] ეპიფანე კუპრელი, თუალთაჲ, შატბერდის კრებული, მეცნიერება, თბილისი 1979, 150,24-30.

ერთობა, არამედ კავშირი, რომლის თავდებადაც გვევლინება სჯულის ერთგულება"[127]

ამ მოსამზადებელ პერიოდში, როდესაც ადამიანს მინიმუმი მოეთხოვებოდა ღვთის წინაშე, იყვნენ ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული სიწმიდე მოიპოვეს და ღვთის რჩეულებად იყვნენ წოდებული თავის თანამედროვე საზოგადოებაში. ესენი იყვნენ წინასწარმეტყველნი, რომელნიც წმიდა ცხოვრებით, ღვთის შიშით, სიყვარულით და ერთგულებით გამოირჩეოდნენ; მათი მეშვეობით ღმერთი თავის ნებას აუწყებდა ადამიანებს, რადგან საზოგადოება უკვე ღვთის სიტყვას ვეღარ ისმენდა, არ იყო დამტევი ღვთაებრივი ხმის გულისხმისყოფისა. მოვიხმობთ ისევ ვლ. ლოსკის სიტყვებს: „ძველმა აღთქმამ არ იცოდა შინაგანი მადლისმიერი გაბრწყინება, მაგრამ მან მაინც იცოდა სიწმიდე, რადგან მადლი, რომელიც გარედან მოქმედებდა, სულში იწვევდა ერთგვარ ნაყოფს ზემოქმედებისათვის. ადამიანი, რომელიც რწმენის საფუძველზე ღვთის მორჩილებაში იყო და ცხოვრობდა მართლად, შეიძლებოდა ღვთის ნების შემსრულებელი გამხდარიყო"[128].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვლ. ლოსკის თვალსაზრისს, როდესაც ის წერს წინასწარმეტყველთა შესახებ, რომ მათ შემთხვევაში ღვთისა და ადამიანის ნების თანხვედრა კი არ ხდებოდა, არამედ ღმერთი იყენებდა მათ, როგორც "იარაღს" (ლოსკის ტერმინია) საკუთარი ნების განსახორციელებლად: “ სარწუნოებით ღვთის მორჩილებაში მყოფი ადამიანი, რომელიც მართლად ცხოვრობდა, შესაძლებელი იყო ღვთის

[127] В. Н. Лосский, Очерк мистического богословия Восточной Церкви, Догматическое богословие, 256.
[128] В. Н. Лосский, Очерк мистического богословия Восточной Церкви, Догматическое богословие, 256.

ნების იარაღი გამხდარიყო. როგორც მოწმობს წინასწარმეტყველთა მოწოდება, ეს არ იყო ორი ნების თანხმობა, არამედ იყო ღვთაებრივი ნების მიერ ადამიანური ნების მბრძანებლური გამოყენება: ღვთაებრივი სული დაეცემოდა იმას, ვისაც ხილვის უნარი ჰქონდა, ღმერთი გარედან ეპატრონებოდა ადამიანს ისე, რომ აკისრებდა თავის მოთხოვნებს მის პიროვნებას. უხილავი ღმერთი – ლაპარაობდა, მსახური – უსმენდა “.[129] ჩვენის აზრით, რაც, რა თქმა უნდა, წმიდა მამათა სწავლებიდან გამომდინარეობს (ამ თემაზე წინა თავში ვრცლად ვისაუბრეთ),[130] ადამიანი ყოველთვის ნებისმიერ მდგომარეობაში ფლობს თავისუფალ ნებას და ის ამ ნებას ან უმორჩილებს ღვთის ნებას, და ან – არა. ის, რომ წინასწარმეტყველები ასრულებდნენ ღვთის ნებას, სწორედ მათი კეთილი ნების გამოვლენაა და ამიტომაც გახდნენ ისინი წმიდანი ღვთისა და მოიპოვეს განსაკუთრებული პატივი, მადლი და კადნიერება ღვთის წინაშე, თორემ კაცობრიობამ და ძველმა და ახალმა აღთქმამაც იცის ადამიანები – მეფე საული (I მეფ. 15, 20 -35), პეტრე მოციქულის ზოგიერთი მოწაფე [131] და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც ბოროტი სულების განდევნის ძალაც კი მიიღო ქრისტესგან, როდესაც მაცხოვარმა მოციქულები საქადაგებლად გააგზავნა (მარკ. 3,14 – 15), ზიარებაც მიიღო მაცხოვრის ხელიდან საიდუმლო სერობაზე, მაგრამ საბოლოოდ კეთილი ნება არ გამოავლინა – ქრისტესკენ არ გადაადგა ნაბიჯი პეტრე მოციქულის მსგავსად და სინანულით და იმედით ღმერთს არ დაელოდა.

---

[129] იქვე.

[130] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 180, 20 – 40, 181, 1 – 15. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, 34, 12 – 40.

[131] ეპიფანე კვიპრელი, თუალთაჲ, შატბერდის კრებული, 147, 35 – 40.

სოლომონ ბრძენმა სიცოცხლის ბოლოს თავისი წარმართი ცოლების კერპებს სცა თაყვანი, უფალმა გააფრთხილა, რომ თუ ღალატს არ შეწყვეტდა, მის მემკვიდრეს ძალაუფლებას წაართმევდა, სოლომონმა ყურად არ იღო გაფრთხილება, რისთვისაც ღმერთმა მის შვილს ისრაელის თორმეტი ტომიდან ათზე წაართვა მეფობა, ორი კი შეუნარუნა, რადგან არ დაარღვია თავისი ერთგული დავით წინასწარმეტყველისთვის მიცემული პირობა, რომ დავითის მემკვიდრე იმეფებდა წმიდა ქალაქ – იერუსალიმში (IIIმეფ., 11, 10 – 12); ყველაზე საგულისხმო კი, რა თქმა უნდა, მაცხოვრის ჯვარცმის დროს მის მარჯვენით ჯვარზე გაკრული ავაზაკის მაგალითია, რომელმაც სიკვდილის წინ აღიარა საკუთარი ცოდვები და ქრისტეს შეწყალება სთხოვა (ლკ.23,43); ქრისტიანული სარწმუნოების მიმტევებლობისა და კაცთმოყვარების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფაქტია, რომ ქრისტემ სასუფეველში პირველი სწორედ ეს ავაზაკი შეიყვანა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ადამიანს ყოველთვის, ბოლო წუთამდე, გარდაცვალებამდე აქვს თავისუფალი ნება და ის აკეთებს არჩევანს თავისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულამდე, რადგან პირველი შეცოდების შემდგომ არჩევანის საზღვრები შემცირდა ადამიანის მოკვდავად ქცევასთან ერთად (უკვდავების დროს საზღვარი არ არსებობდა) და მისი არჩევანი ამქვეყნიური ცხოვრებით შემოისაზღვრება.

ვერც იმ აზრს გავიზიარებთ, რომ მორჩილება და სისპეტაკე ნეგატიური ცნებებია და გულისხმობს ღმერთის მოქმედებას გარედან და ადამიანის დამორჩილებას; ადამიანი კი იარაღია ღვთისა: “მორჩილება და სისპეტაკე ნეგატიური მოვლენებია: ესენი გულისხმობს ღმერთის

გამოვლენას გარედან და ადამიანის დამორჩილებას, ადამიანი კი ხდება იარაღი ღვთისა; ადამიანი, რომელიც თუნდაც მართალი ყოფილიყო, ვერ თავისუფლდებოდა თავისი ცოდვისა და მოკვდაობის მდგომარეობისაგან".[132] ურჩობის გამო დაკარგა ადამიანმა სამოთხე. მორჩილებისთვის და ღვთის ნების შესასრულებლად განკაცდა მაცხოვარიც, ამას თვითონ ამოწმებს: "რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ" (ი. 6, 38), ეს სიტყვები ადამიანური ნების უარყოფისა და ღვთისადმი მორჩილების ნიმუშია და მაგალითია კაცობრიობისათვის ღვთისათვის სათნო ცხოვრებისა. ამიტომ აღნიშნული ადგილები ვლ. ლოსკის მონოგრაფიიდან ჩვენთვის გაუგებარია. საერთოდ კი, რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ვლ. ლოსკის კომენტარები, მიძღვნილი პატროლოგიის ძირეული საკითხებისადმი და ჩვენს მოკრძალებულ ლიტერატურულ კვლევაში, რომელიც მიზნად არ ისახავს საღვთისმეტყველო კამათს და ძიებებს, ხშირად ვსარგებლობთ მისი შესანიშნავი კომენტარებით აღმოსავლეთის ეკლესიის ღვთისმეტყველებისა და დოგმატიკის საკითხების შესახებ.

ჩვენ არ დავიწყებთ ცალკეულ წინასწარმეტყველთა ცხოვრების მიმოხილვას, თითოეული მათგანის ცხოვრება ღვთისადმი ერთგულების და საკუთარი ერისთვის თავგანწირვის მაგალითია, და არც "ძველი აღთქმის" კომენტარების განხილვას, თუნდაც ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა და ამოუწურავი

[132] В. Н. Лосский, Очерк мистического богословия Восточной Церкви, Догматическое богословие, 256.

თემაცაა. ამ თავში შევეცდებით ძალიან მოკლედ, მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს შევეხოთ "ძველი აღთქმიდან", რომელიც ასახავს ადამიანის ღმერთთან შეხვედრას და როდესაც ამ მადლის ზემოქმედებით ადამიანის მშვენიერება და სიკეთე ღვთაებრივი გამხდარა, ისე რომ წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში.

ჩვენ განვიხილეთ წმ. მამათა კომენტარები, რომელიც ეხებოდა ადამიანის თავისუფალ ნებასა და ურჩობას, რომლითაც ადამმა დ ევამ სამოთხე დაკარგეს. ამის საპირისპიროდ, კეთილი ნებისა და ღვთისადმი მორჩილების საუკეთესო მაგალითია ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვა. ბიბლიაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ღმერთმა გამოსცადა აბრაამი ერთგულებაში. მამათმთავარი აბრაამი და სარა უშვილოები იყვნენ; ღვთის მორჩილი იყო აბრაამი და უფალმა აღუთქვა, რომ გაამრავლებდა მას, "ვითარცა ქჳშას ქუეყანისა". დაემკვიდრა აბრაამი, ღვთის ბრძანებისამებრ, ქებრონს, მამბრეს მუხასთან, თავისი ცოლით, მსახურებით და მთელი ქონებით და აუშენა საკურთხეველი უფალს (დაბ. 13, 16-18). გამოეცხადა უფალი სამი ანგელოზის სახით მამბრეს მუხასთან და ხელახლა აღუთქვა, რომ ძე შეეძინებოდა და გამრავლდებოდა. შეეძინა აბრაამს ძე, ღვთის სიტყვისამებრ, და იზრდებოდა ყრმა, რომლისგანაც უნდა მისცემოდა შთამომავლობა მრავალი, "ვითარცა ვარსკულავნი ცისანი" (დაბ.15, 5). მაშინ გამოსცადა ღმერთმა აბრაამი რწმენაში, მორჩილებაში, ღვთის სიყვარულსა და ერთგულებაში. ბიბლია მოგვითხრობს ამ ამბის შესახებ: "და იყო შემდგომად სიტყვისა ამის ღმერთმან გამოსცადა აბრაჰამ და

ჰრქუა მას: აბრაჰამ! აბრაჰამ! ხოლო მან თქუა: აქა ვარ, უფალო! და ჰრქუა მას ღმერთმან: მოიყვანე ძე შენი საყუარელი, რომელი შეიყუარე, ისაკი, და წარვედ ქუეყანასა მაღალსა და შეწირე იგი მუნ მსხუერპლად ერთსა ზედა მთათაგანსა, რომელსა მე გრქუა შენ. აღდგა აბრაჰამ განთიად და აღსხნა კარაულსა თჳსსა და წარიყვანნა მის თანა ორნი მონანი და ისაკ, ძე თჳსი. და დაკოდა შეშაჲ მსხუერპლისათჳს და აღდგა და წარვიდა და მოვიდა ადგილსა მას, რომელსაცა ჰრქუა ღმერთმან, მესამესა დღესა. და აღიხილნა აბრაჰამ თუალნი თჳსნი და იხილა ადგილი შორით. და ჰრქუა აბრაჰამ მონათა თჳსთა: დასხედით მანდა კარაულისა თანა. და მე და ყრმაჲ ესე წარვიდეთ ვიდრე იქიმდე და თაყუანის-ვსცეთ და მოვაქციოთ თქუენდავე. წარიღო აბრაჰამ შეშაჲ იგი მსხუერპლისაჲ და აღკიდა ისაკს, ძესა თჳსსა. და მიიღო ცეცხლიცა ჴელითა თჳსითა და დანაკი და წარვიდეს ორნივე ზოგად. ჰრქუა ისაკ აბრაჰამს, მამას თჳსსა (AS): მამაო! და მან თქუა: რაჲ არს შჳლო? ხოლო მან ჰრქუა, მეტყუელმან: და აჰა ცეცხლი და შეშანი. სადა არს ცხოვარი ყოვლად დასაწუელად? და თქუა აბრაამ: ღმერთმან იხილოს თავისა თჳსისა ცხოვარი ყოვლად დასაწუელად, შვილო. და ორნივე ზოგად მავალნი მოვიდეს ადგილსა, რომელი ჰრქუა მას ღმერთმან. და აღაშენა მუნ საკურთხეველი და ზედა დასხნა შეშანი და შემკურელმან ისაკის, ძისა თჳსისამან, დადვა იგი საკურთხეველსა, ზედა კერძო შეშათა. და განყო ჴელი აბრაამ მოღებად მახჳლისა დაკლვად ძისა თჳსისა. და უწოდა მას ანგელოზმან უფლისამან ზეცით და ჰრქუა მას: აბრაამ! აბრაამ! და თქუა: აჰა მე. და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ ჴელსა შენსა ყრმისა ზედა, ნუცა უყოფ მას ნურარას, რამეთუ აწ

მიცნობიეს, ვითარმედ გეშინის შენ ღმრთისა და არა ჰრიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს (CB) " (შეს. 22, 1-12).

ემოციურად ყველაზე დატვირთულია ამ ტექსტში უფლის სიტყვები, როდესაც ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისაკი საყვარელია მამისთვის და სწორედ ეს საყვარელი შვილი უნდა შესწიროს აბრაამმა, როგორც სამსხვერპლო ვაცი. მეორე ეპიზოდი, რომელიც უნდა გამოვყოთ მსხვერპლშეწირვის ციტატიდან არის, როდესაც აბრაამი არ ამხელს სარასთან თავის განზრახვას, ისე მიჰყავს ისაკი შესაწირად და თან გაიყოლებს მხოლოდ მსახურებს, რომელთაც, ასევე, მოშორებით ტოვებს. ყველაფერს ის აკეთებს უდრტვინველად, ღვთისადმი შიშით და რწმენით, როგორც მანამდე იქცეოდა, სანამ ვაჟი შეეძინებოდა და უფალი აღუთქვამდა გამრავლებას; ამის გამო ბიბლიაში მასზე ნათქვამია, რომ "რწმენა აბრაამს და შეერაცხა მას სიმართლედ" (შეს. 15, 6 AS).

მესამე ეპიზოდის სახით შეიძლება გამოიყოს, როდესაც ისაკი მოიკითხავს მსხვერპლს, რომელიც უნდა შეწირონ და მის დაძახებაზე აბრაამი ტკბილად და მშვიდად (ღვთისადმი რწმენიდან მომდინარე სიმშვიდით) პასუხობს: "რაჲ არს, შჳლო?", ხოლო მის შეკითხვაზე – თუ სად არის მსხვერპლი, ეუბნება: "უფალმან იხილოს თავისა თჳსისა ცხოვარი მსხუერპლისაჲ". ეს უკანასკნელი სიტყვები გულისხმობს საკუთარი ნების სრულ უარყოფას, ღვთის განზრახვაში სრულ ჩაურევლობას, ღვთის ნებაზე რწმენით და სიყვარულით მინდობას – ღმერთი შემოქმედია ადამიანის და ყოველი ქმნილების, ის დამბადებელია, ქმნილება არ უნდა ჩაერიოს შემოქმედის განზრახვაში და

არ უნდა შეეწინააღმდეგოს მას, რადგან მასზე კეთილი ვერ იქნება, ვერც შეიყვარებს შვილი საკუთარ თავს იმაზე მეტად, ვიდრე მშობელს უყვარს ის. აბრაამი არ ერევა ღვთის განზრახვაში და არ კითხულობს – რატომ ითხოვს ღმერთი მისგან ამგვარ მსხვერპლს, ისე როგორც ისაკი არ კითხულობს – რატომ შეკრა მამამ ვაცის მსგავსად და გაამზადა სამსხვერპლოდ. მამაც და შვილიც უსიტყვოდ ემორჩილება ღვთის განზრახვას. ამიტომაც ამბობენ წმ. მამები, რომ ისააკი სახეა მაცხოვრის მორჩილებისა და შეწირვისა, რომელზეც პავლე მოციქული წერდა, რომ "დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა მორჩილ ვიდრე სიკუდილმდე"(ფილ. 2,8).

წმ. გრიგოლ ნოსელი აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვის ამგვარ კომენტარს აკეთებს: "წარიყვანა ღმერთმან აბრაჰამ და განაშორა ადგილისაგან თჳსისა და ნათესავთაგან თჳსთა, ბრძანებითა და ჩუენებითა თჳსითა. და უცხოსა ქუეყანასა მწირობდა მამათმთავარი მრავალ ჟამ, სასოებითა აღთქუმისაჲთა. და გამოსაცდელად სარწმუნოებისა მისისა განგრძელდა სასოებაჲ აღთქუმისა მის აღსრულებისაჲ. ხოლო აღთქუმაჲ იგი ესე იყო, რაჲთა იქმნეს მამა ნათესავთა მრავალთა".[133]

აბრაამი და სარა ბერდებოდნენ, შვილიერების ჟამს გადააბიჯეს, მაგრამ მათი სასოება ღვთისადმი ურყევი იყო: "მოაკლდა სარრა წესსა დედათასა (დაბ. 18, 11), რომლისა მიერ იქმნების წესი მუცლადღებისაჲ. გარნა

[133] წმიდა გრიდოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი 2003, 14.

დაღაცათუ ესრეთ ჴორცნი დაძუელდეს სიბერითა, ხოლო ღმრთისა მიმართ სასოებაჲ მათი დაუბერებელ იყო და განურყუნელ".[134]

სათნოებაში წარმატებისთვის გახანგრძლივდა ევას მუცლადღება, როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს, რადგან ასაკი ემატებოდათ აბრაამს და სარას და რაც უფრო არაბუნებრივი ხდებოდა მათი შვილის ყოლა, მით უფრო მტკიცე იყო მათი რწმენა და იმედი ღვთისა. სიბერეში მისცა ღმერთმა შვილი, "რაჲთა საცნაურ იქმნეს, ვითარმედ არა ბუნებისა საქმე იყო შობაჲ მისი, არამედ განგებაჲ საღმრთოჲსა ძლიერებისაჲ",[135] ღვთის სადიდებლად და მისი ძლიერების გამოსავლენად დაიბადა ისააკი. როდესაც ყრმობის ასაკს მიაღწია ბავშვმა "იყო იგი საწადელ მხილველთა და სიტკბოება და სასურველ მშობელთა, და ყუავილ და სამკაულ მოჰასაკეთა",– წერს წ. გრიგოლ ნოსელი და დასძენს, რომ სულიერი სიკეთე და ფიზიკური მშვენიერება ჰარმონიულად იყო შერწყმული ბავშვის არსებაში: "წარმატებასა თანა ჰასაკისასა წარემატებოდეს სათნოებანიცა სულისა მისისანი და სიკეთე ჴორცთა მისთაჲ".[136]

სწორედ მაშინ გადაწყვიტა უფალმა გამოცდა "მართლისა მამათმთავრისა, – ვინ-ძი უყუარს უმეტეს – ღმერთი ანუ ბუნებაჲ".[137] "ძრწის უკუე გონებაჲ ჩემი საზარელისა მისთჳს შორის-შემოსრულისა მითხრობისა," – წერს წმ. გრიგოლ ნოსელი იმ ეპიზოდის შესახებ, როდესაც ღმერთი მოუწოდებს აბრაამს შვილის შესაწირად და ამბობს საოცარ სიტყვებს, რომ აბრაამი გულმოდგინედ დაემორჩილა მის ბრძანებას, რადგან

[134] იქვე, 15.
[135] წმიდა გრიგოლ ნოსელი საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 15.
[136] იქვე, 15.
[137] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 15.

გამოცდილებით კიდევ უფრო მეტი სიკეთის მოლოდინში იყო, იცოდა ღმერთი არ უმტყუნებდა ("გულსმოდგინედ ერჩდა ბრძანებასა მისსა. რამეთუ გამოცდილებისაგან უაღრესსა კეთილსა მოელოდა".[138]

"მომგუარე მე ძე შენი საყუარელი მხოლოდშობილი," – ამბობს უფალი და, წმიდა მამის განმარტებით, ის განზრახ უწოდებს ისააკს "საყუარელს და მხოლოდშობილს, ... რაჲთა ესევითართა ამათ სახელთა მიერ აღადუღოს მისა მიმართ სურვილი მისი."[139]

წმ. გრიგოლ ნოსელი გულმხურვალეა, ყველა წმიდა მამა მხურვალეა და ის კიდევ უფრო გამორჩეული მათ შორის მგზნებარებით; მისი კომენტარებიც ასევე მხურვალეა ღვთისადმი სიყვარულით და ადამიანური განცდების სწორად და ღვთაებრივად გააზრებით, ამავდროულად ადამიანური გრძნობების წვდომით. "არა განჰკრთა გონებაჲ თქუენი,"– წერს წმიდა მამა,– "რომელნი-ეგე მამანი ხართ და ბუნებისა მიერ გისწავიეს სიყუარული შჳლთაჲ, და გესმის ძალი უწყებისაჲ ამის, და უწყით თუ ვითარ შეიწყნარებს სასმენელი მამისაჲ მხოლოდშობილისა ძისა დაკლვასა?". ე. ჭელიძეს კომენტარებში წმ. გრიგოლ ნოსელისა და მისი თხზულებისა "პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს " წმ. გრიგოლ ნოსელის შემოქმედების მკვლევართა ძალიან საყურადღებო აზრები აქვს მოხმობილი; მათ შორის ერთ-ერთია ჯ. ლადნერის თვალსაზრისი, სადაც ნათქვამია: "გრიგოლი ცნობდა არა მხოლოდ ადამიანური გონების დიდებულებასა და ღირსებას, არამედ,

[138] იქვე, 15.

[139]წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 16.

აგრეთვე კაცობრივი სხეულისას, რადგანაც იგი ორივეს ჭვრეტდა, ვითარცა ღვთისაგან ქმნილს"[140].

წმ. გრიგოლ ნოსელი ჩამოთვლის რა აზრები შეიძლება გასჩენოდა აბრაამს, რაც ბუნებრივი იქნებოდა მისი მხრიდან: წესით, მამა უნდა დამარხოს შვილმა, უფალი კი პირიქით – არამცთუ შვილის დამარხვას, შვილის მოკვლას უბრძანებს მას, ქორწილისთვის უნდა ამზადებდეს ვაჟს და დასაკლავად მიჰყავს და ა.შ. მაგრამ აბრაამი არ არის ის ადამიანი, რომელიც საკუთარ ადამიანურ განცდებს და გონებას მიენდობა, სწორედ ამიტომაც გამოირჩია ის უფალმა და მის შთამომავლობაში იშვა მაცხოვარი სოფლისა – იესო ქრისტე. როდესაც ვსაუბრობდით წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაზე "კაცისა შესაქმისათვის", სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ადამიანური გონება უძლურია საკუთარი ძალით, ღვთის მორჩილების გარეშე გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისგან და ეს იწვევს დაცემას – ადამიანის მინდობა საკუთარ გონებაზე და არასწორი არჩევანის გაკეთება. აბრაამის მორჩილება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ ადამიანი როგორ უარყოფს საკუთარ – თუნდაც ყველაზე ლოგიკურ და, თითქოსდა, გონივრულ აზრს და არ უპირისპირებს მას ღვთის, ერთი შეხედვით, სასტიკ და ბოროტ განზრახვას. "ნუუკუე ესევითარი რაჲმე მოიგონა აბრაჰამ, გინა იწუართა?"– წერს წმ. გრიგოლ ნოსელი, – "ნუ იყოფინ! არამედ საღმრთოსა სიყუარულსა შეესაკუთრა და ბუნებაჲ თჳსი სრულიად უვარ-ყო და ვნებულნი იგი სიყუარულნი სისხლთა და ჴორცთანი, ვითარცა ტჳრთი რაჲმე მძიმე და ურგები, ესრეთ განსთხინა,

[140] Ladner G.B. The Philosophical Antropology of Saint Gregory of Nyssa, Dumburton Oaks Papers 12, 1958, 62 , თარგმანი ე. ჭელიძისა, მითითებულია საქართველოს ეკლესიის კალენდრის მიხედვით 1989, 194.

და სრულიად მისცა თავი თჳსი ღმერთსა, და ბრძანებასა მისსა მორჩილ ექმნა."[141]

აბრაამის საქციელი შესაფერისია მამათმთავრის საქციელისა, როგორც მას წმიდა წერილი იხსენიებს, არ შეატყობინა მან სარას ღვთის მოწოდება. კიდევ უფრო საგულისხმოა რას წერს ამის შესახებ გრიგოლ ნოსელი, "კეთილს და გონივრულს" უწოდებს მის საქციელს და ამბობს, რომ დასაბამიდან დედაკაცისგან მოვიდა საცდური და არც ადამს არგო ევას განზრახვამ,[142] აბრაამს მითუმეტეს სიკეთეს არ მოუტანდა "საღმრთო საიდუმლოს" (როგორც მას უწოდებს ნისის ეპისკოპოსი) ცოლისთვის გამხელა; ამიტომ დაფარა თავისი განზრახვა, რათა ღვთისადმი თავისი მხურვალე სიყვარული არ დაემცირებინა: "და არცა მეუღლესა თჳსსა განაზრახა ამისთჳს. და კეთილად ყო ესე და გონიერად, რამეთუ არა სარწმუნოდ შეჰრაცხა საღმრთოჲსა საიდუმლოჲსა დედაკაცისა მითხრობად, და რამეთუ არცა ერთი რაჲ ადამს ერგო განზრახვაჲ იგი ევაჲსი, არამედ უფროჲსღა წარწყმედაჲ მოატყუა მას. და ამისთჳსცა ყო ესე, რაჲთა, უკუეთუ ცნას ესე სარრა, ნუუკუე და დედობრივი რაჲმე შეემთხჳოს მას ვითარცა მშობელსა, და მჴურვალე იგი ღმრთისა მიმართ

[141] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 17.

[142] კიდევ უფრო მკაცრია ქალის შეფასებისას წმ. იპოლიტე რომაელი, თუმცა როგორც ის წერს ღვთისმშობლის დაბადებამ ეს "ეკალი აღმოფხვრა" და წყევლა განაქარწყლა: "ამისთჳს, ძმანო, ვიხილეთ და გულისხმა-ვყავთ, რამეთუ დასაბამითგან ჴელითა დედაკაცისაჲთა შევიდა მტერი იგი კაცსა და მიაღსასრულადმდე იგივე გუბრძავს. საჭურველი არს იგი ეშმაკისაჲ და ჴელითა მისითა ჰბრძავს იგი რჩეულთა ღმრთისათა: და იგი ექმნა პირ და ებან დღით პირველით; მის გამო დაიდვა წყევაჲ იგი შჯულისაჲ; მის გამო დაიწყევა ქუეყანაჲ, რაჲთა აღმოსცენდეს ეკალი და კუროჲსთავი. ამიერითგან მოსლვასა მას ნეტარისა მარიამისსა ეკალი იგი განიფხურა, ოფლი იგი განიჴოცა, ლეღჳ იგი დაიწყევა, მიწაჲ იგი მარილ იქმნა, წყევაჲ იგი დაემშჭუალა ძელსა მას ჯუარისასა, სამოთხჱ იგი ხარებულ არს ნეტართა წმიდათა, ხჱ იგი ცხორებისაჲ მოეცა საჭმლად მორწმუნეთა და ნებისმყოფელთა, ქალწულნი ნაყოფსა შესწირვენ...", წმიდა იპოლიტე რომაელი, სახე აღთქუმისაჲ, შატბერდის კრებული, 309,40-310,3.

სიყუარული მისი ბიწიან ყოს. ამისთჳს დაუფარა მას საქმე ესე".[143] სარა თუ შეიტყობდა აბრაამის განზრახვას, ბუნებრივია, თხოვდა: "მე მომკალ პირველ მისსა, და ვითარცა გნებავს, დამჭარ და დამწჳ ცეცხლითა, და ესრეთ ზოგადი იყავნ დაფლვაჲ ჩუენი და ზოგადი საფლავი ჩუენი..."წერს ნისის ეპისკოპოსი და დაასკვნის – "ნუმცა უხილავს თუალთა სარრაჲსთა აბრაჰამ შვილის მკლველად და ნუცა ისაკი ჴელთა მიერ მამისათა მოკლულად!"[144]

ყოველივე ამას იტყოდა სარა, თუ შეიტყობდა აბრაამის განზრახვას, ამიტომაც მეუღლემ მას არ უთხრა – სად მიჰყავდა ისაკი და მსახურებიც შორს დატოვა, "რაჲთა არა ექმნენ წინააღმდგომ მონებრივითა გულისსიტყჳთა დაკლვისა მისთჳს ისაკისა".[145]

წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობს, რომ ყრმა უკვე მოზრდილი იყო, ეს იქედან ჩანს, რომ სახედარს მოხსნეს ტვირთი და მას აჰკიდეს, პატარა ბავშვი მძიმე ტვირთს ვერ აიკიდებდა. როგორც ჩანს წმ. მამა ამ ფაქტზე იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რომ ისაკის მორჩილება აჩვენოს. მართალია, ეს ტექსტიდანაც ჩანს, მაგრამ წმ. მამა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს არ იყო ჩვილი, გამოუცდელი და მიუხვედრელი ბავშვის მორჩილება და არც ფიზიკურად, ბუნებრივად, ბავშვურად სუსტი აღნაგობით იყო გამოწვეული; იმიტომ კი არ დაემორჩილა ისაკი მამას, რომ ფიზიკურად ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას – ტანად ჯერ პატარა იყო. არა, ისიც ისეთივე ღირსეული მომავალი პატრიარქია, როგორც მამამისი, და

[143] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 17.
[144] წმიდა გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 18.
[145] იქვე, 19.

შეგნებულად, ღვთისადმი და მშობლისადმი რწმენით, შიშით, სიყვარულითა და ნდობით ემორჩილება ღვთისა და მამის ბრძანებას, რითაც ემსგავსება ძე ღვთისას – იესო ქრისტეს, რომელმაც ნებსით შესწირა თავი მამა – ღმერთს კაცობრიობის ცოდვების მისატევებლად.

წმ. გრიგოლ ნოსელი განიხილავს მამა-შვილის დიალოგს და ამბობს, რომ ზემოთქმულზე არანაკლები განსაცდელი იყო ისაკის ტკბილი ხმით ნათქვამი: "მამაო!", აბრაამის სულის სიძლიერეს კი გვაუწყებს მისი საქციელი, როდესაც ამ ხმის გაგონებაზე ცრემლად კი არ დაიღვარა, რომ საყვარელ ხმას ვეღარ მოისმენდა და მოთქმა არ დაიწყო, "არამედ მტკიცითა სულითა და მიუდრეკელითა გონებითა ყრმისაცა სიტყუაჲ მიითუალა და პასუხიცა მიუგო და ჰრქუა მას, ვითარმედ: "რაჲ არს შვილო?"[146].

"ამას ადგილსა გულისჴმა-ყავ ყრმისა მის გონიერი და გულისჴმის-მყოფელი სული" – განაგრძობს ნისის ეპისკოპოსი – თუ როგორ არ აყვედრა მამას ისაკმა არც შრომა, არც ის, რომ მსხვერპლი დავიწყებოდა, თვინიერად მოემსახურა და ეკითხება: "აჰა ესერა შეშაჲ და ცეცხლი და მახჳლი; სადა არს ცხოვარი იგი მსხუერპლისაჲ?"[147].

წმ. გრიგოლ ნოსელი აბრაამს ღმერთის მეგობარს უწოდებს, რადგან მეგობარს მეგობრის იმედი აქვს, რომ განსაცდელში არ ჩააგდებს და თუ განსაცდელი შეემთხვა, არ მიატოვებს. "ხოლო მან" – განაგრძობს წმიდა მამა აბრაამის პასუხის განხილვას, – "გინა თუ ვითარცა წინაჲსწარმეტყველმან ყოფადი იგი იხილა, გინა თუ ვითარცა მეგობარმან

[146] წმ. გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 19.
[147] იქვე, 19.

ღმრთისამან, სასოებითა ღმრთისაჲთა განმტკიცებულმან, ესრეთ განაძლიერა ყრმაჲ იგი და ჰრქუა მას, ვითარმედ: “ღმერთმან იხილოს ცხოვარი მსხუერპლისაჲ, შვილო”.[148]

"და ესრეთ, უმეტეს და უმეტეს განცდაჲ იგი მამათმთავრისაჲ განძჳნდებოდა," სანამ არ მიაღწია იმ ადგილს, – როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს, – სადაც საკურთხეველი უნდა აეგო; მოამზადა ყოველივე მსხვერპლის შესაწირად და მაშინ გახდა საცნაური მისი განზრახვა, "ვიდრემდის უპყრა ყრმასა ჴელითა თჳსითა აბრაჰამ და ვერ ძალ-ედვა ბუნებასა ცილობაჲ გინა დახრწევაჲ საქმისაჲ მის. ხოლო მისცა ისაკ თავი თჳსი მშობელსა თჳსსა და მიერჩდა მას, რაჲთა, ვითარცა ინებოს, იჴუმიოს იგი"[149].

ისაკიც მამათმთავარია, როგორც აბრაამი და ღვაწლიც შესაბამისი აქვს მამათმთავრისა ყრმობიდანვე, როგორც მისი საქციელი ცხადყოფს კრიტიკულ წუთებში: " და რომლისათჳს ორთაგანისა უფროჲს მიკჳრდეს", – განაგრძობს ნისის ეპისკოპოსი ისაკის მსხვერპლშეწირვის განხილვას, – "რომელმან-იგი ღმრთისა სიყუარულისათჳს ჴელ-ყო დაკლვაჲ შვილისა თჳსისაჲ, ანუ თუ მისი, რომელი-იგი ვიდრე სიკუდიდმდე მორჩილ ექმნა მამასა თჳსსა! რომელნი-იგი ურთიერთას უჴდებოდეს, რამეთუ ერთი იგი ბუნებასა ერეოდა, ხოლო მეორესა მას უძჳრეს სიკუდილისა შეერაცხა, უკუეთუ მშობელსა თჳსსა წინა-აღუდგეს, ვინაჲცა შეკრა ყრმაჲ იგი უწყალოდ მამამან მისმან".[150] აქ, როგორც ვხედავთ, მოხსენიებულია,

[148] იქვე, 20.
[149] გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 20.
[150] წმ. გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, 20.

სწორედ პავლე მოციქულის ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული სიტყვები მაცხოვრის შესახებ, რომ "იქმნა მორჩილ ვიდრე სიკუდილმდე", მხოლოდ ამ შემთხვევაში წმ. გრიგოლ ნოსელი ამას ამბობს ისაკის შესახებ. კაცობრიობის ისტორიაში, მართლაც რომ, ალბათ, ყველაზე მეტად ემსგავსებიან ღმერთს და ღვთის ხატებას და მსგავსებას ამართლებენ საკუთარ თავში ამ შემთხვევაში აბრაამი და ისაკი, როგორც ღვთის მიმბაძველი მამა-შვილი.

შემდგომ წმ. გრიგოლ ნოსელი განიხილავს აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლშეწირვის ხატს თუ ფრესკას ("გამოხატვით"), რაც ერთის მხრივ, გულისყურს იპყრობს იმიტომ, რომ აქ წმიდა მამა ამბობს საოცარ სიტყვებს: "მრავალგზის მიხილავს გამოხატვით დაკლვაჲ იგი ისაკისი, და არაოდეს წარსრულ ვარ უცრემლოდ". ამ სიტყვებში ქრისტიანობის ხასიათია გაცხადებული. ზოგს ჰგონია, რომ ქრისტიანები ყველანაირი თავგანწირვისთვის მზად არიან, რადგან ღვთისადმი რწმენით იქცევიან ასე და არ სტკივათ, დათმენა არ უხდებათ, ისე როგორც მონოფიზიტები ქრისტეში ადამიანურ ბუნებას, ჯვარცმის დროს ტანჯვასა და ტკივილს უარყოფენ. ქრისტიანობა კი სწორედ ესაა, ბუნებრივი ადამიანური ტკივილის დათმენა ღვთის გულისათვის, როგორც აბრაამმა დაითმინა, როგორც ქრისტემ დაითმინა და გრიგოლ ნოსელიც "ისაკის მსხვერპლშეწირვის" ფრესკის ყოველ ნახვაზე ტიროდა, იმდენად იყო შეძრული ხილულის ტრაგიზმით; მეორეს მხრივ, საინტერესოა ეს ციტატა ხატწერისა და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, რადგან როდესაც საუბარია ხატის წარმოშობის პერიოდზე და თუ სად გაქრა

პირველი ხატები, რომელთა ასლებმა ან ასლების ასლებმა მოაღწია ჩვენამდე, მსჯელობენ კატაკომბების მხატვრობის მიხედვით. ეს ტექსტიც ერთგვარი დოკუმენტია, რომელიც ცხადყოფს, რომ IV ს -ში "ისაკის მსხვერპლშეწირვის" ხატი თუ ფრესკაც კი არსებობდა, რომლის ერთ თუ სხვადასხვა ვარიანტს ხშირად ნახულობდა გროგოლ ნოსელი. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ ეს არცთუ გავრცელებული იკონოგრაფიული სიუჟეტია, და თუ ეს ხატი არსებობდა, მითუმეტეს ბევრი იქნებოდა მაცხოვრის ან ღვთისმშობლის ხატები, რომელიც ყველა დროში (ქრისტეს შემდგომ) ყველაზე გავრცელებული იყო. ცოტა გადავუხვიეთ ფილოლოგიის სფეროდან, მაგრამ ვფიქრობთ, როდესაც მშვენიერებაზე ვსაუბრობთ ზედმეტი არ იქნებოდა, როდესაც ტექსტი მოითხოვს, შევხებოდით ხატწერის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხსაც, მითუმეტეს, როდესაც წყაროდ ისეთი დიდი წმიდა მამის თხზულება იხსენიება, როგორიც გრიგოლ ნოსელია.

მოსე წინასწარმეტყველი სრულიად გამორჩეულია კაცობრიობის ისტორიაში. მოსეა, რომლის საშუალებითაც ღმერთმა ებრაელ ერს სჯული გამოუცხადა და როგორც წმ. იპოლიტე რომაელი იტყვის: "შჯული იგი მოსეს მიერ, და მოსე შუამდგომელ ძისა და ერისა მის მიცემითა სიმართლისა მის შჯულისაჲთა".[151] ყველა წინასწარმეტყველი რჩეულია ღვთისა და მის თანამედროვე საზოგადოებაზე ამაღლებული სულიერი თვისებებით და წმიდა ცხოვრებით, დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, როგორც უფალი იტყვის: "აღვამაღლო რჩეული ერისაგან

[151] იპოლიტე რომაელი, იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა, შატბერდის კრებული, 205, 40.

ჩემისა" (ფს. 88, 19); მაგრამ მოსე წინასწარმეტყველი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩვენი კვლევის საგნის გამო, რადგან უფალს შეხვდა სინას მთაზე და მის პირისახეზე გადმოვიდა დიდებულება ღვთაებრივი მადლისა. რადგან წმიდა მამათა განმარტებით ფიზიკური, გარეგნული მშვენიერება სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, და სიკეთე კი მხოლოდ ისაა, რაც ღვთის ნებიდან მომდინარეობს (ღმერთის გარეშე სიკეთე არ არსებობს), ღვთაებრივი მშვენიერება კი უმაღლესი საფეხურია და ღვთისათვის სათნო ცხოვრების გვირგვინია, მოსე წინასწარმეტყველმა მოიპოვა განსაკუთრებული პატივი ღვთისგან, რადგან ღვთაებრივი მშვენიერების ზიარი გახდა, რაც უმაღლეს საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ამქვეყნიურ არსებობაში. წმიდა წერილი მის შესახებ ამბობს: "და არღარა აღდგა წინასწარმეტყველი შორის ისრაელსა მსგავსად მოსესა, რომელ-იგი უფალსა შეესწავა პირისპირ, ყოვლითა მით სასწაულებითა და ნიშებითა, ვითარ-იგი მიავლინნა უფალმან ყოფად სასწაულთა მათ ქუეყანასა მას ეგვიპტელთასა ფარაოჲს ზედა და ყოველთა მონათა მისთა და ყოველსა ქუეყანასა მისსა საკჳრველებანი იგი დიდ-დიდნი, ჴელი იგი მტკიცე და მკლავი მაღალი, რომელ ყო მოსე წინაშე ყოვლისა ერისა" (2სჯ. 10 – 12). მოსე იყო, რომელმაც გამოიყვანა ებრაელი ერი ეგვიპტის მონებისაგან სასწაულებით – მისი კვერთხის დაცემაზე ზღვა მეწამული ორად განიპო, კლდემ წყალი გარდამოადინა და ზეციდან მანანამ იწვიმა – ანგელოზების პურის გემო იხილა ადამიანმა. მის შესახებ ბიბლიაში წერია, რომ "ეტყოდა უფალი მოსეს პირისპირ, ვითარცა-იგი ვინ ზრახავს თჳსსა მეგობარსა" (გამოსლ. 33, 11). ამან გააკადნიერა მოსე

წინასწარმეტყველი, როდესაც სთხოვა უფალს: "უკუეთუ ვპოვე მადლი შენ წინაშე, გამომიცხადე თავი შენი და განცხადებულად გიხილო შენ" (გამოსლ. 33, 13) და "მიჩუენე დიდებაჲ თავისა შენისაჲ" (გამოსლ. 33, 17). წმიდა წერილი ამ შემთხვევაშიც და მრავალგზის ადასტურებს, რომ ღვთის დიდების – მისი პირისახის ხილვა შეუძლებელია კაცთაგან, რადგან ადამიანის გონება ვერ უძლებს ღვთაებრივ დიდებულებას, რათა სავსებით გააცნობიეროს იგი, ხილვა უკვე მის ცნობასაც გულისხმობს, დაცემული ადამიანი კი უძლურია შეიცნოს სრულყოფილება, რაც ღვთის არსებობას, მის პიროვნებას ახლავს. უფალი პასუხობს მოსეს: "ვერ ძალ-გიც პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმან იხილა პირი ჩემი და ცხონდა[152]... პირი ჩემი ვერ იხილო" (გამოსლ. 33, 20 - 23). წმ. იოანე ოქროპირი ჩამოთვლის წინასწარმეტყველთა სახელებს, რომელთაც ჩვენებით რაიმე სახით იხილეს ღმერთი და დაასკვნის, რომ მათ ღვთის განგებულებით ხილვა ეჩვენა თითო სახედ, ხოლო ბუნებითი არსება ღვთისა არავის უხილავს: "ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა".[153] და იოვანე ეწამების და იტყვის. "ესაია თქუა, იხილა რაჲ დიდებაჲ მისი". და იტყოდა მისთჳს. ანუ ეზეკიელისათჳს რაჲ ვთქუათ? რამეთუ მანცა ქერობინთა ზედა მჯდომარე იხილა? ანუ დანიელისთჳს რაჲ გულისხმავყოთ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: "ძუელი დღეთაჲ მჯდომარე იყო?"[154] და კუალად მოსესთჳს რაჲ მოვიგონოთ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: "მიჩუენე დიდებაჲ შენი"?[155] ხოლო იაკობ

[152] შდრ. "ღმერთი არავინ სადა იხილა" (იო.1, 8).
[153] ესაია, 6, 1.
[154] დან. 7, 9.
[155] გამოსლვ. 33, 13.

წოდებაჲცა სახელისაჲ ამისგან მიიღო, რამეთუ ისრაᲔლ ეწოდა, რომელ არს "მხილველი ღმრთისაჲ" და სხუათაცა მრავალთა იხილეს იგი, ვითარ უკუე იოვანე იტყჳს, ვითარმედ: "ღმერთი არავინ სადა იხილა", არამედ ამას მოასწავებს, ვითარმედ იგინი ყოველნივე განგებულებით ქმნილ იყვნეს და არათუ ბუნებითი არსებაჲ მისი უხილავს ვის, არამედ თითოსახენი ხილვანი იყვნეს განგებულებითნი."[156] აქვე დასძენს წმ. იოანე ოქროპირი, რომ სწორედ ღვთის ხილვის მიუწვდომლობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, რომ ყველა წინასწარმეტყველმა სხვადასხვა სახით ნახა ღმერთი, რადგან უფალი გარეშემოუწერელია, სიარული და განსაზღვრულ მდგომარეობაში ყოფნა ნივთიერ სხეულთა თვისებაა: " რამეთუ უკუეთუმცა ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ ეხილვა მათ, არამცა თჳთოეულსა სხუად-სხუად სახედ ეწოდა, რამეთუ იგი ბუნებაჲ მარტივი არს,[157] გამოუსახველი და შეურევნელი და შემოუწერელი, და არა ზის, არცა დგას, არცა ვალს. და რამეთუ ესე ყოველი გუამთა მათ ნივთიერთაჲ არს, ხოლო იგი ვითარმე არს, ვითარცა მან მხოლომან უწყის."[158] ის, რომ მხოლოდ თავად ღმერთმა უწყის, თუ როგორ არსებობაშია, ძალიან ჰგავს მაცხოვრის სიტყვებს, მეორედ მოსვლის შესახებ: " ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მხოლომან მამამან" (მთ. 24, 36). აქაც იოანე ოქროპირი ამბობს საოცარ სიტყვებს, – წინასწარმეტყველთა პირით მოწმობს უფალი, რომ ჩვენებანი განამრავლა, თორემ უფალი როგორია, თვით ანგელოზებიც ვერ გეტყვიან, მხოლოდ

[156] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწილი I, საქ. რესპ. ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი 1993, 105.
[157] შდრ. გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს,
[158] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწილი I, 105.

უფალს ადიდებენ: “და ამას მოასწავებს წინაჲსწარმეტყველისა მის მიერ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: “მე ჩუენებანი განვამრავლენ და ჴელთა შინა წინაჲსწარმეტყველთასა მსგავსებაჲ მოვიღე”, ესე იგი არს, ვითარმედ “განგებულებით სხუად და სხუად გეჩუენე და არა თუ ვითარცა ვარ, ეგრეთვე განვეცხადე”. რამეთუ ვინაჲთგან ეგულებოდა მხოლოდშობილსა ძესა მისსა ჭეშმარიტითა ჴორცითა გამოჩინებად, ამისთჳს ღირს-ყვნა წინაჲსწარმეტყუელნი ხილვად მისა თჳთოეული, ვითარცა შემძლებელ იყო, თუ არა ვითარცა არს ღმერთი, არა თუ წინაჲსწარმეტყუელთა, არამედ არცა თუ ანგელოზთა და მთავარანგელოზთა უხილავს, არამედ უკუეთუ ჰკითხო მათ ბუნებისა მისისათჳს, არარაჲ გესმეს მისთჳს, გარნა ესე, ვითარმედ: “დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ”.[159] შემდეგ წმ. იოანე ოქროპირი აკონკრეტებს, რომ თვით ქერუბიმნი და სერაფიმნიც ადიდებენ უფალს და ხილვა ვერ ძალუძთ, უფალს კი ხედავს მხოლოდ ძე და სულიწმიდა: “ხოლო ხილვად მისა ვერ ძალ-უც, გარნა ძჱ და სული წმიდაჲ ჰხედვენ მას, რამეთუ ყოველმან ბუნებამან დაბადებულთამან ვერ უძლოს ხილვად დაუბადებელისა მის”.[160] აქ უნდა დავძინოთ, რომ ძე და სული წმიდა ხედავენ მამას, რადგან ერთი ბუნება აქვთ და ღმერთი ბუნებით განუყოფელია, ერთია ძე, ერთია სულიწმიდა და ერთია მამა, სამივე ერთია – ერთარსება, განუყოფელი და სამგვამოვანი, ერთი და თანაც სამი, და ეს წრე – სამებისა – მამა, ძე და სულიწმიდა ერთმანეთში ტრიალებს, – ბუნებით და საბოლოოდ ყველასთვის მიუწვდომელია,

[159] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწილი I, 106.
[160] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწილი I, 106.

რადგან წმიდა სამების გარდა ყოველივე ქმნილია; ქმნილების ბუნება კი უძლურია დამბადებელს მიწვდეს, დამბადებელი ყოველთვის საკუთარი თავისთვის არის ცნობილი და ეს საკუთარი თავი წმიდა სამების შიგნით იკეტება – იწყება და მთავრდება, ღმერთი ყველასთვის მიუწვდომელია, თავად ღვთისათვის კი ყველა და ყველაფერი ცნობილია, რადგან ყოველივე მისი ხელთაქმნილია.

ჩვენ სიტყვა გაგვიგრძელდა ღვთის ხილვის შესახებ, მაგრამ შეუძლებელია ისაუბრო წინასწარმეტყველებზე, შეეხო მათ ცხოვრებას, წინასწარმეტყველებას – ღვაწლს, რომელსაც ანალოგია არ გააჩნია ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, ადამიანურ ცხოვრებაში და არ გააცნობიერო, თუ რას ნიშნავს ღვთის ხილვა. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღვთის ხილვა გულისხმობს სრულყოფილ მშვენიერებასთან და სიკეთესთან ადამიანის უშუალო შეხებას, რადგან ღმერთია სიკეთისა და მშვენიერების, ყველა სათნოების წყარო. როგორც იოანე ოქროპირის კომენტარიდან ცხადად ჩანს, ღვთის ხილვა, რომელიც წინასწარმეტყველებს ჰქონდათ და, საერთოდ, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, პირობითია, ღმერთი სხვადასხვა სახით ეჩვენებოდა თავის რჩეულებს, ვისაც შესაფერისი სიწმიდე და ღვთის რწმენა ჰქონდა და უცხადებდა თავის საიდუმლოებებს, კაცობრიობას კი საკუთარი თავი უჩვენა მხოლოდშობილი ძის – იესო ქრისტეს სახით, რომლის შესახვედრადაც ამზადებდა წინასწარმეტყველთა პირით და იმ ჩვენებებით, რომელსაც წინასწარმეტყველებს უგზავნიდა უფალი ისე, როგორც თვითონ ინებებდა (ეს იქნება ზემოთ ნახსენები “ძველთა

დღეთაჲ” დანიელის ხილვიდან, რომელიც თვალსაჩინოებისთვის რომ მოვიხმოთ, უბისის ფრესკაზეა გამოსახული, თუ სხვა რომელიმე). ხოლო რასაც ბუნებით ღვთის ხილვა ჰქვია, ღმერთი არასდროს არავის უხილავს.

ღვთის ხილვა რომ არავის ძალუძს ქმნილთაგან, ეს გულისხმობს, რომ ღვთაებრივი მშვენიერება და სიკეთეც მიუწვდომელია ადამიანისათვის, იმ სახით, როგორც ის ღმერთშია. ამას მოწმობს წმ. იოანე დამასკელის სიტყვები, როდესაც ის ეხება ღმერთის მიუწვდომლობის საკითხს დოგმატური ღვთისმეტყველების ფუნდამენტურ ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა”. იგი წერს: “განუზომელ არს უკუე ღმერთი და მიუწთომელ. და ესეოდენ არს მისი მისაწთომელ: განუზომელობაჲ და მიუწთომელობაჲ. ხოლო რაოდენთა ვიტყჳთ ღმრთისათჳს წართქუმით, არა ბუნებასა, არამედ გარემოჲსთა ბუნებისათა ცხადჰყოფენ. რამეთუ დაღათუ სახიერი, დაღათუ მართალი, დაღათუ ბრძენი, დაღათუ რაჲცა რაჲმე სთქუა – არა ბუნებასა იტყჳ ღმრთისასა, არამედ გარემოჲსთა ბუნებისათა. ხოლო არიან რაჲმე წართქუმით სათქუმელნი ღმრთისათჳს, რომელთა აქუს ძალი ზესთა აღმატებით უკუთქუმისაჲ; ვითარ-იგი სიბნელისა მეტყუელნი ღმრთისათჳს, არა ბნელად გულისჴმა-ვჰყოფთ მას, არამედ რამეთუ არა ნათელ არს, არამედ ზესთა ნათლისა”.[161] წმ. იოანე დამასკელის მიხედვით ღვთისგან მომდინარეობს სიკეთე (“სახიერება”, ძვ.ქართ) და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ღმერთი არის კეთილი, მართალი, ბრძენი და ა. შ., მის ბუნებას კი ვერ გამოვხატავთ, მხოლოდ დავასახელებთ იმ

[161] წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა, 55v II, 40 -

თვისებებს, რომელიც მისი ბუნებიდან მომდინარეობს, ხოლო თავად ღმერთი თავისი ბუნებითა და არსებით მიუწვდომელია; და თუ ვიტყვით, რომ ის ნათელია, ვერც ეს გამოხატავს სრულად მისი ნათლის ბრწყინვალებას, რადგან ღმერთი "ზესთა ნათელია" და ის ნათელიც აღუწერელი და მიუწვდომელია, რაც მის ბუნებას ახლავს. ასეა სიკეთეც და მშვენიერებაც. ამის ნათელი მაგალითია, მოსე წინასწარმეტყველის შეხვედრა უფალთან სინას მთაზე.

ბიბლიაში მოსეს შეხვედრა უფალთან ამგვარადაა აღწერილი: "და გარდაჴდა უფალი ღრუბლითა. და დგა მოსე მუნ და ხადა სახელი უფლისაჲ. და წარმოვიდა უფალი წინაშე მისსა და უწოდა *** უფალი ღმერთი, მოწყალე, შემწყნარებელ, სულგრძელ, დიდად მოწყალე და ჭეშმარიტ... და იყო მუნ მოსე წინაშე უფლისა****ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა ჭამა და წყალი არა სუა და აღწერნა სიტყუანი ესე სჯულისანი ფიცართა: ათნი იგი სიტყუანი.

******და ვითარცა გარდამოვიდა მოსე მთისა მისგან სინაჲსა, და ორნი ფიცარნი იგი ჴელთა შინა მოსესთა და გარდამო-რა-ჰჴდა მიერ მთით მოსე, არა უწყოდა, რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მოსესი სიტყჳთა მით მისითა ღმრთისა მიმართ.

და იხილა აჰრონ და ყოველთა ძეთა ისრაელისათა მოსე. და იყო დიდებულ წინაშე ფერი პირისა მოსესი. და შეეშინა მიახლებად მისა.

და უწოდა მათ მოსე და მოიქცეს მისა აჰრონ და ყოველნი მთავარნი კრებულისანი და ეტყოდა მათ მოსე.

და ამისა შემდგომად მოუჴდეს ძენი ისრაჱლისანი და ამცნო მათ ყოველი, რაოდენსა ეტყოდა უფალი მოსეს მთასა ზედა სინასა: და ვითარცა დასცხრა მოსე სიტყუად მათდა მიმართ, ******* დაიბურა საფარველი პირსა მისსა.

და ოდეს შევალნ მოსე წინაშე უფლისა სიტყუად მისა, აღიჴადის საბურველი იგი ვიდრე გამოსლვადმდე მისა და გამო-რა-ვიდის, ეტყჳნ ყოველთა ძეთა ისრაჱლისათა, რაოდენი უბრძანის უფალმან.

და იხილეს ძეთა ისრაჱლისათა პირი მოსესი, რამეთუ დიდებულ იყო. და დაიბურის მოსე საფარველი პირსა მისსა ვიდრე შესლვადმდე მისა წინაშე უფლისა თანა ზრახვად მისსა"(გამოსლ. 34, 5-6, 28-34). როგორც ვხედავთ, ტექსტი პირდაპირ გვიჩვენებს, რომ მოსეს პირი დიდებული იყო ღვთის სიტყვისაგან, რომელიც მას მიემართებოდა. უფალთან უშუალო შეხვედრამ ღვთაებრივი დიდებულების, მადლის გარსში გახვია მოსე წინასწარმეტყველი. ბ. გიგინეიშვილის და ც. კიკვიძის მიერ გამოცემულ ძველი აღთქმის წიგნებში, რომელიც ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით არის მომზადებული AK რედაქციაში ეს მონაკვეთი ამგვარადაა გადმოცემული: "და ვიდრე გარდამოვიდოდა იგი მთისა მისგან, არა უწყოდა მოსე, ვითარმედ <u>დიდებულება იგი გარდამოსრულ იყო და დადგრომილ პირსა ზედა მისსა"</u> (გამოსლ. 34, 29) [162].

წმ. ეპიფანე კვიპრელი წერს, რომ "აეროვან იქმნა პირი მშჳდისა მის მოსჱსი და, ვითარცა მზისთუალისაგან, გამოჰკრთებიედ მისგან მბრწყინვალებანი, რომელსა დიდებითა მით განათლებისაჲთა ვერვინ

[162] ბერძნ. : "dedovxastai hJ o[yi~ tou' crwvmato~ tou` proswvpou aujtou` (Ex.34,29).

მიხედის პირსა მას მოსჱსსა”[163]. როგორც წმ. იოანე დამასკელი წერდა, რომ ღმერთი მიუწვდომელია და თუ ჩამოთვლი თვისებებს: სიკეთეს, სიმართლეს და ყოველ სათნოებას, რაც კი არსებობს და, რა თქმა უნდა, ყველა სათნოების წყარო ღმერთია, მაინც ამით ღვთის ბუნებას ვერ გამოხატავ, არამედ აღწერ თვისებებს, რომელიც მისი ბუნებიდან მომდინარეობს, მას ახლავს; ასევე მოსეს სახის აღწერისასაც ყველგან ნათქვამია, რომ იყო დიდებული და ბრწყინვალება გამოკრთოდა მისგან ისეთი, რომელსაც თვალი ვერავინ გაუსწორა ისე, რომ მოსე იძულებული ხდებოდა საბურველი დაეფარა პირზე უფალთან შეხვედრის შემდგომ, რათა ხალხს მისთვის შეეხედა. მსგავსად იმისა, როდესაც წმ. იოანე დამასკელი წერდა, რომ ანგელოზებსაც თუ ჰკითხავ – როგორია უფალი და როგორ არსებობს, მხოლოდ ადიდებენ მას და სხვას ვერაფერს იტყვიან, მოსეს უფალთან შეხვედრისასაც მხოლოდ ნათქვამია, რომ დიდებული იყო პირი მოსესი, არავინ ჩამოთვლის, რომ ლამაზი იყო, სიკეთე მოედინებოდა მისი სახიდან და მოწყალება; მოსეს პირი იყო ღვთაებრივი დიდებულებით მოსილი, რომელიც მოიცავს სიკეთესაც, მშვენიერებასაც, მაგრამ ყოველივეს აღემატება, რადგან წყაროა ყველა სიკეთისა; ის ყველა მადლსა და ნიჭს მოიცავს აღმატებით ხარისხში, როგორც წმ. იოანე დამასკელი წერს, “არა ნათელ არს, არამედ ზესთა ნათლისა”. ამ ღვთაებრივი დიდებულების ღირსი მოსე წინასწარმეტყველი გახდა ღვთისათვის სათნო ცხოვრებით, როგორც წმ. ეპიფანე კვიპრელი წერს “ანგელოზთ-ხატად სლვით”, “ზრახვით” და “სიმდაბლით” (“და

[163] ეპიფანე კუპრელი, თუალთაჲ, შატბერდის კრებული, 143, 15.

სიმდაბლითა თჳსითა განცხადებულად მიფენილ არს სახჱ ანგელოზთ-ხატად სლვისაჲ დაზრახვათა თჳსთაჲ, ვითარცა აეროვან იქმნა...”)[164]. მიუხედავად იმ დიდებულებისა, რომელიც მოსეს პირს მიჰფენოდა უფალთან შეხვედრის შემდგომ და, რაც კაცობრიობის ისტორიაში გამორჩეული შემთხვევაა, მაინც ეს დიდებულება და მშვენიერება, წმ. მამათა განმარტებით, არ იყო სრულყოფილი, რადგან იყო გარედან – ღვთისგან მიღებული, ხოლო ქრისტეს დიდებულება იყო სრულყოფილი, როდესაც თაბორის მთაზე გაბრწყინდა, რადგან ის ბრწყინვალება მისი შინაგანი თვისება იყო, მისგან მომდინარეობდა, მოსე კი ამ მადლს მხოლოდ ღებულობდა და ისიც – დროებით – უფალთან შეხვედრისას და გარკვეული დროის მანძილზე იყო მისი დამტევი.

წმ. თეოდორე ჰარანელის ჰომილიაში, რომელიც ეძღვნება უფლის ფერისცვალებას, ნათქვამია: "იხილეს ესე მოციქულთა გაბრწყინებული, ვითარცა მზჱ. ორთა მზეთა ხედვენ მოციქულნი ესე: ერთსა ჩუეულებისაებრ ყოვლადვე ხილულსა და ერთსა – უხილავსა. გარნა ხოლო მათგან ყოვლისა განსრულებისა იყო ბრწყინვალებაჲ მისი, არა ვითარცა ბრწყინვალებაჲ მოსჱსი, რამეთუ პირი ხოლო მისი ბრწყინვიდა და შინაგან არა აქუნდა ბრწყინვალებაჲ, ხოლო ქრისტჱსი ბრწყინვალებაჲ ყოვლადვე სრულ იყო, ვითარცა გარეშე, ეგრეცა შინაგან.

მის გამო იყო ბრწყინვალებაჲ იგი და მის თანა იყო და არცა სხჳსაგან მოიღო და არცაღა სიღრმესა ღმრთეებისა მისისა დატევნად შემძლებელ იყვნეს მოციქულნი იგი, არამედ რაჲ შემძლებელ იყვნეს, ეგრჱთ უჩუენა

[164] ეპიფანე კვიპრელი, თუალთაჲ, 143, 13 – 14.

მოსე და ელია თანამზრახველად მისა"[165]. მოსე პირისპირ ესაუბრა უფალს, მისი სიტყვის მოსმენის ღირსი გახდა, პირისახეზე აღებეჭდა უფალთან შეხვედრის კვალი, შინაგანად კი უფალი ვერ დაიტია, მთელი სხეული არ განემსჭვალა ღვთაებრივი დიდებულებით, ქრისტესი კი არა მხოლოდ სხეული – სამოსიც ბრწყინავდა, რადგან დიდებულება და მშვენიერება მისი შინაგანი თვისებები იყო, პიროვნულად ატარებდა ღვთაებრივ მადლს, მისი ბუნება არის ღვთაებრივი, როგორც წმ. იოანე ოქროპირი წერს: "ძე ღმრთისა ბუნებით დიდებულ არს და არა ეჴმარების სხუაჲ რაჲმე დიდებაჲ"[166]; მოსეს კი ღვთისგან უნდა მიეღო დიდება და ბრწყინვალება, რა საზომითაც დაიტევდა.

როგორც აღვნიშნეთ, ვინაიდან შეზღუდული ვართ მოცულობით, ძველი აღთქმის კომენტარებიდან შევჩერდებით მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებზე და ასეთია – ილია წინასწარმეტყველის ცხოვრება და მისი ცოცხლად ზეცად აყვანა უფლის მიერ ცეცხლოვანი ეტლით.

მოსე და ილია წინასწარმეტყველნი ხშირად ერთად იხსენებიან, როგორც გამორჩეულნი წინასწარმეტყველთა შორის – მოსეს მიერ სჯული მიეცა ებრაელ ერს, მოსემ უფალი იხილა და მის სახეზე ღვთაებრივი დიდებულების მადლი გადმოვიდა, ილია კი წინასწარმეტყველთა თავია და, როგორც წმიდა წერილი გადმოგვცემს, მას სიკვდილი არ უხილავს, არამედ ცოცხლად აღიტაცა ზეცად უფალმა, და სულით და ხორცით

[165] თეოდორე ჰარანელი, მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს, კლარჯული მრავალთავი, 407.

[166] წმ. იოანე ოქროპირი, პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვათა წმიდათა მამათა თხზულებებიდან, "ნათლისმცემელი", თბილისი, 2003, 244, !0.

ღვთის წინაშეა ცათა სასუფეველში. ერთად იხილეს ისინი მოციქულებმა თაბორის მთაზე იესო ქრისტეს ფერისცვალებისას[167].

ილიას შესახებ "მეფეთა" წიგნში ნათქვამია, რომ აქაბის სამარიაში მეფობისას ცხოვრობდა და იყო თეზიბიდან წარმოშობით. ბაალის კერპს სცა თაყვანი მეფე აქაბმა. ამის გამო დასაჯა ღმერთმა სამარია და მეფე აქაბი – ილიას პირით გააფრთხილა, რომ არ იქნებოდა წვიმა სამარიაში, თუ ილია არ თხოვდა ღმერთს. გვალვა დადგა სამარიაში (III მეფ. 16-17). უფალმა უბრძანა ილიას ქორათის ნაღვარევთან დამალულიყო, ნაღვარევის წყალი ესვა და ყორნების მიტანილი ხორცი და პური ეჭამა: " და წარვიდა ელია ბრძანებითა უფლისათა, მივიდა და დაჯდა ნაღვარევსა მას ქორათისასა, პირისპირ იორდანესა. და ყორანნი მიართუმიდეს მას პურსა და ჴორცსა. განთიად – პურსა და ჴორცსა – მწუხრად, და ნაღვარევისა მისგან სუმიდა წყალსა. და იყო შემდგომად დღეთა მათ და განჴმა ნაღვარევი იგი. და იყო სიტყუაჲ უფლისა ელიას მიმართ და ჰრქუა: აღდეგ და წარვედ სერეფთად სიდონიისსა და დასჯდე მუნ და, აჰა, მიმცნებიეს მე დედაკაცისა ერთისა ქურივისა გამოზრდად შენი (III მეფ. 17, 5-9). წავიდა ილია ქვრივ დედაკაცთან უფლის ბრძანებისამებრ. უყოფდა დედაკაცი შვილების საზრდელს წინასწარმეტყველს; დალოცა ღმერთმა ამისთვის დედაკაცი და მისცა ბარაქა, როგორც უთხრა ილიამ: "საფქვილესა შენსა არა მოაკლდეს ფქვილი და საზეთესა შენსა არა მოაკლდეს ზეთი ვიდრე ყოფად წჯიმისა უფლისა მიერ პირსა ზედა

[167] "და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად, და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი. და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა..." (მთ. 17, 2).

ქუეყანისასა"(III მეფ. 17,14). ილიას იქ ყოფნის ჟამს შვილი მოუკვდა დედაკაცს და ილიას ლოცვით ღმერთმა მკვდარი აღადგინა. ირწმუნა დედაკაცმა, რომ ღმერთის კაცი იყო ილია და წინასწარმეტყველი ("აწ უწყი, რამეთუ კაცი ღმრთისა ხარი შენ და სიტყუაჲ ღმრთისა ჭეშმარიტ არს პირსა შენსა" III მეფ.17,24). სამი წლის შემდგომ მოუწოდა უფალმა ილიას, რომ მისულიყო მეფე აქაბთან და მისი სიტყვით წვიმა მოვიდოდა. ილიას სიტყვაზე ღმერთმა ცეცხლი გარდამოავლინა ზეციდან მთელი სამარიტელი ხალხის წინაშე და დაწვა მსხვერპლი, რათა ხალხს ერწმუნა, რომ ილიას ღმერთი იყო ჭეშმარიტი ღმერთი და ბაალი არ ედიდებინა. შეინანა მეფე აქაბმა და სამარიტელმა ხალხმა ღვთისგან განდგომა ილიას მიერ მოხდენილი სასწაულის ხილვაზე, წვიმა მოვიდა სამარიაში 3 წლის შემდგომ.

წმიდად და მორჩილებით ემსახურა ილია უფალს და ამაღლდა ზეცად: "აჰა ეტლნი ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი... და აღიტაცა ელია ძრვით ზეცად" (IVმეფ. 2,11)[168].

წმ. იპოლიტე რომაელი წერს ილია წინასწარმეტყველის მოღვაწეობისა და კეთილმსახურების, ღვთისადმი ერთგულების შესახებ: "და ელიაჲსთვის ესრე წერილ არს: იყო ჟამი, მთასა კარმელსა იყოფვოდა, და არნ ჟამი ნაღუარევსა მას ქორათისასა და მოწფისა მისგან თჳსისა იმსახურებოდა. რამეთუ გული მისი ცათა შინა იყო, მფრინველთა ცისათა მოაქუნდა მისა საზრდელი, რამეთუ თავს-იდვა მან მსგავსებაჲ მღჳძარეთა ზეცისათაჲ. ამათვე მღჳძარეთა მოაქუნდა მისა პური და წყალი. და რაჟამს

[168] მეფეთა წიგნებიდან ციტატები დამოწმებულია მცხეთური ხელნაწერიდან.

ივლტოდა პირისაგან იეზაბელისა, ყოველი ზრუნვაჲ თჳსი დადვა ცათა შინა და ეტლითა ცეცხლისაჲთა აღიტაცა ცად მიმართ და მუნ იქმნა სამკჳდრებელი თჳსი უკუნისამდე აღთქუმისა დამარხვითა"[169]. ილია წინასწარმეტყველს უწოდებენ "ზეცისა კაცს და ქუეყანისა ანგელოზს", "ზეცისა კაცს", რადგან სულით და ხორცით ზეცად ამაღლდა, და "ქუეყანისა ანგელოზს", რადგან დედამიწაზე იცხოვრა, როგორც ანგელოზმა – ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე უარი თქვა და ღვთის მორჩილებას, სულისათვის ზრუნვას შესწირა თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე, ემსგავსა ანგელოზს თავისი ღვაწლით და ანგელოზთა თანა "იქმნა სამკჳდრებელი" მისი – ღვთის განგებით, როგორი წესითაც იცხოვრა, იმგვარი საზღაური მიიღო ღვთისგან.

წმ. იოანე ოქროპირის ქადაგებაში, რომელიც ეძღვნება ფერისცვალების დღესასწაულს ვკითხულობთ: "დღეს ელიაცა, ეტლი იგი ისრაჱლისაჲ და მჴედარი მისი ფრიად იხარებს, რამეთუ რომელმან-იგი ჴორცითა საკრველთა შინა საყოფელთა დაჰმარხა, იხილა იგი ჴორცშესხმული ჭეშმარიტად, და რომელმან-იგი უკუდავებისა სახჱ უჩუენა მას, იხილა იგი ვნებად და სიკუდიდ მოსრული ნებსით."[170] როგორც ვხედავთ, ილიას ეტლს უწოდებს წმ. იოანე ოქროპირი ეტლს ისრაელისა, რომელმაც ზეცად უფალთან უნდა მიიყვანოს ისრაელი, ხოლო მხედარი ეტლისა და წინამძღოლი ისრაელისა – არის წინასწარმეტყველთა თავი ილია

[169] წმ. იპოლიტე რომაელი, სახჱ აღთქუმისაჲ,შატბერდის კრებული, 309.
[170] წმ. იოანე ოქროპირი, ფერისცვალებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, კლარჯული მრავალთავი, 389.

თეზბიტელი. სხვა ჰომილიაში, რომელიც, ასევე, უფლის ფერისცვალებას ეძღვნება, ნათქვამია, რომ თავდაპირველად მოციქულებმა არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ის კაცები, რომელნიც თაბორზე გაბრწყინებულ მაცხოვარს ელაპარაკებოდნენ, "მაშინ იხილეს, რამეთუ ერთსა მას ჰქონდეს ფიცარნი ქვისანი, რომელთა შინა წერილ-იყვნეს სიტყუანი შჯულისანი, გულისხმა-ყვეს, რამეთუ ესე მოსე არს შჯულისმდებელი იგი ისრაᲔლისაᲐ. და ერთსა მას ხედვიდეს, რამეთუ ეტლითა ცეცხლისაᲐთა მოსრულ იყო, გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ესე არს ელია, რომელი აღმაღლდა ეტლითა ცეცხლისაᲐთა, რეცა თუ ვითარცა ზეცად."[171] აღსანიშნავია, რომ არც მათე და არც მარკოზ მახარებელთან არ არის ნათქვამი, რომ ფერისცვალებისას ჩანდა ცეცხლის ეტლი, წერია, რომ ერთი იყო ილია და ერთი მოსე, წმ. იოანე ოქროპირი კი ამბობს, რომ მოციქულებმა ამგვარად იცნეს – მოსე სჯულის ფიცრით, ილია კი – ცეცხლოვანი ეტლით. "არავინ სხუანი მოიყვანნა წინაწარმეტყუელთაგანნი, გინა თუ მამათმთავარნი, არამედ რომელნი-იგი ჩუეულ იყვნეს შესლვად მთათა მათ მკმოლვარეთა და ღრუბელსა ნათლისასა და სმენად Ჩმასა მას საშინელსა და ოხრასა შესაძრწუნებელსა და საოცრებასა დიდსა"[172] – ამბობს იოანე ოქროპირი, რითაც მიგვითითებს, რომ მოსეს უკვე ჰქონდა ბედნიერება და გამოცდილება ღვთის ხილვისა, ილია კი სულით და ხორცით ღვთის წინაშე მდგომარეა, ამიტომაც გამოირჩია უფალმა ისინი ფერისცვალებისას, რადგან "ჩვეულნი" იყვნენ ღვთის ხილვას და "შესლვად მთათა მათ

[171] წმ. იოანე ოქროპირი, რაჟამს ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მთასა წმიდასა თაბორს, კლარჯ. მრავ., 398.
[172] იქვე, 404.

მკმოლვარეთა და ღრუბელსა ნათლისასა... და საოცრებასა დიდსა." ილია წინასწარმეტყველი არა მარტო ღვთის მშვენიერებისა და სიკეთის განუწყვეტლივ მზერის ღირსი გახდა, თვითონ მოიპოვა ღვთაებრივი მშვენიერება. ის, მისი უეცარი გამოჩენა ისრაელში და მისი მოღვაწეობა ბიბლიაში შედარებულია ცეცხლთან, ისუ ზირაქისა წერს მის შესახებ: "kai; anevsth Hlia~ profhvth~ wJ~ pu`r, kai; oJ lovgo~ aujtou` wJ~ lampa;~ ejkaiveto (Sof. Sir. 48,1), ლათ.: "Et surrexit Helias propheta quasi ignis et verbum ipsius quasi fax ardebat" (Sir. 48,1), ამ ტექსტის ზუსტი თარგმანი იქნება: "აღდგა ელია, ვითარცა ცეცხლი და სიტყვა მისი ლამპარივით ანათებდა"[173]. ცეცხლი, როგორც ცნობილია, ღვთის გამოვლენის ერთ-ერთი სახეა: ცეცხლის ენების სახედ გადმოვიდა სულიწმიდა მოციქულებზე აღდგომიდან 50-ე დღეს, ალმოდებული მაყვლოვანი იხილა მოსემ სინას მთაზე, რაც მაცხოვრის შობის შემდგომ ღვთისმშობლის ქალწულად დარჩენის სიმბოლო იყო, ცეცხლივით მოულოდნელად გამოჩნდა ილია ისრაელში, ისე, რომ მანამდე მისი სახელი ნახსენებიც კი არ იყო ბიბლიაში და ამხილა მეფე აქაბი[174]. ბიბლიაში წერია, რომ მისი სიტყვა ლამპარივით ანათებდა. ცეცხლის ეტლით და ცეცხლოვანი რაშებით აიტაცა ის უფალმა ზეცად ელისე წინასწარმეტყველის თვალწინ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ღვთაებრიობა სიცოცხლეშივე თვალსაჩინო იყო ადამიანებისთვის უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე წინასწარმეტყველისა. თვით სახელიც "ილია", როგორც ა.

[173] ვინაიდან მცხეთურ ხელნაწერში არ შედის არაკანონიკური წიგნები, ხოლო საქ. საპატრიარქოს გამოცემულ თანამედროვე ქართ. თარგმანში გამოტოვებულია სიტყვა "ცეცხლი", რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, ამიტომ მოვიყვანეთ საკუთარი თარგმანი.

[174] Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхаго и Новаго Завъта под редакцией А. П. Лопухина, Петербургъ 1904, Инст. перевода Библии, Стокгольм 1987, 447.

ლოპუხინი წერს – "ებრ. ელიაჰუ, ელია (LXX jHliouv, jHliva~, Vulg. Elias) ნიშნავს: ჩემი ღმერთი არის იეჰოვა" და თავისთავად მიუთითებს წინასწარმეტყველის მთელი ცხოვრების მოწოდებაზე ან ამოცანაზე: ქადაგება და დაცვა იეჰოვას წმიდა რელიგიისა ბაალის კულტის საპირისპიროდ"[175].

უმშვენიერესია ფრესკები, რომელზეც გამოსახულია ილიას ზეცად ამაღლება ცეცხლოვანი ეტლითა და ცეცხლოვანი რაშებით, რომელთაგან გამორჩეულია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ფრესკა, რომელიც ამჯერად თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარშია დაცული. სხვაგვარი განმარტებით სახელი "ელია" ნიშნავს –"ძალა ღვთისა"-ს.[176]

დავით წინასწარმეტყველი და სოლომონ ბრძენი გარდა იმისა, რომ წინასწარმეტყველნი არიან, წინასწარმეტყველთა შორისაც გამოირჩევიან, რადგან მაცხოვრის წინაპრებად იხსენებიან. იესო ქრისტეს ბრმები მისძახოდნენ – "შემიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო!" (მთ. 20, 30). ამიტომ ეს ორი წინასწარმეტყველი ქრისტიანულ აზროვნებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

დავით წინასწარმეტყველის ავტორობით მოღწეულია ფსალმუნნი, რომელიც ლიტურგიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია და ნებისმიერი ღვთისმსახურებისას (წირვა-ლოცვა, პარაკლისი, მიცვალებულის წესის აგება) იკითხება, რადგან როგორც წმ. მამები ამბობენ, ფსალმუნების ძალით ბოროტი სულები განიდევნება. ხუცური "დავითნის" წინათქმაში წერია: "ჟამსა ერთსა კითხულ იქმნა დიდი იოანე ოქროპირი ძმათა

[175] Толковая Библия под редакцией А.П. Лопухина, т.I, 449.
[176] საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1999 წ. თბილისი 1999, 171.

ვიეთგანმე, თუცა ვითარ კეთილ არს დატევება ფსალმუნთა აღმოკითხვისაო, ხოლო მან მიუგო, ფრიად უკეთილეს არს, რათა დაშრტეს მზე ბრწყინვალებისა თვისისაგან, ვიდრეღა ფსალმუნნი აღმოკითხვისაგან, დიდ სარგებელ არიან სწავლანი ფსალმუნთანი, რამეთუ საღმრთო წერილნი ყოველნივე კეთილ არიან და განმდევნელ ეშმაკთა, არამედ არა ეგრე ვითარცა ფსალმუნნი"[177]. ეს სიტყვები ცხადყოფს ფსალმუნთა უდიდეს მნიშვნელობას ქრისტიანის სულიერ ცხოვრებაში და არა მარტო იოანე ოქროპირის, ყველა წმიდა მამის აზრს გამოხატავს.

წმ. ეფრემ მცირის მიერ გამოკრებილ ფსალმუნთა განმარტებაში, რომელიც წმ. კირილე იერუსალიმელის, ათანასე ალექსანდრიელის და სხვათა მიერაა დაწერილი, I ფსალმუნის განმარტებაში ბოროტებისგან განშორების და სიკეთესთან მიახლოების საფეხურებია რამდენიმე სიტყვით, მაგრამ ძალიან მკაფიოდ გადმოცემული. ფსალმუნში წერია: "ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა განზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა" (ფს.1,1). წმ. კირილე წერს, რომ დავით მეფსალმუნე "არა ჰნატრის ანგელოსთა, რამეთუ იგინი განზრახვასა უღმრთოთასა არა მივლენ, არცა ჩჩჳლთა ყრმათა, ვინაჲთგან უცნობელ არიან, არცა დედათა, რამეთუ წარმმართებელი სათნოებისა, დედაკაციცა მამაკაცად სახელიდების".[178] ძალიან საინტერესოა, რომ დედაკაცს მამაკაცს უტოლებს წმ. კირილე იერუსალიმელი, თუ ეს დედაკაცი სათნოებას ემსახურება და შემდეგ ამბობს, რომ "უღმრთო" ისაა, ვინც ღვთის

[177] ფსალმუნთა განმარტება, I, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, რედ. მზექალა შანიძე, 1996.
[178] იქვე, 3.

წინააღმდგომ ეშმაკთა განზრახვას რაიმეთი შეიწყნარებს. წმ. კირილე განასხვავებს ბოროტებასთან მიახლების საფეხურებს: არ უნდა უსმინო ბოროტ კაცთა განზრახვას; თუ მოუსმენ – არ უნდა დაეთანხმო, ხოლო თუ დაეთანხმები, საქმით მაინც არ უნდა აღასრულო. "კირილე ჰნატრის" –წერს ეფრემ მცირე – "რომელი განზრახვასა ეშმაკთასა არა მიიახლებდეს. გინათუ ბოროტთა კაცთასა და მწვალებელთასა, და თუ იწუართოსმცა, არა დააამტკიცოს, და თუ დაამტკიცოს, საქმით არა აღასრულოს".[179]

ვინაიდან ჩვენი თემის მოცულობა საშუალებას არ იძლევა უფრო ვრცლად შევეხოთ ფსალმუნთა კომენტარებს, მოკლედ ვახსენებთ სოლომონ ბრძენის "ქებათა ქების" განმარტებას, რადგან "ქებათა ქება" ღვთისადმი ადამიანის სიყვარულის, ადამიანის ღვთისაკენ დაუსრულებელი სწრაფვის ამსახველი წიგნია და, რადგან წმ. მამათა განმარტებით, ადამიანის სიკეთისა და მშვენიერების საზომად მისი უფალთან მიახლოვება უნდა განვიხილოთ, ამდენად ძველი აღთქმის წიგნებიდან ეს წიგნი უთუოდ გამორჩეულია. ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ ციტატას წმ. გრიგოლ ნოსელის კომენტარიდან, რომელშიც წიგნის მთელი არსია გაცხადებული: "ხელახლა გავიმეოროთ [და] თავი მოვუყაროთ ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს. ღვთისაკენ მომზირალ სულს და მის უხრწნელ მშვენიერებათა კეთილი სწრაფვის საკუთარ თავში შემთვისებელს, მუდამ აქვს ახალი, უფრო ამაღლებული სურვილი, რომელიც არასდროს მობეზრებით არ შეასუსტებს სწრაფვას. ამის გამო, გამუდმებით წინ

[179] ფსალმუნთა განმარტება, I, 3; შდრ.: "სენ სულისა არს ჩუეულებაჲ ბოროტი, ხოლო სიკუდილი – საქმით აღსრულებაჲ ცოდვისაჲ", –წმ. აბბა თალასე, "სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ", საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989, 433.

მისწრაფებული [სული] არ წყვეტს არც იქედან გამოსვლას და არც იმ სიღრმეში შეღწევას, რომელშიც ჯერ არ შეუღწევია და რომელიც მას მუდამ საოცარი და დიდი ეჩვენება, უკვე შესრულებული კი მისთვის უფრო დაბალია მომდევნოსთან შედარებით, რადგან [მომდევნო] ყოვლად უმშვენიერესია ვიდრე ის, რასაც [სული] უკვე თავის თავში მოიცავს, რაც მუდამ მოპოვებულია. როგორც პავლე ყოველდღე კვდებოდა, შემდეგ კი რაღაც ახალ ცხოვრებას იწყებდა მუდამ მკვდრად ქცეული მომხდარისათვის და დავიწყებას აძლევდა მიღწეულს. ამის გამო სიძისკენ მისწრაფებული სძალი უფრო მნიშვნელოვანისკენ დაწინაურებაში არ შეყოვნდება".[180] ამ უმშვენიერესი კომენტარის თანახმად, ადამიანის ღვთისაკენ სწრაფვა, მის სათნოებათა წვდომა ისეთივე უსასრულო და დაუცხრომელი უნდა იყოს როგორც სძლის უკიდეგანო სიყვარული სიძისადმი, ისევე არ უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანი მიღწეული სულიერი სიმაღლით, როგორც პავლე მოციქული ივიწყებდა ყოველდღე მიღწეულს, რათა მომდევნო დღეს ახალი, უფრო მნიშვნელოვანი საქმე აღესრულებინა ღვთის წინაშე.

ამით ჩვენ ვამთავრებთ საუბარს ძველი აღთქმის კომენტარებზე სიკეთისა და მშვენიერების შესახებ. მოკლედ შევეხებით წმ. იპოლიტე რომაელის თხზულებას "სახე აღთქუმისაჲ", რომელიც მონაზვნობის ღვაწლს ეხება და ღვთაებრივი სიკეთე და მშვენიერება განხილულია ადამიანურ, ხორციელ სიკეთესთან მიმართებაში და წარმოჩენილია პირველის უპირატესობა და მარადიულობა. წმ. იპოლიტე რომაელი

[180] Grhgoriou Nussh~, Ermeneia sto asma asmatwn, EPE, "Grhgorio~ o Palama~", Qessalonikh 1989,398,400.

ჩამოთვლის შემთხვევებს წმ. წერილიდან, როდესაც გამორჩეულად კეთილი თვისებებისა და მშვენიერი გარეგნობის ადამიანები ეშმაკის ხრიკებით დიდ ცდუნებას აყვნენ და დაეცნენ, მადლი დაკარგეს. წმიდა მამა უპირისპირებს სულიერ სიკეთესა და ხორციელ სილამაზეს ერთმანეთს და ჩამოთვლის შემთხვევებს წმ. წერილიდან, როდესაც თვით დავით მეფე და სოლომონ ბრძენიც უძლურნი აღმოჩნდნენ ქალის ფიზიკური მშვენიერების წინაშე, ქალის სიტყვაზე მოკვეთა თავი ჰეროდემ იოანე ნათლისმცემელს და ა.შ.: "მჴნე და ძლიერ იყო დავით ყოველსა ღუაწლსა შინა და ჴელითა ასულისა ევაჲსთა იპოვა მის თანა ბრალი.

ქმნულკეთილ იყო ამნონი და შუენიერ ხილვითა და შეკრა იგი გულისთქუმამან დისა მისისამან და მოკლა იგი აბესალომის მიერ, რამეთუ აგინა დაჲ თჳსი თამარი.

აღმაღლდა და განდიდნა სოლომონი უფროჲს ყოველთა მეფეთა ქუეყანისა[თა] და დღეთა მათ განდიდებისა მისისათა დედათა განდრიკეს გული მისი.

და ჴელითა იეზაბელისითა, ასულისა იესბალისათა, განმრავლდა ბოროტი აქაბისი და შეგინებულ [ი]ყო."[181] წმ. იპოლიტე რომაელი უჭკნობს და მარადიულს უწოდებს სულიერ სიკეთესა და მშვენიერებას მაშინ, როდესაც ხორციელი მშვენიერება და ვნებებით ცხოვრება მალე ჭკნება და წარმავალია; ის უწოდებს "ასულთა ევაჲსთა" მათ, ვინც ხორციელ გულისთქმას აჰყვა და სხვაც აცდუნა, ხოლო "აღნათქუემის მმარხველნი" არიან, ვინც ღვთის წინაშე მართლად იცხოვრა. "ასულთა

[181] შატბერდის კრებული, 308, 6 - 14.

ევაᲘსთა სიკეთᲑ სიბერემან დააჭნვის, ხოლო სიკეთᲑ აღნათქუემის მმარხველთაᲘ აღდგომისა ჟამთა განახლდეს და გაბრწყინდეს"[182]. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში "სიკეთᲑ" გულისხმობს ფიზიკურ სილამაზეს, რომელიც მოკლებულია სულიერ მშვენიერებას, ხოლო მეორე შემთხვევაში "სიკეთᲑ" გულისხმობს სულიერ სიკეთეს, მშვენიერებას, რომელიც მარადიულია და უჭკნობი, რადგან ადამიანის სულია უკვდავი.

შემდგომში წმ. იპოლიტე რომაელი მსჯელობს, რომ ქორწინება არ არის აკრძალული და ღმერთმა აკურთხა, მაგრამ როგორც მამაკაცისთვის, ისე ქალისთვისაც უმაღლესი საფეხურია ქორწინებაში არ შერსვლა და ქალწულების დაცვა. აქ წმ. მამა დასძენს, "რომელსა უყუარს ქალწულებაᲘ, ემსგავსენ ელიას".[183] მონაზვნობა ქრისტიანობის, ქრისტეს შემდგომი პერიოდის ღვაწლია და უფრო ბუნებრივი იქნებოდა თუ წმ. იპოლიტე რომაელი ახსენებდა იოანე ნათლისმცემელს – როგორც ბერ-მონაზვნობის ფუძემდებელს ან იოანე ღვთისმეტყველს – როგორც ქალწულ-მახარებელს, მაგრამ ის ახსენებს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს ილია თეზბიტელს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ დიდი წმიდანის გამორჩეულ ღვაწლს, რადგან მან ქრისტეს მოსვლამდე იცხოვრა ისეთი სიწმიდით, რომ ღვთისაგან ძღვნად ფიზიკური უკვდავება მიიღო – ზეცად ამაღლდა. ამდენად, როდესაც საუბარია სიკეთესა და მშვენიერებაზე ძველი აღთქმის წმ. მამათა კომენტარების მიხედვით, უპირველესი და დაწინაურებულია ყველა წმინდანს შორის წინასწარმეტყველთა თავი – ილია თეზბიტელი,

[182] იქვე, 310, 38 – 39.
[183] იქვე, 307, 11 – 12.

რომელიც ადამიანის მთავარი სასჯელის – სიკვდილისაგან გათავისუფლდა.

III თავი

სიკეთე და მშვენიერება ქრისტეს განკაცების შემდგომ

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის დაცემით ყველა ქმნილება დაეცა და სამყარომ დაკარგა ის სრულყოფილება, რაც შექმნისას ჰქონდა, სიკეთის ნაცვლად ბოროტება ჩამოვარდა ადამისა და ევას შთამომავლობაში, ხოლო ადამიანის მშვენიერება და უკვდავება, ხრწნილებამ და სიკვდილმა შეცვალა. ის მისია, რომელიც ადამს უნდა განეხორციელებინა, შესასრულებელი დარჩა: ადამს – ღვთის ხატად შექმნილს ღვთის მსგავსება და მარადიული სიცოცხლე, ღმერთთან თანაარსებობა უნდა დაემკვიდრებინა, როგორც ქვეყნიერების ხელმწიფედ დაბადებულს ყველა ქმნილების ღვთისაკენ სწრაფვა და კეთილი არსებობა წარემართა, კეთილად და მშვენიერად დაბადებული დედამიწა თავისი არსებობით კიდევ უფრო სრულყოფილი გაეხადა.

ამ მისიის შესასრულებლად წმიდა წერილისა და წმ. მამათა სწავლების მიხედვით განკაცდა ძე ღვთისა – იესო ქრისტე, რომელსაც სწორედ ამ მიზეზით ეწოდება ახალი ადამი. მაცხოვარმა კაცობრიობა პირველი შეცოდებისა და ცოდვით სიკვდილისაგან იხსნა და აღადგინა ერთობა ღმერთსა და ადამიანებს, ანგელოზებსა და ადამიანებს შორის. აუცილებელი გახდა სრულიად უცოდველი ადამიანის – ღმერთკაცის სისხლის დაღვრა და ჯვარცმით სიკვდილი, რათა ცოდვილი ადამიანი ღმერთამდე ამაღლებულიყო.

წმ. მამათა კომენტარები ახალი აღთქმის საღმრთო წერილის შესახებ ეძღვნება ძე ღვთისას – იესო ქრისტეს განკაცებას და მისი მაცხოვნებელი მისიის საიდუმლოს განმარტებას, რათა კაცობრიობისათვის უფრო ნათელი იყოს ახალი აღთქმის მისტიური მნიშვნელობა და ადამიანს შეეწიოს ღმერთთან სიახლოვესა და ღვთაებრივი მადლის მოპოვებაში – დაკარგული სასუფევლის დაბრუნებაში. ეს არის არა მარტო ეგზეგეტიკური შინაარსის შრომები, არამედ ასევე უამრავი ჰომილია, რომელიც ეძღვნება თორმეტ საუფლო დღესასწაულს და სხვადასხვა ეპიზოდს სახარებიდან – მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან (მაგ. საუბარი ნიკოდიმოსთან), მოციქულთა საქმეს და ეპისტოლეებს. ჩვენ შევეცდებით მოკლედ, ჩვენი თემის ფარგლებში თანმიმდევრულად შევეხოთ ამ კომენტარებს უმნიშვნელოვანესი სახარებისეული მოვლენების – მაცხოვრის შობის, ნათლისღების, იესო ქრისტეს მიერ მთაზე 9 ნეტარების ქადაგების, ფერისცვალების, ჯვარცმის და აღდგომის შესახებ და მათი ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ თუ როგორ განიხილავენ წმ. მამები მაცხოვრის მიერ ნივთიერი სამყაროსა და ადამიანისათვის ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების დაბრუნებას, ადამიანის განღმრთობას, რადგან როგორც წმ. მოციქული იოანე ღვთისმეტყველი იტყვის: ”სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესუ ქრისტეს მიერ იქმნა”(იო. 1, 17).

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, საუბარი გვმართებს შობის შესახებ. წმ. გრიგოლ ნეოკესარიელი წერს, რომ ცოდვა და სიკვდილი ხორცისგან შემოვიდა დედამიწაზე და ხორცითვე საჭირო იყო ცოდვის დასჯა. ამ

მიზნით შეისხა ხორცი ძე ღვთისამ, რათა წმიდა გვამის დაფლვით აღდგომას დასაბამი მისცემოდა: “ამისთჳსცა ღმრთისა მამისა სიტყუამან ჴორცნი შემოსად და სრული კაცებაჲ ჯერ-იჩინა მისგან, რაჲთა რომლისა ჴორცისაგან ცოდვაჲ სოფლად შემოვიდა და ცოდვისაგან – სიკუდილი, მისვე ჴორცისაგან დაისაჯოს ცოდვაჲ იგი ჴორცითა და რაჲთა იძლიოს ცოდვისა იგი განსაცდელი დაფლვითა მით წმიდისა გუამისაჲთა, და დასაბამი აღდგომისაჲ გამოჩნდეს, და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ სოფელსა შინა იქადაგოს, და ღმრთისაჲ კაცთა მომართ იქმნეს ზიარებაჲ”.[184] მეორე ჰომილიაში კი, რომელიც ასევე ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულს ეძღვნება, მაცხოვრის შობის საიდუმლო ამგვარად არის განმარტებული: “და აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და შვა ძჱ იგი მისი პირმშჲ უპირადჱსი ყოველთა დაბადებულთაჲ, და შეხჳა იგი სახუეველითა და მიაწვინა ბაგასა; შეხჳა იგი, რომელმან ყოველი დაბადებული შექმნა; შეხჳა, რომელმან შეიმოსა ნათელი ვითარცა სამოსელი. მიაწვინა ბაგასა ქერობინთა ზედა მჯდომარჱ და ბევრეულთა მიერ ანგელოზთა დიდებულ; პირუტყუთა ბაგასა სიტყუამან ღმრთისამან განისუენა, რაჲთა ნანდჳლვე რომელნი ნებსით თჳსით პირუტყუ ქმნულ იყვნეს კაცნი, პირმეტყუელთაჲ იგი მისცეს მეცნიერებაჲ; ტაბლასა პირუტყუთასა დაეგო ზეცისა იგი პური, რაჲთა პირუტყუთ – სახეთა კაცთა საიდუმლოჲსა მის საზრდელისაჲ მისცეს მისაღებელი. და არცაღა ადგილ იყო მათა სავანესა მას. ადგილი არა აქუნდა, რომელმან ცაჲ და ქუეყანაჲ შეჰმზადა და

[184] თქმული წმ. გრიგოლ ნეოკესარიელ ეპისკოპოსისაჲ, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა, მეორეჱ,სინური მრავალთავი, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1959, 8, 24-30.

დაამყარა! ამისთჳს რამეთუ მდიდარი იყო და ჩუენთჳს დაგლახაკნა და სიმდაბლჱ დაუსრულებელი ინება ცხორებისათჳს ბუნებისა ჩუენისა... ზეცას წიაღთა შინა მამისათა, და ქუაბსა შინა მკლავთა ზედა დედისათა განისუენა. ბაგასა ზედა ანგელოზთა კრებული გარე-მოადგს, ზეცას დიდებასა და ქუეყანასა ზედა მშჳდობასა ახარებდეს. ზეცას მარჯუენით მამისა დაჯდა და ბაგასა შინა ვითარცა ქერობინთა ზედა განისუენებდა. საყდარი იყო ჭეშმარიტად ესეცა ქერობინებრი, საყდარი სამეუფოჲ, წმიდაჲ წმიდათაჲ ქუეყანასა ზედა მხოლოჲ, რომელსა შინა განისუენა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან”[185]. ამ სიტყვებში გაცხადებულია სრულყოფილი ღვაწლი, რომელიც ქრისტემ აღასრულა კაცობრიობის საცხოვნებლად: ნებსით თავი დაიმდაბლა და კაცობრივი მოკვდავი სხეული შეიმოსა, რათა ადამიანის სხეულისათვის უკვდავება დაებრუნებინა, იშვა ბაგაში პირუტყვთა გვერდით, რათა ადამიანის პირუტყვება დაეფარა, ადგილი არ აღმოჩნდა სახლში მისთვის, რომელმაც ცა და ქვეყანა შექმნა. უდრტვინველად დაიმდაბლა თავი, რათა დაეფარა ადამის ურჩობა, რომელმაც ნებსით დაკარგა ღვთის ხატება და ამპარტავნებით პირუტყვებრივი ვნებები შეიძინა; დაუსრულებლად, სიკვდილამდე “იქმნა მორჩილ,” რათა კაცობრიობის დაუსრულებელი ცოდვები და ბოროტებისაკენ მიდრეკილება დაეფარა, სრულყოფილი სიკეთით, სიყვარულითა და თავგანწირვით გამოიხსნა ხანგრძლივი და მრავალმხრივი ბოროტება და “უშუერება” ადამიანისა – შესაქმიდან ვიდრე ბოლო ჟამამდე.

[185]თქმული წმ. გრიგოლი ნეოკესარიელ ეპისკოპოსისაჲ, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა (პირველი), სინური მრავალთავი, 7, 17 - 35.

წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი ამგვარად აღწერს ქრისტეს შობის საიდუმლოს: "ხატი პირმშოჲსა მის შუენიერებისაჲ, შეურყეველი იგი ბეჭედი,[186] უცვალებელი იგი ხატი, საზღვარი და სიტყუაჲ მამისაჲ, მოვიდა ხატისა თჳსისა და ჴორცნი შეიმოსნა ჴორცთათჳს და სულსა გონიერსა შეეზავა სულისათჳს ჩემისა, რათა მსგავსებითა მსგავსი განწმიდოს"[187]. ამ ტექსტის მიხედვით, "პირმშო შუენიერება" არის მამა ღმერთი, უცვალებელი ხატი მისი" და "შეურყეველი ბეჭედი" არის ქრისტე, რომელიც განკაცდა, რათა თავის ხატად შექმნილი და ცოდვით დაცემული ადამიანი განწმიდოს და ცოდვათაგან აღადგინოს, შეაერთოს "პირმშოსა მას შუენიერებისასა" – უფალს.

თვით სახელიც უფლისა "იესუ" წმ. იოანე ოქროპირის თქმით არის "არა სახელი ლიტონი, არამედ სავსე ბევრეულითა კეთილითა", ხოლო შემდგომში დასძენს, რომ ამ სახელის უწყებით ანგელოზი მართალ იოსებს "გამოუთარგმანებს ძალსა მას სახელისასა და სასოებასა კეთილსა დაუდებს" და სარწმუნო ჰყოფს თავის სიტყვას მრავალმხრივ. სახელდობრ, ამგვარად განმარტავს წმ. იოანე ოქროპირი: "ხოლო რაჲ არს გამოთარგმანებაჲ იგი სახელისაჲ მის: მომასწავებელი ყოველთა კეთილთაჲ, მაუწყებელი ცოდვათა მოტევებისაჲ, მახარებელი საუკუნოჲსა ცხორებისაჲ".[188] "უცხოს" და "სასწაულ ნიჭს" უწოდებს ამ სულიერ

---

[186] წმ. ექვთიმე ათონელი თარგმნის ამგვარად, ხოლო ეფრემ მცირე თარგმნის შემდეგნაირად: "მსგავსებაჲ სახისდასაბამისაჲ, შეუძრველი ბეჭედი".

[187] წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, აღვსებისათჳს და აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, Corpus christianorum, series graeca, 36, corpus nazianzenum 5, oratio XLV, University Press, Turnhout, Leuven, 1998, 58.

[188] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, 73.

სიკეთეს – ცოდვათა მოტევებასა და საუკუნო ცხოვრების მინიჭებას წმიდა მამა და ამბობს, რომ ქრისტემდე "ვერავინ... ამისა უძლო ქმნად."[189]

წმიდა მამათა ამ კომენტარებიდან გამომდინარე, იესო ქრისტეს შობა არის დასაბამი დედამიწაზე ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიკეთის დაბრუნებისა, ხოლო მისი მომდევნო საფეხურია ნათლისღება, რომლის მეშვეობითაც ხდება სულიერი შობა ადამიანისა – ცოდვათა მიტევებითა და სულიწმიდის მადლის მინიჭებით.

პ. ნელასი წერს ქრისტეს მაცხოვნებელი მისიის შესახებ, რომ მან შეძლო მიეღო ადამიანური ბუნება სრულად, განუყოფლად, განსხვავებით ადამისაგან, რომელმაც შექმნისთანავე თავი მარტოდ იგრძნო ამ ახლადშექმნილ სამყაროში და დასჭირდა შემწე ცოლის სახით. ქრისტემ მიიღო ადამიანური ბუნება იმ სახით, როგორც თავდაპირველად ღმერთმა მისცა ადამიანს და რომლისთვისაც უცხოა ვნება, უცხოა მამაკაცება და დედაკაცება: "იშვა რა განსხვავებული წესით, მაცხოვარმა არა მარტო დაუბრუნა ადამიანურ ბუნებას მისი პირველქმნილი მდგომარეობა, არამედ შეავსო ის. ადამს უნდა "ჩამოებერტყა" ორ სქესად გაყოფა "ერთიანი ადამიანური ბუნებიდან ურთიერთობათა ღვთაებრივი სიწმიდით, რომლისთვისაც სრულიად უცხო იქნებოდა ვნებიაობა"[190]. ეს განახორციელა ქრისტემ, მიიღო და გამოავლინა რა lovgo~ ადამიანური ბუნებისა, რომელიც არ არის გაყოფილი მამრობითად და მდედრობითად თავისი საფუძვლის სიღრმეში, რომელიც საერთოა ორივე სქესისათვის"[191].

---

[189] წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანება მათეს სახარებისაჲ, I, 73..
[190] Прп. Масим Исроведник. Ambigua. PG 91. 1305CD. მითითებულია პ. ნელასის სტატიის მიხედვით.
[191] Панайотис Нелас, Кожаные ризы, ч II, http://www.pagez.ru/olb/067.php.

შემდგომში პ.ნელასი მსჯელობს ნათლისღების მნიშვნელობის შესახებ ქრისტეს მიერ ადამიანის გამოხსნის საიდუმლოში: "უფრო მეტიც, გახდა რა სრულყოფილი ადამიანი და გამოავლინა ადამიანური ბუნება, უფალმა საფუძველი ჩაუყარა ხელახალ შობას, სახელდობრ, შობას ნათლისღების მეშვეობით[192], რომელიც არა მხოლოდ ათავისუფლებს პირველქმნილი ცოდვისაგან, არამედ თითოეულ მორწმუნეში აღავსებს იმას, რაც არ შეასრულა ადამმა. ჩვენი წინაპარი შეიქმნა ღვთის ხატად იმისთვის, რომ მას შესძლებოდა საკუთარი თავისუფალი ნებით შობილიყო სულისაგან ღმერთში, რათა "ერთი და იგივე ადამიანს" შესძლებოდა ყოფილიყო, ერთის მხრივ, ღვთის ქმნილება ბუნებით, ხოლო მეორეს მხრივ – შვილი ღვთისა... მადლით"[193] –წერს წმ. მაქსიმე".[194]

ნათლისღებისას სულიწმიდის მადლის მინიჭებაზე მოწმობს იოანე ნათლისმცემლის სიტყვები: "მე უკუჱ ნათელ-გცემ თქუჱნ წყლითა სინანულად; ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთუად;[195]
მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა" (მ. 3,11). ამ სიტყვების განმარტებისას წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ იოანე ნათლისმცემელი ჯერ საკუთარ სიმდაბლეს და ქრისტესთან შედარებით უღირსებას აჩვენებს, როდესაც ამბობს, რომ მას შეუძლია მხოლოდ სინანულად მიყვანება და მისი ნათლისღება არ არის სრულყოფილი –

[192] Прп. Максим Исповедник. К Фалассию 61, PG 90, 632 A – მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.
[193] Прп. Максим Исповедник. Ambigua, PG 91, 1345D - 1348C-მითითებულია ნელასის სტატიის მიხედვით.
[194] ნელასის დასახელებული ნაშრომი.
[195] v.l. წმ. იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებაში წერია: "არა შემძლებელ ვარ მე საბელისა ჴამლთა მისთა განჴსნად".

"პირველად უნდოებაჲ თჳისისაჲ მის ნათლისცემისაჲ აჩუენა", შემდეგ თავს იმდაბლებს და ქრისტეს დიდებას წარმოაჩენს, რომ ქრისტეს "ჴამლთა საბელის" გახსნის ღირსიც კი არ არის, და ბოლოს ამბობს, რომ ქრისტე ნათელს სცემს "სულითა წმიდითა და ცეცხლითა". სულიწმიდით ნათლისღებაში წმ.იოანე ოქროპირის განმარტებით, სრულიად მადლში განბანვა და მადლის უხვად მინიჭება, სრული მიტევება ცოდვათა და სასუფევლის მკვიდრობა იგულისხმება. იგი წერს: "...არამედ მიტევებაჲ ცოდვათაჲ და სატანჯველთა დაჴსნაჲ, სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ, შვილებაჲ ღმრთისაჲ და მკჳდრობაჲ სასუფეველისაჲ და ზიარებაჲ უხრწნელებისაჲ და მონიჭებაჲ სულისა წმიდისაჲ. რამეთუ ესე ყოველი მოასწავა, რაჟამს იგი თქუა: "მან ნათელგცეს თქუენ სულითა წმიდითა". შემზადებითა მით სიტყჳსაჲთა სიმდიდრე იგი მადლისაჲ გამოაჩინა, რამეთუ არა თქუა, თუ: მოგცეს სული წმიდაჲ, არამედ: "ნათელ-გცესო სულითა წმიდითა" – სრულიად მადლსა შინა მისსა განგბანნეს და დაგფარნეს"[196]. ცეცხლის ხსენებით კი წმ. მამა ამბობს, რომ "სიმჴურვალე იგი და გარდამატებულებაჲ მადლისაჲ მის მოასწავა,"[197] ცეცხლი ახსენა, რადგან ქრისტეს მოსვლამდე ჩვენებით – ცეცხლის სახით ეცხადებოდა ღმერთი დიდ წინასწარმეტყველებს: "უმრავლესნი პირველთა მათ ხილვათანი ცეცხლითა იხილნეს. ესრეთ ეტყოდა მოსეს ღმერთი მაყლოვანსა მას შინა და ეგრეთვე კუალად მთასა სინასა ერი იგი ხედვიდა. ეგრეთვე კუალად ეზეკიელს – ქერობინთა ზედა."[198] ამას

[196] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, 185.
[197] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, 185.
[198] იქვე.

ამბობს იოანე ნათლისმცემელი, რათა "აუწყოს, ვითარმედ უაღრეს დიდთა წინასწარმეტყველთასა ყოფად არიან, რომელნი ღირს იქმნენ მადლსა მას სულისა წმიდისასა მიღებად ქრისტეს მიერ"[199]. იოანეს სახარების განმარტებაში კი აზუსტებს წმ. იოანე ოქროპირი – ქრისტე იმიტომ კი არ მოინათლა, რომ ნათლისღება სჭირდებოდა, პირიქით – ნათლისღებას სჭირდებოდა ქრისტეს ძალა ("უფროჲს ნათლის-ღებასა ეჴმარებოდა ძალი ქრისტესი") და დასძენს, – "ესე სულისა წმიდისა მოღებაჲ შესძინა ქრისტემან მოსლვითა თჳსითა."[200] ეს სიტყვები იგივეა, რაც " მადლი იესო ქრისტეს მიერ" (იო.1,17) და იგივეა, რაც აღდგომა ადამიანში ღვთის ხატებისა და მსგავსებისაიესო ქრისტეს მიერ, რადგან ადამმა ცოდვით საკუთარ თავში ღვთის ხატება შეურაცხყო.

სულიერი შობის შესახებ მრავალგზის ამოწმებს მაცხოვარი, რომ ცხონება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ნათლისღება სწორედ მეორედ, ხელახალ – სულიერ შობას გულისხმობს. ნიკოდიმოსთან საუბარში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად, სწორედ ეს საკითხია განხილული. იოანეს სახარების მიხედვით იესო ქრისტე ამბობს: "უკეთუ ვინმე არა იშუᲂს მეორედ, ვერ ჴელეწიფების ხილუად სასუფეველი ცათა" (იო. 3,3), შემდეგ კი განმარტავს, რომ მეორედ შობაში არა ზრდასრული კაცის ხელახალ დაბადებას, არამედ სულიერ შობას გულისხმობს: "ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ. ჰრქუა მას ნიკოდიმოს: ვითარ ჴელეწიფების კაცსა

[199] იქვე.
[200] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ, I, 121.

ბერსა შობად?ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისა შესლვად მეორედ და შობად? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ" (იო. 3, 5-7). ამ სიტყვების კომენტირებისას წმ. იოანე ოქროპირი წერს, რომ არამცთუ შესაძლებელია მეორედ შობა, არამედ საჭიროცაა, რადგან "ქუეყანისაჲ და ჴორციელი შობაჲ მიწისაგან არს. ამისთჳსცა სულიერისაგან შორს არს იგი, ხოლო იგი შობაჲ სულისაჲ არს და ადვილად შეიყვანებს სასუფეველად[201]". შემდგომში ის ამბობს, რომ ღვთის სიტყვა "შეუორგულებლად და გამოუკვლეველად" უნდა მივიღოთ – რწმენა გვმართებს, რაც აკლდა ნიკოდიმოსს. ამიტომაც შეეცადა ქრისტე გაეთავისუფლებინა ის ურწმუნოებისაგან და აუხსნა, რომ "წყლისაგან და სულისა" უნდა იშვეს ადამიანი სასუფეველისათვის. ამ სიტყვების თქმით, უფალმა ბრძანა, რომ სხვაგვარი შობის შემოღება სურდა სოფლად, "რამეთუ პირველ ვქმენ კაცი მიწისაგან და წყლისა; და უჴმარ იქმნა შექმნული იგი, ხოლო აწ მნებავს, რაჲთა წყლისაგან და სულისა დავჰბადო".[202]

ძალიან საინტერესოა, როგორ ხსნის ნათლისღების პროცესს იოანე ოქროპირი; ის ამბობს, რომ "წყლისა მიერ ძალითა სულისა წმიდისაჲთა

[201] იქვე, 165.
[202] იქვე, 165.

მიუთხრობელი იგი საიდუმლოჲ იქმნების"[203]. შემდგომში კი ამ საიდუმლოს ფიზიკური და სულიერ-მისტიური მხარე განხილულია შემდეგნაირად: თუ კაცის შესაქმისას ნივთად მიწა იყო და ყოველივე შემოქმედმა შექმნა, აქ ნივთად წყალია და "ყოველივე საქმე სულისა წმიდისაჲ არს," მაშინ კაცი ღვთის ხატად შეიქმნა, "ხოლო აწ ქრისტემან სრულად ღმერთსა შეაერთა იგი".[204] ნათლისღების საიდუმლოს შესრულებისას "ანგელოზნიცა მუნ მდგომარე არიან, გარნა საქმისა მის საიდუმლოსა ვერ გამოსთარგმანებენ, არამედ დგანან ოდენ და ხედვენ საქმესა მას დიდსა და იქმან არარას, არამედ მამაჲ, ძჱ და სული წმიდაჲ იქმს ყოველსავე"[205]. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ღვთისა და მისი საქმის მიუწვდომლობას ქმნილების მიერ, თუნდაც ეს ქმნილება ანგელოზი იყოს და ან ადამიანი – ღვთის ხატად დაბადებული. როგორც ღვთის ხილვის განმარტებისას ითქმებოდა, რომ „ღმერთი არასადა ვის უხილავს“, აქაც დამოწმებულია, რომ ღვთის საქმეც საიდუმლოა და მიუწვდომელი. ამ შემთხვევაშიც წმ. იოანე ოქროპირი გვირჩევს, რომ გამოძიება არას გვარგებს და უნდა ვირწმუნოთ ღვთის სიტყვა განხილვის გარეშე; თუ შობას უწოდებს ღმერთი ამ საქმეს (ნათლისღებას), უნდა ვირწმუნოთ, რომ სულისაგან ხდება ხელახალი შობა, ხორციელად ადამიანისგან იშვება ადამიანი, სულიერად კი – სულისაგან: „გურწმენეს უკუე სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ხილულისა ფრიად უსარწმუნოეს არს იგი, ვინაჲთგან თუალნი ჴორციელნი მრავალგზის სცთებიან, ხოლო მისი

[203] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, 166.
[204] იქვე, 166..
[205] იქვე, 166-167.

სიტყუაჲ არაოდეს იპოვების ცთომილ“[206]. თუ რატომ გამოიყენა წყალი ნათლისღებისთვის უფალმა, ამ საკითხს წმ. იოანე ოქროპირი ამგვარად ხსნის: „საღმრთოჲ სახჱ აღესრულების მას ზედა: დაფლვაჲ, სიკუდილი და აღდგომაჲ და ცხორებაჲ. და ესე ყოველი ერთბამად იქმნების, რამეთუ, ვითარცა საფლავსა შინა, ესრეთ შთავყოფთ თავთა ჩუენთა წყალსა მას შინა, და დაიფარვის მუნ ძუელი იგი კაცი და დაინთქმის სრულიად ყოველივე. და კუალად, რაჟამს აღმოვიღოთ თავი, აღმოვალს ჩუენ თანა ახალი იგი კაცი, რამეთუ ვითარცა ადვილ არს შთაყოფაჲ თავისაჲ წყალსაა და აღმოღებაჲ, ეგრეთვე ადვილ არს წინაშე ღმრთისა დაფლვაჲ და დანთქმაჲ სრულიად ძუელისა მის კაცისაჲ და გამოჩინებად ახლისა“[207]. როგორც ვხედავთ, ქრისტეს სიკვდილს, დაფლვას, აღდგომასა და ცხოვრებას ადრის წმ. მამა ნათლისღების პროცესს, უფრო მეტიც, ამბობს, რომ როგორც წყალში თავის ჩაყოფა და ამოღებაა იოლი, ასევე იოლია ღვთისათვის ადამიანის ცოდვათაგან განწმენდა და სულის სრულიად განახლება, თუკი ადამიანი სიმდაბლით, სიყვარულითა და სინანულით მიდის ღმერთთან. წყალში დაფლვის სამგზისობა ღმერთის სამგვამოვნებით აიხსნება: „ხოლო სამგზის იქმნების შთაყოფაჲ თავისაჲ წყალსა, რაჲთა სცნა, ვითარმედ ძალი მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ აღასრულებს მას ყოველსა და არა იჭუ არს საქმჱ ესე“[208].

წმ. იოანე ოქროპირი ნათლისღებას ადარებს ჯვარცმას და იმოწმებს პავლე მოციქულს. ის ამბობს, რომ როგორც იოლად ჩავყოფთ თავს

[206] წმ იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა I, 167.
[207] წმ იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, 167.
[208] იქვე, 167.

წყალში, ისე იოლად მოკვდა უფალი ჩვენთვის, რაც არ გულისხმობს, რათქმა უნდა, რომ მას სულიერი და ფიზიკური ტკივილი არ განუცდია, არამედ თავგანწირვის სისრულესა და დაუყვედრებლობაზე მიგვანიშნებს – მშობელს შვილისათვის სიცოცხლე არ ენანება, ღვთისათვის ადამიანი შვილია: „ისმინე პავლესი რასა იტყჳს, ვითარმედ: "დავეფლენით მის თანა ნათლის-ღებითა სიკუდილად", და ვითარმედ „ძუელი იგი კაცი ჩუენი ჯუარს-ეცუა". ხოლო არა ოდენ ნათლის-ღებასა ჯუარ-ცუმა ეწოდების, არამედ ჯუარ-ცუმასაცა ნათლის-ღება, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: „ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ".[209] რამეთუ, ვითარცა ჩუენ ადვილად შთავჰყოფთ წყალსა თავთა და აღმოვიღებთ, ეგრეთვე უფალი ადვილად მოკუდა და, ინება რაჲ, აღდგა, დაღაცათუ სამ დღე იყო საფლავსა შინა".[210]

ამრიგად, წმ. მამათა კომენტარებით, ნათლისღების მეშვეობით ადამიანი თავისუფლდება ცოდვებისაგან და, შესაბამისად, თავისუფლდება იმ მიზეზისაგან, რამაც გამოიწვია მასში ღვთისგან ჩადებული სიკეთისა და მშვენიერების დაკარგვა. მომდევნო საფეხური უკვე ამ სიკეთისა და მშვენიერების დამკვიდრებისა არის სათნოებებით სრულყოფა ცხოვრებისა. ეს გაცხადებულია სახარებაში იესო ქრისტეს მიერ 9 ნეტარების ქადაგებაში, რომლის კომენტარებსაც ჩვენ ამჯერად განვიხილავთ.

9 ნეტარების ქადაგებას წმ. მამები იხსენიებენ, როგორც "ქადაგებას მთასა ზედა", რადგან სახარებაში წერია: "ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი, და მოუჴდეს მას მოწაფენი. და აღაღო

[209] მთ. 20,23.

[210] წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, 167-168.

პირი თჳსი, ასწავებდა მათ და იტყოდა" (მთ.5,1-2). ამ ადგილის განმარტებისას წმ. იოანე ოქროპირი წერს, რომ მაცხოვარმა რომელიც ზეცით ქვეყანად გარდამოხდა ჩვენს საცხოვნებლად, "ყოველი წესი და რჩული სათნოებისაჲ აღასრულა საქმით, რაჲთა ჩუენ მოგუცეს სახე და მოძღურებაჲ საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ".[211] საღმრთო მოქალაქეობასა და სათნოებაში უნდა ვიგულისხმოთ მაცხოვრის მსახურება ხალხისადმი – სასწაულთა მოხდენა, სნეულთა კურნება, მკვდართა აღდგინება, ასევე სულიერი ღვაწლი – ქადაგება, დამოძღვრა ხალხისა. მთა აირჩია საქადაგებლად სიმდაბლის გამო, რადგან "ოდეს-იგი სასწაულთა და კურნებათა აღსრულებაჲ ჯერ იყო, მიმოვიდოდა ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად; ხოლო იხილა რა შეკრებაჲ ფრიადისა ერისაჲ, დაუტევნა იგინი და აღვიდა მთად".[212] წმ. იოანე ოქროპირის თქმით, ამით უფალმა "სახე სიმდაბლისა" გვიჩვენა, "რაჲთა გვასწაოს ჩუენ არარაჲსა ქმნად სახილველად და საქებელად კაცთა" და ამასთანავე დაგვანახა მადლი ქვეყნის შფოთთა და ამბოხებათაგან განრიდებისა – "ვითარმედ კეთილ არს და ჯეროვან უდაბნოდ განსლვაჲ"[213]

9 ნეტარებიდან პირველი თავმდაბლობას ეხება. სახარებაში ნათქვამია:"ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ" (მთ.5,3). თანამედროვე მეცნიერი ნიკოლოზ ველიმიროვიჩი წერს, რომ "სულის სიგლახაკე რაღაც გარედან მიღებული საჩუქარი კი არ არის, არამედ ესაა ადამიანის რეალური მდგომარეობა,

[211] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ, I, 234.
[212] წმ. იოანე ოქროპირი, თარგ. მათ. სახარებისაჲ, I, 234.
[213] იქვე.

რომელიც უნდა გავაცნობიეროთ. საკუთარი სიგლახაკის გაცნობიერებამდე კი მიდიან საკუთარი თავის მკაცრი გამოცდით. ვინც შეძლებს ამის გაკეთებას, ის მივა სამგვარი სიგლახაკის გაგებამდე:

1) სიგლახაკე საკუთარი ცოდნის თვალსაზრისით;

2) სიგლახაკე საკუთარი სიკეთის თვალსაზრისით;

3) სიგლახაკე საკუთარ საქმეთა თვალსაზრისით;

სიგლახაკე არის სიღარიბის უმაღლესი ხარისხი. როდესაც ადამიანი ფიქრობს შესაძლებლობებზე საკუთარი გონებისა, ან საკუთარ ზნეობრივ ღირსებებზე, ან მოღვაწეობაზე, ის მუდამ რწმუნდება საკუთარ უდიდეს სიღარიბეში, რომელიც სიგლახაკემდე მიდის".[214]

წმ.იოანე ოქროპირის განმარტებით, გლახაკნი სულითა არიან "მდაბალნი და შემუსრვილნი გონებითა, რამეთუ სულად აქა შინაგანსა მას გონებასა და ნებასა სულისასა სახელსდვა"[215]. შემდგომ წმ. მამა აკონკრეტებს და განასხვავებს ორგვარ სიმდაბლეს:ერთია, როდესაც იძულებით, მდგომარეობით არის კაცი დამდაბლებული და ამის თაობაზე წმ. მამა ამბობს, რომ "არა სათნოებაჲ არს ესე, უკუეთუ ვინ იძულებით, წესისაგან საქმეთაჲსა, გარეშჱთა მით კაცითა მდაბალ იყოს და შინაგანითა ზუავ და მდრტჳნავ",[216] უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ უფალმა "არა ღირს ყვნა იგინი ნეტარებასა". პირველ რიგში ნეტარება არგუნა ღმერთმა მათ, ვინც საკუთარი ნებით იმდაბლებს თავს და არა მარტო იმდაბლებს, ვინც იგლახაკებს თავს. როგორც მატერიალურად გლახაკნი არიან "უღონო" და

[214] Святитель Николай Сербский (Велимирович). Райская пирамида . Толкование заповедей блаженств. http://www.pagez.ru/olb/247.php.

[215] წმ. იოანე ოქროპირი, თარგ. მათეს სახარებისაჲ, I, 235.

[216] იქვე, 236.

ძრწიან მდიდართა წინაშე, ისე სულიერად მდაბალი და გლახაკი ძრწის ღვთის წინაშე. ამის შესახებ იტყვის უფალი "ესაიაჲსცა წინაწარმეტყუელისა მიერ:"ვის ზედა მივხედნე, გარნა მშჯდსა და მყუდროსა და რომელი ძრწის სიტყვათაგან ჩემთა" (ესაია, 66,2)".[217] "მრავალნი არიან სიმდაბლისა სახენი"-ამბობს წმ.მამა და ჩამოთვლის, რა მიზეზთა გამო ჰმართებს კაცს თავის დამდაბლება:"ჴსენებაჲ ცოდვათაჲ, ჴსენებაჲ სამოთხით გამორდომისა ჩუენისაჲ, ჴსენებაჲ უნდოებისა კაცობრივისა ამის ცხორებისაჲ, ბრალობაჲ თავისა თჳსისაჲ"[218]. უპირველეს ყოვლისა სიმდაბლეს გამოარჩევს უფალი სათნოებათაგან, რადგან ამპარტავნებამ შემოიტანა ბოროტება სამყაროში: "დიდნი იგინი ბოროტნი და წარმწყმედელნი სოფლისანი ანპარტავანებისაგან მოიწინეს, ეშმაკი ანგელოზთა თანა იყო და ეშმაკ იქმნა...ეგრეთვე პირველი იგი კაცი ვნებითა მით ანპარტავნებისაჲთა მოიკიცხა ეშმაკისაგან და უკუდავებაჲ წარწყმიდა და სამოთხისა მისგან საშუებელისა ექსორია იქმნა, რამეთუ ენება ღმერთყოფაჲ, ვითარცა მზაკუვარმან მან აღუთქუა, და რომელი იგი აქუნდა, იგიცა წარწყმიდა".[219] "ვნებაჲ იგი ანპარტავნებისაჲ" - ასე იხსენიებს იოანე ოქროპირი ამ ცოდვას და ამბობს, რომ ის არის "დედაქალაქი ყოველთა ბოროტთაჲ, წყაროჲ და ძირი ყოვლისა უკეთურებისაჲ"[220]. ამიტომ მის წამლად უფალი ამზადებს სიმდაბლეს. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს საოცრად ხატოვნად, მაგრამ მკაცრად და ზუსტად: "უკუეთუ ვის ენებოს აღშენებაIჲ სათნოებათაჲ და სიმდაბლე

[217] იქვე.
[218] წმ.იოანე ოქროპირი, თარგ. მათ. სახარებისაჲ, I, 236.
[219] იქვე, 237.
[220] იქვე.

დადვას საფუძვლად ბრძანებისაებრ უფლისა, უცთომელ იყოს ყოველივე შენებაჲ მისი; უკუეთუ კულა კეთილი იგი და მყარი საფუძუელი არა აქუნდეს, დაღაცათუ ცადმდე აღიწიოს გოდოლი იგი სათნოებათა და მოღუაწებათა მისთაჲ, ყოველივე ადვილად დაირღუევის და საწყალობელ და ცალიერ იქმნების მოქმედი იგი ...შრომისა".[221] წმ. მამა ამბობს, რომ ყველანაირი ღვაწლი: ლოცვა, მარხვა, ქალწულება და სხვა სახე სათნოებათა ამაოა და "წარწყმდების", თუ არ არის ადამიანი თავმდაბალი. ამიტომ "ესრეთ კეთილი რაჲ და ჯეროვანი ყო დასაბამი მოძღურებისაჲ" ქრისტემ და ნეტართა შორის პირველად თავმდაბალნი, სულით გლახაკნი მოიხსენა.

"ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ" (მთ. 5,4). მომდევნოს ნეტართა შორის უფალი ასახელებს იმათ, ვინც გულით იგლოვს. აქ უნდა განვასხვაოთ რას იგლოვს ადამიანი. "რომელნი იგი ცოდვათა თჳსთა იგლოვდენ" და სინანულში არიან, იმათ შეიწყალებს უფალი და ანიჭებს ნეტარებას, ხოლო გლოვა, "რომელი იქმნებოდის სოფლიოჲსა რაჲსმე და წარმავალისა საქმისათჳს", არ არის სათნო ღვთისათვის.[222] წმ იოანე ოქროპირი შეგვახსენებს განცხრომაში მყოფი მდიდარი როგორ დასაჯა ღმერთმა იმქვეყნად და გლახაკი ლაზარე აცხოვნა: "მოიჴსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა და ლაზარე ეგრევე მსგავსად – ბოროტი. და აწ, ესერა, აქა ესე ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები"[223]. ასე ნუგეშინისცემს

[221] წმ.იოანე ოქროპირი, თარგმ. მათ. სახარებისაჲ, I, 237.
[222] იქვე, 240.
[223] იქვე, 243.

უფალი ყოველს, ვინც ცოდვათა გამო იგლოვს და ღვთის გულისათვის ამქვეყნიურ ამაოებას დაივიწყებს.

"ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ" (მთ.5,5). ამ ნეტარებას წმ.იოანე ოქროპირი უძღვნის მრავალმხრივ საინტერესო განმარტებას. "კიბე კეთილად შემზადებული" უწოდა მან 9 ნეტარების ქადაგებას, ქრისტეს უწოდებს "ხუროთმოძღვარს სულთა ჩვენთა", სიმშვიდის შესახებ ამბობს, რომ "მესამეცა გჳბრძანა მცნებაჲ კეთილი და ფრიად შუენიერი", რომელიც პირველი სათნოების – სიმდაბლისაგან წარმოიშვება. "დიდ არს სიკეთე ამისი და სარგებელი და მსწრაფლ მიაწევს კაცსა საზომსა დიდსა და ღირსჰყოფს ნიჭთა მათ და მადლთა ღმრთისამიერთა".[224] წმ. იოანე ოქროპირი უმშვენიერეს განმარტებებს იძლევა აფორიზმის სახით: "სიმშჳდე კლდე არს აღმაღლებული ღელვათაგან გულისწყრომისა და უკეთურებისათა, რომელსა ზედა აღეშენოს თუ გოდოლი იგი სულისაჲ, "ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერსადა ერეოდიან მას"[225]. ის ამბობს, რომ სიმშვიდით ადამიანი ქრისტეს ემსგავსება, რადგან თავად მაცხოვარმა ბრძანა:"ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა" (მთ.11,29). სიმშვიდე, სიწრფოება და უმანკოება წმ.მამის თქმით, მსგავსი სათნოებანია მცირე სხვაობით. "სიმშჳდე შეუცვალებლობაჲ არს გონებისაჲ",–წერს ის. ძალიან საგულისხმოა რატომ ამბობს უფალი, რომ მშვიდნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას, რატომ არ თქვა, რომ სასუფეველს დაიმკვიდრებენ, ნეტარება ხომ იმქვეყნიურ შვებას უფრო გულისხმობს? წმ. იოანე ოქროპირის

[224] წმ. იოანე ოქროპირი, თარგ მათ. სახარებისაჲ, I, 243.
[225] იქვე.

განმარტებით, "ზრქელთათჳს და უმეცართა ითქუმიან წერილთა შინა ამისვე ჟამისა მარგებელნი",[226] რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს არა აქვს მაღალი სულიერება და ფაქიზი გონება, მაგრამ თუ სიმშვიდე და სიმდაბლე აქვს, წარმატებულია ის ღვთის წინაშე და არა მარტო სასუფეველს, ამქვეყნადაც შვებას ჰპირდება ასეთს ღმერთი, რადგან მხოლოდ იმქვეყნიური ნეტარებით ის თავს ვერ ინუგეშებს. ამიტომ აღუთქვა ქრისტემ მის მარჯვენით ჯვარცმულ ავაზაკს "დღესვე ჩემ თანა იყო სამოთხესა" (ლკ.23,43) – არ დაუყოვნა ნუგეში.[227] არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ქრისტე ამქვეყნიურ კეთილდღეობასაც ჰპირდება მშვიდს:უმრავლესობას ჰგონია, რომ მშვიდნი და წრფელნი ამქვეყნიურ ცხოვრებას ვერ უძღვებიან და წარმატებას ვერ აღწევენ. ამ მიზეზით ადამიანები ერთმანეთს მძლავრობენ, "ამისთჳს იტყჳს უფალი, უფროჲსად მშჳდნი და წრფელნი, არათუ საუკუნესა ცხორებასა ღირს იქმნენ, არამედ ქუეყანასა ზედაცა უაღრეს და უმჯობეს იყვნენ ფიცხელთა, ცხართა და მანკიერთასა, ვითარცა წერილ-არს, ვითარმედ: "იყო ესავ მეცნიერ და მჴნე და ძლიერ, ხოლო იაკობ იყო კაცი უმანკოჲ და მყოფი სახლსა შინა, და ისაკსაცა უყვარდა ესავ (შდრ. დაბ.26; 27, 28), არამედ ღმერთმან უმანკოებისა მისთჳს იაკობისა ყოველივე მას განუმარჯუა და ყოველსა ზედა მძლე ექმნა ძმასა თჳსსა, მჴნესა და მეცნიერსა".[228]

---

[226] იქვე, 244.
[227] წმ.იოანე ოქროპირი, თარგმ. მათ. სახარებისაჲ, I, 244.
[228] იქვე, 244-245.

"ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყურდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განსძღენ" (მთ. 5,6). წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ აქ ფიზიკური წყურვილი და შიმშილი არ იგულისხმება და არც სხვა რაიმე მატერიალური ნაკლულევანება; მრავალს გული უთქვამს სიმდიდრისათვის, მაგრამ იმათ არ ჰპირდება უფალი ნეტარებას. სახარების ამ მუხლით ნეტარნი არიან ისინი, "რომელთა სურვილი და გულისთქუმაჲ და წადიერებაჲ კეთილისა მიმართ არს, რომელ არს სათნოებაჲ, რომელსაცა სიმართლედ სახელსდვა უფალმან."[229] ნეტარება ენიჭება მათ, "რომელთა შიოდის და სწყურდის ქალწულებისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ შუენიერებითა სიწმიდისაჲთა; ნეტარ არიან, რომელთა შიოდის... მოწყალებისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ სასყიდლითა მით სახიერებისაჲთა,...ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და სწყურდის სიყუარულისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ სიტკბოებითა მით განუძღომელითა".[230] სათნოება, სიკეთე ვისაც შია და სწყურია, მათ აღავსებს უფალი და ჰპირდება ნეტარებას.

"ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ" (მთ. 5,7). წმ.იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ეს სათნოებაც შემოიღო ქრისტემ ნეტარებათა შორის და "ჰნატრის მოქმედთა მისთა, რომელ ესეცა მსგავსებად ღმრთისა აღგუამაღლებს; რამეთუ მოწყალე ეწოდების ღმერთსა და სახიერ და მწყალობელ, ვითარცა წერილ არს: "მოწყალე არს უფალი და მართალ და ღმერთი ჩუენი მწყალობელ (ფს.114, 5)".[231] წმ.

[229] იქვე, 245-246.
[230] წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმ. მათეს სახარებისაჲ, I, 246.
[231] იქვე, 248.

მამის თქმით, "მობაძავ" ღმრთისა უნდა გავხდეთ და ასახელებს მოწყალების სახეებს, როგორ შეიძლება ადამიანმა გასცეს მოწყალება. ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა გლახაკთა და ობოლთა შემოსვა და დაპურება, მატერიალური მოწყალების გაცემა, მაგრამ ასევე უმნიშვნელოვანესია "მოწყალებაჲ სიტყჳთაცა სახიერებისაჲთა[232]", რომელიც არის ნუგეშისცემა მწუხარეთა და გაჭირვებულთა. ვისაც არა აქვს საშუალება მატერიალური მოწყალების გაცემისა, უფალი საშუალებას აძლევს სულიერი მოწყალება გასცეს.

ნოკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) წერს, რომ ვინც მატერიალურ მოწყალებას გასცემს სულის საცხოვნებლად, ჰგავს ადამიანს, რომელიც შორეული მოგზაურობისთვის ემზადება და ზედმეტ ნივთებს საჩუქრად გასცემს, რადგან ზედმეტი ტვირთია. უმაღლესი საფეხური კი, მისი სიტყვით, სიცოცხლის გაწირვაა მოყვასისათვის, როგორც ქრისტემ გაწირა თავი კაცობრიობისათვის. ეს კი იმდენად დიდი მოწყალებაა, რომ სახელს იცვლის და "სიყვარული" ჰქვია[233].

"ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მთ.5,8). ღმერთის ბუნების ხილვა რომ შეუძლებელია, ამაზე ჩვენ რამდენიმეგზის აღვნიშნეთ და ხელახლა არ მოვიხსენებთ იმ ადგილებს, რომელსაც წმ. იოანე ოქროპირი ასახელებს წმ. წერილიდან და რაც ამას ცხადყოფს. წმ. მამის თქმით, აქ იგულისხმება, რომ სიწმინდე და ვნებათაგან განწმენდა ადამიანს საშუალებას მისცემს ღვთაებრივი მშვენიერების ხატი – ღვთის ხატება და მსგავსება იხილოს საკუთარი

[232] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმ. მათ. სახარებისაჲ, I, 248.
[233] Святитель Николай Сербский (Велимирович), Райская пирамида. Толкование заповедей блаженств, http://www.pagez.ru/olb/247.php.

სულის შიგნით; საკუთარ თავში გააცოცხლოს ის მშვენიერება და სიკეთე, რომელიც ღვთისგან მიენიჭა ადამიანს და ცოდვამ დაუკარგა; ამის შესახებ ნათქვამია სახარებაში: “სასუფეველი ცათა შორის თქუენსა არს" (ლკ.17,21). მოვიყვანთ ციტატას წმ. იოანე ოქროპირის სიტყვიდან, რომელიც ამ ნეტარების განმარტებას ეხება: "რომელმან წმიდა ყოს გული თჳსი ყოვლისა ვნებისაგან და ყოვლისავე ნივთისა წინააღმდგომისა, შუენიერებასა შინა სულისა თჳსისასა იხილოს ხატი საღმრთოჲსა მის ბუნებისაჲ; ვითარმცა ესრეთ უბრძანებდა კაცთა ძალითა მცირეთა მათ სიტყუათაჲთა, ვითარმედ: ჰოჲ, კაცნო, რომელნიცა სურვიელ ხართ ხილვად ღმრთისა, გესმას რაჲ, ვითარმედ ამაღლდა დიდად შუენიერებაჲ მისი ზესკნელს ცათა და გამოუთქმელ არს დიდებაჲ მისი და შუენიერებაჲ თუალთშეუდგამ და ბუნებაჲ მისი უხილავ, ნუ სასოწარკვეთილ იქმნებით ხილვად სასურველისა მის, რამეთუ რომელი-იგი შესაძლებელ არს კაცთა მიერ ხილვაჲ ღმრთისაჲ და რაოდენ ბუნებასა თქუენსა ეტევის, თქუენ შორის არს, რამეთუ ესრეთ დაიბადენით დამბადებელისა მიერ ხატად და მსგავსებად ღმრთისა. არამედ შემოვიდა ცოდვაჲ და შუენიერებაჲ იგი ბუნებისაჲ დაფარა. ხოლო აწ უკუეთუ იღუაწოთ კუალად ყოვლისა მის ნივთისა და ყოვლისა მის ნაგევისა განგდებად გულთაგან თქუენთა და განწმედად მისა ყოვლისაგანვე ბიწისა, კუალად გამოგიბრწყინდეს ღმრთივმშუენიერი იგი ხატი და იხილოთ დიდებაჲ ღმრთისაჲ, ვითარცა სარკითა რაჲ იხილის კაცმან მზე, დაღაცათუ თუალთა შედგმად ვერ ჴელ-ეწიფებინ; ეგრეთვე თქუენ დაღაცათუ ვერ ძალგიც განცდად თუალთ-შეუდგამისა მის ბუნებისა

ნათელსა, არამედ უკუეთუ პირველ-ქმნული იგი შუენიერებაჲ თქუენი კუალად მოიგოთ მოღუაწებითა, მიემთხჳნეთ საწადელსა მას. რამეთი სიწმიდე არს და სიმართლე და ჭეშმარიტებაჲ ღმერთი, სიყუარული არს და სახიერებაჲ და სიწრფოებაჲ და ყოველივე კეთილი მის თანა არს და მის მიერ. უკუეთუ ესევითარნი ესე საქმენი მოიგნეთ თქუენ შორის, ღმერთი თქუენ შორის არს და იხილოთ აწვე დიდებაჲ მისი სულთა შინა თქუენთა".[234]

"ნეტარ იყვნენ მშჳდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ" (მთ.5,9). ღვთის სიკეთე და მოწყალება უდიდესია,–ამბობს წმ.იოანე ოქროპირი,–ადამიანს საკუთარ ძედ ღირს ჰყოფს: "არა ამას ხოლო ეძიებს ჩუენგან, რაჲთა არა ველალვოდეთ და ვჰბრძოდეთ ურთიერთას, არამედ რაჲთა სხუათაცა ურთიერთას მოლალეთა დავაგებდეთ და მშჳდობასა ვიქმოდეთ მათ შორის, რაჲთა ძედ ღმრთისა ვიწოდნეთ".[235] უფალი ამ დიდ პატივს მიაგებს მშვიდობისმყოფელ ადამიანს, რადგან ისინი ძე ღმერთს –ქრისტეს ემსგავსებიან, რომელმაც მშვიდობა მოიტანა ქვეყნიერებაზე "ჴორცითა თჳსითა" და "მტერობა დაჴსნა შორის ანგელოზთა და კაცთა".

"ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ" (მთ.5,10).წმ.მამა წერს, რომ პირველად მოციქულნი და წინასწარმეტყველნი დევნეს. დევნილნი სიმართლისათვის არიან ისინი,

---

[234] წმ.იოანე ოქროპირი, თარგმ. მათ. სახარებისაჲ, I, 252-253.
[235] იქვე, 254.

ვისაც გლახაკთა შეწყალებისათვის, სიწმიდისა და სიკეთისათვის, დევნიან და ავიწროვებენ,– "მათი არს სასუფეველი ცათაჲ".

"ნეტარ იყვნენ თქუენ, რაჟამს გყედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა"(მთ.5,11-12). ამ მუხლის კომენტირებისას წმ.იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ორივე მიზეზი უნდა გავითვალისწინოთ – როდესაც ქრისტეს გულისთვის სდევნიან და ლანძღავენ ადამიანს და თანაც უსამართლოდ, ამას თვლის უფალი სათნოებად.

ჩვენ ვისაუბრეთ 9 ნეტარებაზე – სათნოებებზე, რომელთა მოპოვებითაც ადამიანი ღვთის ხატებასა და მსგავსებას დაიმკვიდრებს და სრულოფს საკუთარ თავში.

ღვთაებრივი მშვენიერება და სიკეთე თავისი სრულყოფილი სახით იხილეს მოციქულებმა თაბორის მთაზე, როდესაც ქრისტემ ფერი იცვალა –გაბრწყინდა ღვთაებრივი მადლით და მშვენებით, თავისი ჭეშმარიტი სახით ეჩვენა მოციქულებს, როგორც განკაცებული ძე ღვთისა, “გამობრწყინდა მამულისა მის დიდებისა ბრწყინვალებითა”.[236] ფერისცვალების კომენტარებს ჩვენ შევეხეთ, როდესაც მოსეს უფალთან შეხვედრაზე, მისი პირის დიდებულებასა და მშვენიერებაზე ვიმსჯელეთ თეოდორე ჰარანელის ჰომილიის მიხედვით. წმ. იოანე ოქროპირის კალამს ეკუთვნის ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ცნობილი სიტყვები: “დღეს თაბორი ცათა მობაძავ იქმნების, რამეთუ ჰხედავს დიდებასა

[236] იოვანე ოქროპირი, ფერის-ცვალებისათჳს, სინური მრავალთავი, 193.

შემოქმედისა თჳსისასა, შეიმკვების ღრუბლითა ნათლისაჲთა და იხარებს ჴმითა მამისაჲთა”[237]. სახარებაში ფერისცვალების შესახებ ნათქვამია:”წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმა მისი, და აღიყვანა იგინი მთასა მაღალსა... და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი”(მთ.17,1-2). უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი ადგილია სახარებაში, სადაც გარეგნულ მშვენიერებაზეა ლაპარაკი. რატომ ადარებენ მოციქულები ქრისტეს პირისახეს მზეს? იმიტომ, როგორც წმ.იოანე ოქროპირი წერს, რომ ადამიანს მზეზე უბრწყინვალესი არაფერი უხილავს, დედამიწაზე ხილულთაგან ყველაზე ბრწყინვალე მზეა:”რომლისა ბრძანებითა აღმოჰჴდის მზე და უწინარეს მზისა იყო სახელი მისი. ვითარ-მე ესწორების ბრწყინვალებასა მისსა ბრწყინვალებაჲ მზისაჲ? არამედ ჩუენთჳს ესრჱთ დაიწერა, რამეთუ არარაჲ უხილავს ბუნებასა კაცთასა უბრწყინვალესი მზისა, რავდენ-იგი შემძლებელ არს გონებაჲ შეწყნარებად თუალით ხილვად, ეგოდენცა მოგუეთხრობვის”[238]. ქრისტეს მშვენიერება კი მზეზე უბრწყინვალესი იყო, რადგან თავად არის მზის მშვენების დამბადებელი. ამ მშვენების ხილვის გახანგრძლივება სურდა პეტრე მოციქულს, როდესაც უთხრა ქრისტეს:”უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ” (მთ.17,4), “ნანდვილვე კეთილ არს ყოფაჲ, სადა ღმრთის მეცნიერებაჲ ეწამების და ნათელი ღმრთეებისაჲ იხილვების”[239] –ამბობს წმ. იოანე ოქროპირი.

---

[237] იოვანე ოქროპირი, ფერის-ცვალებისათვის, სინური მრავალთავი 191.
[238] იოანე ოქროპირი, ტალავრობისათვის, კლარჯული მრავალთავი, 403.
[239] იოანე ოქროპირი, ფერისცვალებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, კლარჯ. მრავ.,392.

ჯვარცმა და აღდგომა ქრისტიანობისათვის არის კაცობრიობის გამოხსნა და სასუფეველში, ღვთის წიაღში ადამიანის დაბრუნება; ეს არის ძლევა სიკვდილისა და ბოროტებისა, ადამიანის ღმერთთან შერიგება, ადამინში ცოდვით შეურაცხყოფილი ხატებისა და მსგავსების აღდგენა, ღვთაებრივ მშვენიერებასთან და სიკეთესთან ადამიანის შერწყმა, "სრულად ღმერთსა შეერთება". ვ. ლოსკი ქრისტეს მიერ ადამიანის გამოხსნისა ადამიანის განღმრთობის საიდუმლოს ამგვარად ხსნის: "ღმერთი განკაცდა, რათა ადამიანი ღმერთ ყოფილიყო". ეს ღრმა სიტყვები, რომელიც ჩვენ პირველად გვხვდება წმ. ირინეოს ლიონელთან, შემდეგ იხსენიება წმ. ათანასე დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის შრომებშიც. შემდგომში ეკლესიის მამები და მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები მას იმეორებდნენ საუკუნეების მანძილზე, რათა აფორიზმული ფორმულით ქრისტიანობის მთავარი არსი გამოეხატათ: ღმერთის მიერ თავის დამდაბლება ჩვენი ადამიანური დაცემის უკანასკნელ ზღვარამდე, სიკვდილამდე – თავის დამდაბლება, რომელიც ადამიანებს გზას უხსნის აღმავლობისკენ, ქმნლების ღვთაებასთან შეერთების უსაზღვრო ჰორიზონტებისაკენ. ქრისტეს ღვთაებრივი პიროვნების დაღმავალი გზა (katavbasi~) შესაძლებელს ხდის ყველა ადამიანური პიროვნებისათვის აღმავალ გზას, ჩვენს (ajnavbasi~) სულიწმიდაში. საჭირო იყო ძე ღმერთის ნებაყოფლობითი თავის დამდაბლება, გამოსასყიდი კენოზისი (kevnwsi~), რათა დაცემულ ადამიანებს შესძლებოდათ შეესრულებინათ საკუთარი მოწოდება, მოწოდება ქმნილების განღმრთობისა (Qevwsi~) შეუქმნელი მადლის

ზემოქმედებით. ამ სახით, ქრისტეს გამომხსნელი ღვაწლი ან, ფართო გაგებით, სიტყვის (lovgo~) განხორციელება, უშუალოდ უკავშირდება აქ საბოლოო მიზანს, რომელიც ქმნილების წინაშე დგას, სახელდობრ – მისი შეერთება ღმერთთან. თუ ეს შეერთება განხორციელდა ღვთაებრივ სახეში ძე-ღმერთისა, რომელიც განკაცდა, მაშინ ეს უნდა განხორციელდეს თითოეულ ადამიანურ პიროვნებაში, თითოეული ჩვენგანი უნდა გახდეს ღმერთი მადლით, "საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა", როგორც პეტრე მოციქული ამბობს (2 პეტ.1,4)".[240]

ამ სიტყვების თანახმად და როგორც წმ. მოციქულები და წმ. მამები ამბობენ, ყოველმა ადამიანმა უნდა იტვირთოს ეს ჯვარი, რომელიც ქრისტემ იტვირთა და გაიაროს გზა ჯვარცმიდან აღდგომამდე, სხვაგვარად ადამიანი ღვთის ხატი და მსგავსი ვერ იქნება, ვერც ღვთაებრივ მადლს, მშვენიერებასა და სიკეთეს მოიპოვებს და თუ ოდესმე ჰქონდა – დაკარგავს. ამას მოწმობს იესო ქრისტეს სიტყვები სახარებიდან: "რომელმან არა აღიღოს ჯვარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს" (მთ.10,38). ვისაც ღმერთი თავის ღირსად არ თვლის, ის შეუძლებელია სიკეთისა და მშვენიერების ზიარი იყოს, რადგან წმ. გრიგოლ ნოსელის თქმით, "ძირი შუენიერებისა " არის უფალი.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ წმ. ბასილი კესარიელის კომენტარებს, რომელიც დიდ ხუთშაბათს, ჯვარცმის წინა დღეს ეხება და გეთსემანიის ბაღში ლოცვისას ქრისტეს მიერ წარმოთქმული სიტყვების– "მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე თანა-წარმჴედინ მე" (მთ.26,39)

[240] Лосский В., Богословие и Боговидение, изд. Свято-Владимирского Братства, Москва 2000, 273-274.

განმარტებაა. ეს არის უმშვენიერესი ჰომილია, სადაც ბასილი დიდი ქრისტეს სიტყვებს წარმოთქვამს და განმარტავს პირველ პირში, ლაპარაკობს ქრისტეს სახელით. მას მოჰყავს სიტყვები სახარებიდან:"ჴელმწიფებაჲ მაქუს დადებად სულისა ჩემისა და ჴელმწიფებაჲ მაქუს კუალად მოღებად იგი" (იო.10,17-18), რაც ნათელ ყოფს ქრისტეს ნებაყოფლობით წასვლას ჯვარცმასა და სიკვდილზე და ასევე მის ღვთაებრივ ხელმწიფებას და შესაძლებლობას ამ სიკვდილიდან აღდგომისა და კაცობრივ ბუნებაზე, ხორცის ხრწნილებაზე გამარჯვებისა, უხრჭნელად აღდგომისა საფლავიდან: "ეგრევე-სახედ ძალ-მიც, და-რაჲ-ჴსნედ ჴორცნი ჩემნი სიკუდილითა და აღდგინებად ცხორებითა. რამეთუ მე ვარ, რომელი ვიტყოდე: 'დაარღვიეთ ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშჱნო ეგე"[241] – წერს წმ.ბასილი.

ბასილი დიდის თქმით, "მამაო, უკუეთუ ჯერ არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე", ამ სიტყვებით ქრისტემ ეშმაკს აფიქრებინაა, რომ ვითარცა კაცს, სიკვდილისა ეშინოდა – "რაჲთა ესევითართაგან მდაბალთა სიტყუათავეგონო, ვითარცა კაცი მოშიში, რომელი ევლტინ სიკუდილსა".[242] ქრისტეს ჰმართებდა, როგორც ბრძენ მესათხევლეს მოენადირებინა ეშმაკი, რათა ჯოჯოხეთი შეემუსრა და სიკვდილი დაემარცხებინა, მან თავს იდო, "ხატი მონისა მიეღო"–საკუთარი სხეული მიწისთვის დაეთმო, რათა სიკვდილის ტყვეობაში მყოფი ადამიანი ჯოჯოხეთისაგან გამოეხსნა: "რაჟამს თევზის-მონადირემან შთააგდის

[241] ბასილი კესარია კაბადუკიელი, "მამაო, უკუეთუ ჯერ არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე", უდაბნოს მრავალთავი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1994, 196.
[242] იქვე, 196.

სამჭადური ზღუასა, ოდესმე შორად შეაგდის სამჭადური იგი, ოდესმე რეცა მოსტაცებნ მატლსა მას და გამოიზიდავნ. უკუეთუ ესრე არა ყვის, თევზი იგი არა მოჴდის სამჭადურსა მას. შეუმოსიეს სამჭადურსა მას ღმრთეებისა ჩემისასა მატლი ესე ჴორცი უფსკრულსა შინა ამის სოფლისასა. უკუეთუ არა მატლი იძრვოდის, რომელი ჯერ-არს მონადირებად, არა მოუჴდეს, აწ ჯერ-არს ჩემდა ვითარცა მატლისა ხატად ყოფად და სიტყუად, რამეთუ: "მე მატლ ვარ და არა კაც" (ფს.21,7), რაჲთა იგი მორბიოდეს მატლსა მას და სამჭადურითა შეიპყრას ჩემ მიერ, და აღესრულოს თქმული იგი იობის მიერ, ვითარმედ: "შეიპყრა ვეშაპი სამჭადურითა"[243].

ჯოჯოხეთმა შთანთქა ადამის ცოდვის გამო მამათმთავარნი და წინასწარმეტყველნი, ახლა კი ქრისტე უთმობს მას საკუთარ სხეულს – დამდაბლებულს ადამიანის სიყვარულით, რათა ღვთაებრივ ბუნებასთან შეერთებულმა მისმა სხეულმა ჯოჯოხეთი დაწვას – ღვთაებრივმა მადლმა უნდა დაამარცხოს ის, რასაც კაცობრიობა ვერ ერეოდა დასაბამიდან.

"შთამთქინ მე, ვითარცა კაცი, და მპოოს მე მუცელსა მისსა, ვითარცა ღმერთი რაჲ ვიქმოდი. "მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმჴედინ მე სასუმელი ესე!" შთათქინ ცომი ესე ჴორცთა ჩემთაჲ და მპოოს, ვითარცა ნაკუერცხალი უშრეტი ღმრთეებისა ჩემისაჲ, რომელი ძლიერად შესწუვიდეს მას, რამეთუ "ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა"[244] – განმარტავს ამ დიდებულ სიტყვებს წმ.ბასილი. ვ.ლოსკი წერდა ამის

[243] ბასილი კესარია კაბადუკიელი, "მამაო, უკუეთუ...", უდაბნოს მრავალთავი, 197.
[244] იქვე.

თაობაზე: “ქრისტეში სიკვდილი შედის ღვთაებაში და მასში იფერფლება, რადგან “იქ თავისთვის ადგილს ვერ პოულობს”.[245]

ღვთაების ცეცხლმა შემუსრა ჯოჯოხეთი, ქრისტეს მორჩილებამ მამა–ღმერთისადმი და ქმნილებისადმი სიყვარულის გამო სიკვდილამდე თავგანწირვამ დაამარცხა ადამის მიერ შემოქმედისადმი ურჩობით მოპოვებული სიკვდილი.

“რაჟამს შთამთქას მე და იხილნეს კლდენი განხეთქილნი და სამარენი აღებულნი და მკუდარნი აღდგომილნი და თჳთ იგიცა გასთქდეს”.[246] ადამის ცოდვამ ადამიანს უკვდავება ტანჯვად უქცია, რადგან ფიზიკური სიკვდილის შემდეგადამიანის სული ჯოჯოხეთში მიდიოდა. ქრისტეს აღდგომამ ადამიანს უკვდავება სიხარულად უქცია, რადგან ღვთის წიაღში –სასუფეველში დააბრუნა ადამიანის უკვდავი სული, დააბრუნა ღვთაებრივ სიკეთესა და მშვენიერებაში, როგორც ხატი და მსგავსი ღვთისა, რისთვისაც ის მოწოდებული იყო შესაქმიდან.

ანტონ სუროჟელი წერს, რომ ქრისტიანობის მიზანია აღდგომილ ქრისტესთან შეხვედრა. ყველა მოვლენა–ბზობა, ჯვარცმა და ა.შ. მოხდა კონკრეტულ დღეს – განსაზღვრულ დღეს გარდაიცვალა ქრისტე ჯვარზე და ეს დღე წარსულს ეკეთვნის , როგორც ისტორიული ფაქტი, “მაგრამ აღდგომილი ქრისტე მარადიულად ცოცხლობს მამის დიდებაში, ის ეკუთვნის ყოველი დღის ისტორიას, ყოველ წუთს იმიტომ, რომ მისი აღთქმის თანახმად, ის, გაცოცხლებული, ჩვენთანაა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა და ვიდრე უკუნისამდე. ამ თვალსაზრისით,

[245] Лосский В.Н., Очерк мистического богословия ..., 1991, 286.
[246] ბასილი კესარიელი, “მამაო, უკუეთუ...”, უდაბნოს მრავალთავი, 198.

ქრისტიანული გამოცდილება თავისი არსით დაკავშირებულია აღდგომის მოვლენასთან, რადგან ეს არის ერთადერთი სახარებისეული მოვლენა, რომელიც ყოველი ჩვენგანის პირადი გამოცდილების ნაწილად შეიძლება იქცეს"[247]. ანტონ სუროჟელს მოჰყავს ამის ნათელსაყოფად სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის სიტყვები: "როგორ შეუძლია მას, ვისაც არ შეუცვნია აღდგომა ამ ცხოვრებაში, იმედოვნებდეს აღმოაჩინოს ის და დატკბეს მისით სიკვდილის შემდეგ?" და დასძენს– "მხოლოდ აღდგომას და მარადიული სიცოცხლის გამოცდილებას ძალუძს სხეულის სიკვდილი აქციოს სიზმრად, თავად სიკვდილი კი სიცოცხლის კარიბჭედ"[248].

ამრიგად, წმ. მამათა შრომების მიხედვით ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება არის მაგალითი კაცობრიობისათვის ღვთისათვის სათნო ცხოვრებისა და ღვთაებრივ მშვენიერებასა და სიკეთეში არსებობისა. ქრისტეს შობით დედამიწაზე ღვთაებრივი ბუნების ადამიანი იშვა და მადლი აღდგა, მისი ნათლისღებით წყალი იკურთხა, მიწაში დაფლვით – მიწა იკურთხა და ზეცად ამაღლებით ჰაერი განიწმინდა – ანგელოზებსა და ადამიანებს შორის ერთობა აღდგა. ნათლისღებით ხდება ადამიანის გათავისუფლება პირველქმნილი ცოდვისგან, ადამიანის შემდგომი სრულყოფა ხდება სათნოებათა კიბეზე ასვლით, ქველმოქმედებით, ღვთისათვის სათნო ცხოვრებით, ღვთისადმი მორჩილებით, რაც ცხადდება ძველი აღთქმის 10 მცნებასთან ერთად ახალი აღთქმის 9 ნეტარებაში. ამ სათნოებათაგან ყველაზე მაღალი საფეხურია სიყვარული

[247] Антоний митрополит Сурожский, О жизни христианской, Терра-книжный клуб, Москва 433-34.
[248] Антоний митр. Сурожский, О жизни христианской, 433-34.

ღვთისა და მოყვასისადმი, ისე როგორც ქრისტემ შეიყვარა კაცობრიობა, როდესაც სიცოცხლე გაწირა მისი ცხონებისათვის.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ წმ.წერილის კომენტარების საფუძველზე შეგვესწავლა სიკეთისა და მშვენიერების ცნება წმ. მამებთან. ღმერთი არის დასაბამი და დასასრული ყოველივესი, რადგან ყოველმა სიკეთემ – ადამიანმა და ყველა კეთილმა ქმნილებამ ღმერთთან უნდა მოიყაროს თავი. ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობა იკავებს ცენტრალურ ადგილს წმ.მამათა შრომებში, რადგან მათი ცხოვრების მიზანი ღმერთია და ამავე დროს მათი, როგორც მოძღვრების –ეკლესიის მამების ვალია ადამიანებს ღვთისაკენ სავალი გზა ასწავლონ, დაეხმარონ ჭეშმარიტების დანახვაში, რადგან წმ.წერილის მიხედვით ჭეშმარიტება ღმერთია (“მე ვარ გზაჲ, და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და მე ვარ ცხორებაჲ”, იო.14,6).

წმ.მამათა შრომების მიხედვით, ხილულ და უხილავ სამყაროს განაგებს ყოველივეს შემოქმედი წმიდა სამება– მამა, ძე და სული წმიდა, ყოვლად სრული, ყოვლად კეთილი, მშვენიერი და ყველანაირი სიკეთის წყარო. მის გარეშე სიკეთე და სიცოცხლე არ არსებობს. ღმერთმა ყოველივე კეთილად დაჰბადა, ბოროტებას დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, ბოროტება სიკეთის კლებაა. ის გაჩნდა ანგელოზის ურჩობით, როდესაც მან ღმერთის გატოლება განიზრახა, დაკარგა სიკეთე და ამით გახდა ბოროტი– სიკეთის უქონლობით. ყველანაირი მშვენებით შემკული დედამიწის მეუფედ ღმერთმა დაადგინა თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი. მას როგორც ღვთის ხატად შექმნილს, დედამიწაზე არსებული ყველა ქმნილებისაგან განსხვავებით, ღმერთმა უკვდავი სული და თავისუფალი

ნება მიანიჭა. დედამიწაზე ყველა ქმნილება მოწოდებულია ადამიანს ემსახუროს, კეთილი საქმეების შესრულებაში დაეხმაროს, ურთიერთარსებობას შეუწყოს ხელი. ადამიანი კი, თავის მხრივ, მოწოდებულია ღმერთს ემსახუროს, მისდამი მორჩილებით[249] და სათნოებებით სრულყოს თავისი ცხოვრება, რათა დაუახლოვდეს "შუენიერებასა შინა ძირსა მას, რომელსა იგი მიემსგავსა"[250]– უფალს. ადამისა და ევას ურჩობით სამყაროში წესრიგი დაირღვა: ადამიანმა დაკარგა სამოთხე, სიკვდილი შეიძინა, მისი, როგორც დედამიწის ბატონ-პატრონის დაცემით, ყველა ქმნილება დაეცა, სიკეთის წარმმართველმა შესცოდა და დედამიწა სამოთხიდან განდევნის ადგილად იქცა, დედამიწის ქმნილებებს შორის დაირღვა ღვთაებრივი ურთიერთკავშირი, რომელიც სიკეთესა და მშვენიერებაზე იყო დამყარებული, დაიწყო ბრძოლა არსებობისთვის.

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ ადამიანს საკუთარი ძალით ცოდვის გამოსყიდვა და სასუფევლის დაბრუნება არ შეეძლო. მისია, რომელიც ადამს უნდა განეხორციელებინა – წინამძღოლობა გაეწია ყველა ქმნილებისათვის დედამიწაზე, იტვირთა განკაცებულმა ღმერთმა, ძე ღვთისამ – იესო ქრისტემ, რომელმაც დაიმდაბლა თავი კაცობრიობის გამოსახსნელად. ქრისტეს შობამ კაცობრიობას გაუხსნა გზა ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერებისაკენ – გზა ღმერთისკენ. ნათლისღების

[249] ადამიანი არის ქმნილების გვირგვინი, მაგრამ მას ევალება ღმერთის მორჩილება, რადგან არის ქმნილება და როგორც ქმნილებას სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი ღვთისგან ეძლევა. ადამიანი წინასწარ ვერ განჭვრეტს მის ქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს და, მით უმეტეს, ვერ განჭვრეტს სამყაროს წესრიგს, რომელშიც ის არსებობს. ერთადერთი გზა ადამიანისათვის ბოროტებისგან თავის დაცვისა არის ღმერთის მორჩილება, რომელიც არის არსებობა სიკეთეში, ამ სიკეთის მოკლება არის ბოროტება.

[250] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 180, 10

მეშვეობით ადამიანი თავისუფლდება პირველქმნილი ცოდვისაგან, ე.ი. ხდება ისეთი, როგორიც ის იყო შესაქმისას და ხელახლა ეძლევა შესაძლებლობა ღმერთთან დამკვიდრებისა. ადამიანის სრულყოფა და მის მიერ ხატებისა და მსგავსების დამკვიდრება ხდება იგივე გზით – სათნოებებით, როგორც ევალებოდათ ადამსა და ევას, რადგან ღვთის განგება ადამიანზე არ შეცვლილა. ადამიანს აქვს ერთადერთი საშუალება ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების ზიარებისა – ეს არის ღვთისათვის სათნო ცხოვრება, რაც ახალ აღთქმაში ძველი აღთქმის 10 მცნებასთან ერთად გაცხადებულია 9 ნეტარებაში. ადამიანი მოწოდებულია ქრისტეს მსგავსად ბოლომდე, სიკვდილამდე თავგანწირვით დაემორჩილოს ღმერთს,[251] რათა ბოლომდე უარყოს საკუთარ თავში ცოდვისადმი მიდრეკილება. მან უნდა დაიმკვიდროს საუკუნო სიცოცხლე ღმერთში, რადგან სიცოცხლეს ღმერთი იძლევა და ღმერთის გარეშე საუკუნო სიცოცხლე ტანჯვაა, როგორც ეს კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო ქრისტეს მოსვლამდე. ქრისტეს ჯვარცმითა და სიკვდილით ხდება კაცობრიობის გამოხსნა ჯოჯოხეთიდან და სასუფეველი იხნება მათთვის, ვინც ქრისტეს მსგავსად იცხოვრებს, თავისი ძალისამებრ. ეს არის ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების მოპოვების გზა, რომელსაც წმ.მამები გვისახავენ.

რაც შეეხება გარეგნულ, ფიზიკურ მშვენიერებას, წმ.მამათა შრომებში განსხვავებული აზრია გამოთქმული საერო სამეცნიერო თუ მხატვრული

[251] იოანე ოქროპირი, განმარტება კათოლიკეთაᲲ, პეტრე მოციქულისა პირველი წიგნი კათოლიკე, საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი 2000, 380.

ლიტერატურისაგან. ქრისტიანული მოძღვრებით, ღმერთმა ყოველივე კეთილად დაჰბადა და იგულისხმება, რომ ყველა ქმნილება მშვენიერია, ადამიანი კი მით უმეტეს – რადგან ღვთის ხატად დაბადებულს გარეგნობაც ისეთი მიეცა, როგორიც მის მთავრობას შეეფერება. მაგრამ რამდენადაც ადამიანში საუკეთესო ნაწილია უკვდავი სული და გონება – ღვთაებრივ ხატს მიმსგავსებული ("კეთილი იგი არათუ გუამი არს, არამედ სრულებაჲ კეთილთაჲ"[252]), სხეულით კი ადამიანი მიწას უკავშირდება, მიწისაგანაა, ამიტომ სხეული უნდა მართოს გონებამ. წინააღმდეგ შემთხვევაშიადამიანი ხატი ვეღარ იქნება და ემსგავსება პირუტყვს, რადგან ის ღვთაებრივი ნაწილი დაქვეითდება მასში, რაც მას პირუტყვისაგან განასხვავებს და დაწინაურდება ის, რითაც ის ცხოველს და, საერთოდ ნივთიერ სამყაროს ენათესავება. ადამიანი ამ შემთხვევაში კარგავს ღვთის ხატს მიმსგავსებულ გონებას და კეთილ ქცევას.

ამიტომ ფიზიკურ მშვენიერებაზე წმ.მამები ყურადღებას არ ამახვილებენ, ყველა ღმერთმა დაჰბადა და ყველა მშვენიერია, მთავარია სულიერი სიკეთე, ეს სიკეთე ვნებებისაგან გათავისუფლებულ სხეულსაც განსაკუთრებულ, ღვთისათვის სათნო მშვენიერებას ანიჭებს. ჩვენ განვიხილეთ წმ.იპოლიტე რომაელის კომენტარები ძვ.აღთქმისა, სადაც ის შეახსენებდა ადამიანებს, რომ ფიზიკური მშვენიერება ხშირად საცდურად და დაბრკოლებად ექცევა ადამიანს ღვთისაკენ სავალ გზაზე და ამის მაგალითებს იხსენებდა წინასწარმეტყველთა ცხოვრებიდან. ახალი აღთქმის კომენტარების განხილვისას კი აღვნიშნეთ, რომ ახალ აღთქმაში

[252] გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათვის, 180,10.

ფიზიკური სილამაზე ნახსენებია მაშინ, როდესაც ქრისტე გაბრწყინდება თაბორის მთაზე და თავისი ღვთაებრივი სილამაზით ეჩვენება მოციქულებს. ამით ნათქვამია, რომ სრულყოფილი ფიზიკური მშვენიერება მხოლოდ ღვთისათვის სათნო ცხოვრებით ენიჭება ადამიანს და მადლის ნაყოფია. ამის მაგალითია წმინდანთა ცხოვრება, რომელსაც ჩვენ აგიოგრაფიიდან ვეცნობით. წმ.ეკატერინე, კახეთის დედოფალი დიდმოწამე ქეთევანი, წმ.რიფსიმე ("წმ.ნინოს ცხოვრებიდან") არა მარტო სილამაზეს, სიცოცხლეს სწირავენ ქრისტეს ერთგულებისთვის და ღვთისგან დიდების გვირგვინს ღებულობენ სანაცვლოდ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში არის ერთი ეპიზოდი, სადაც აღწერილია მოხუცებული გრიგოლ ხანძთელის გარეგნობა, როდესაც ის მიდის ჯავახეთში სასულიერო პირთა შეკრებაზე: "და მეყსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკჳრველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ პატიოსანთა თვალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი დიდებულებაჲ მისი..."[253]. ვფიქრობთ, ამ ციტატიდან ნათლად ჩანს წმ.მამათა დამოკიდებულება მშვენიერებისადმი. ქრისტიანობისთვის მშვენიერება ღვთის მადლით გაბრწყინებაა, რომელიც თუნდაც მოხუცებულ და დაუძლურებულ სხეულსაც ღვთის დიდებით მოსავს.

[253] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, I, თბილისი 1982, 274.

წმ.დიონისე არეოპაგელი წერს:"კეთილისა მიერ შეიერთა ყოველი და იგი მთავრობს ყოველთა კეთილთა ზედა, ვითარცა მიზეზი და მძრველი შემოქმედებითი და შემომკრებელი ყოვლისაჲვე თჳსისა სიკეთისა ტრფიალებითა და დასასრული ყოველთაჲ და საყუარელი, ვითარცა სრულებითი მიზეზი (რამეთუ კეთილისა ძლით შეიქმნა ყოველი) და სახის შემოღებითი. რამეთუ მას განეკუთვნის ყოველი, ვინაჲცა იგივე არს და ერთ სახიერისათჳს კეთილ სახელ-დებაჲცა. რამეთუ კეთილისა და სახიერისა მიმართ სურის ყოველთა ყოველსავე ზედა მიზეზსა და არარაჲ არს არსთაგანი, რომელი არა მიიღებს რასმე კეთილისა და სახიერებისაგან"[254]. ამ თარგმანით ძვ.ქართული მნიშვნელობით "კეთილი" ნიშნავს "მშვენიერს", ხოლო "სახიერი" – "კეთილს" ახ.ქართულად. როგორც ვხედავთ, წმ.დიონისე წერს, რომ სიკეთე და მშვენიერება იგივეობრივია, რადგან ყოველივე ღვთისგან იღებს დასაბამს, ყოველსავე ღმერთი აერთიანებს და ყოველივეს დასასრული ღმერთია, ის არის მიზეზი – როგორც დასაბამი, წმ.მაქსიმე აღმსარებლის თქმით, ასევე შუალედი, როგორც მაკავშირებელი სამყაროსი– მყოფობაში ხანგრძლივობის მიმცემი და დასასრული – როგორც ყოველივე არსებულის შემომსაზღვრელი საკუთარი სურვილისამებრ, რადგან ყოველივეს განმგებელი ღმერთია.[255] იგი ქმნის ყოველივეს მშვენიერს და კეთილს საკუთარი თავისთვის ,ე.ი. "მადლისა და ნეტარებისთვის...

[254] პეტრე იბერიელი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1961.
[255] Dionusio~ Areopagith~, Peri Qeiwn Onomatwn წიგნიდან Дионисий Ареопагит сочинения, Максим Исповедник толкования, ძველბერძნულ-რუსული პარალელური ტექსტი, Алетея, Санкт-Петербург 2003, 315.

მშვენიერებისთვის, რათა ყოველივე მისკენ ისწრაფვოდეს და მასში გაერთიანდეს, შინაგანად ურთიერთდაკავშირებული”.[256]

ჩვენი კვლევა გვინდა დავასრულოთ წმ.დიონისე არეოპაგელის აფორიზმით: “სიკეთე და მშვენიერება იგივეობრივია, ყველა მიზეზით ყოველივე კეთილისა და მშვენიერისკენ მიისწრაფის, და არ არსებობს მყოფთაგან არაფერი, რაც არ იქნებოდა ნაზიარები მშვენიერებასა და სიკეთესთან”[257].

სახარებაში მთელი წმიდა წერილი– ძველი და ახალი აღთქმა დაყვანილია ორ მცნებაზე, ესაა სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვასისადმი. ჩვენც ჩვენი თემის არსი შეგვიძლია ერთი წინადადებით გამოვხატოთ – ადამიანის სიკეთე და მშვენიერება არის მისი ხატება და მსგავსება ღვთისადმი, რაც მეტად ემსგავსება ადამიანი ღმერთს, მით მეტია მასში სიკეთეცა და მშვენიერებაც, რომელიც ერთი და იგივეა, რადგან ღმერთში ერთიანდება. ასეთია წმ. მამათა აზრი სიკეთისა და მშვენიერების შესახებ.

---

[256] Мейендорф, Введение в святоотеческое богословие, (конспекты лекций). пер. с английского Л.Волконской, изд.2, исправленное, Нью-Йорк 1985, 451.

[257] Dionusio~ Areopagith~, Peri Qeiwn Onomatwn, Санкт-Петербург 2003, 315, -თარგმანი ძველი ბერძნულიდან საკუთარია.

გამოყენებული ლიტერატურა

შემოკლებანი

EPE Ellene~ Patere~ th~ Ekklhsia~

ატროლოგია რაეცა

ბერძენი, რომაელი და ქართველი ავტორები

(ტექსტები, თარგმანები, კომენტარები)

1.Aurelius Augustinus, De Trinitate, Felix Mainer Verlag, Hamburg 1990.

2.Sancti Aureli Augustini, De Genesi ad litteram libri duodecim, Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum, Pragae, Vindobonae, Lipsiae, MDCCCLXXXXIIII.

3.Basile de Cesarée, Homélies sur l'hexaemeron, Texte grec, introduction et traduction de Stanislas Gift, Gerf, Paris 1968.

4.Biblia Sacra Vulgata, Stuttgart 1994.

5.Grhgoriou Nussh~, Ermeneia sto asma asmatwn, "Grhgorio~ o Palama~", Qhssalonikh 1989.

6.Dionusio~ Areopagith~, Peri Qiwn onomatwn, Дионисий Ареопагит сочинения, Максим Исповедник толкования, ძველბერძნულ-რუსული პარალელური ტექსტი, «Алетея», Санкт-Петербург 2003.

7.H Kainh Diaqhkh, Swthr, Aqhnai 1988.

8.H Palaia Diaqhkh (Septuaginta), Deutsce Bibelgesellchaft, Stuttgart 1979.

9.Tou en agio~ patro~ umwn Gregoriou episkopou Nussh~, Apologhtiko~ pro~ Petron ton adelfon autou, Peri th~ Exahmerou, PG 44.

10. Tou en agio~ patro~ umwn Gregoriou episkopou Nussh~, Peri kataskeuh~ anqrwpou, PG 44.

611.აბბა თალასე, სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ,, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989.

12.აბბა დოროთე, სულთა სასარგებლო სწავლანი და ეპისტოლენი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი 1991.

13.ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 1995.

14.ბასილი კესარია კაბადუკიელი, "მამაო, უკუეთუ ჯერ არს თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე", უდაბნოს მრავალთავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1994.

15.გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), აღვსებისათვის და აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, Corpus Christianorum, series graeca 36, Corpus Nazianzenum 5, or.XLV, Turnhout, Brepols&Publishers, Leuven, University Press 1998.

16.გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), ერისა მიმართ ნანძიანძორისა, რომელნი აიძულებდეს მოძღურებად, და ივლიანეს მიმართ მეხარკისა, რომელი-იგი მოყუას მისა ყოფილიყო სასწავლოსა, იკითხვების ესე საკითხავი წინა დღით ქრისტეს შობისა, კირიელეისონ! Corpus Christianorum, series graeca 42, Corpus Nazianzenum 9, Turnhout, Brepols&Publishers, Leuven, University Press 2000.

17.გრიგოლ ნეოკესარიელი ეპისკოპოსი, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა (პირველი), სინური მრავალთავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1959.

18.გრიგოლ ნეოკესარიელი ეპისკოპოსი, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა, მეორჱ, სინური მრავალთავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1959.

219.გრიგოლ ნოსელი, საკითხავი წმიდისა სამებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ.კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი 2003.

20.გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989.

21.გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, საბჭოთა საქართველო, თბილისი 1981.

22.ეპიფანე კვიპრელი, თუალთაჲ, შატბერდის კრებული, მეცნიერება, თბილისი 1979.

23.იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 2000.

24.იოანე სინა მთის მამასახლისი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, ზუგდიდი 1997.

25.იოანე ოქროპირი, განმარტება მათეს სახარებისა, ტ.I, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი, თბილისი 1996.

26.იოანე ოქროპირი, განმარტება მათეს სახარებისა, ტ.II, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი, თბილისი 1996

27.იოანე ოქროპირი, თარგმანება იოანეს სახარებისა, ტ.I, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი, თბილისი 1993.

28.იოანე ოქროპირი, თარგმანება იოანეს სახარებისა, ტ.II, საქ. ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი, თბილისი 1993.

29.იოანე ოქროპირი, ოქროს წყარო, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი 1990.

30.იოანე ოქროპირი, პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვათა წმიდათა მამათა თხზულებებიდან,

31.იოანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან გამოკრებული სამოციქულოს განმარტება, I, საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი 2000.

32.იოანე ოქროპირი, რაჟამს ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მთასა წმიდასა თაბორს, კლარჯული მრავალთავი, თბილისი

33.იპოლიტე რომაელი, განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა, შატბერდის კრებული, მეცნიერება, თბილისი 1979.

34.იპოლიტე რომაელი, სახჱ აღთქუმისაჲ, შატბერდის კრებული, მეცნიერება, თბილისი, 1979.

35.კირილე ალექსანდრიელი, ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე, “ნობენე”, თბილისი 2004.

36.მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ.დოჩანაშვილმა, მეცნიერება, თბილისი 1981.

37.მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ.დოჩანაშვილმა, მეცნიერება, თბილისი 1983.

38.მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე.დოჩანაშვილმა, მეცნიერება, თბილისი 1985.

39. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), თსუ გამომცემლობა, თბილისი 1961.

40.პლატონი, ნადიმი, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964.

"ნათლისმცემელი", თბილისი, 2003.

41.უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის" X-XIIIსს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა , გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი 1964.

42.ფსალმუნთა განმარტება, ტ.I უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნ.დობორჯგინიძემ, რედ.მზექალა შანიძე, თბილისი 1996.

43.ძველი ქართული ენის ძეგლები, მამათა სწავლანი X–XIს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი.აბულაძემ ა.შანიძის რედაქციით, თბილისი 1955.

44.წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, მეცნიერება, თბილისი 1989.

45.წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, II, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, მეცნიერება, თბილისი 1990.

46.Блаженный Августин, Об истинной религии, Теологический трактат (О книге бытия), Минск, 1999.

სამეცნიერო ნაშრომები

47.კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი 1951.

48.თ.კუკავა, ესთეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1985.

49.შმემანი ა., დიდი მარხვა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 200550.წერეთელი სავლე, ანტიკური ფილოსოფია, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1968.

51.ჭელიძე ე., კომენტარები გრიგოლ ნოსელის თხზულებისათვის "პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის", საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989.

52.ჭელიძე ე., ადამიანი –ხატი პირმშოხატისა, ჟურნალ გზა სამეუფოს" დაართი 1, თბილისი 1995.

53.Александр Мень, Шестоднев, ihtik.lib.ru/philosoph.
54.Антоний митрополит Сурожский, "Мужщину и Женщину сотворил их...", http://www.pagez.ru/olb/103.php.
55.Антоний митрополит Сурожский, О жизни христианской, Терра-книжный клуб, Москва 2004.
56.Аристотель, Большая этика, Сочинения в четырех томах, т.4, "Мысль", Москва 1984.
57.Архиерископ Иоанн Сан-францисский (Шаховской), Философия собственности, Глава из книги «Листья древа» («опыт православного духоведения»), Нью-Йорк 1964, http://pagez/ru/olb/130.php.
58.Епископ Каллист Диоклийский, Святая Тройца –парадигма человеческой личности, Доклад на международной богословско-философской конференции «Пресвитая Троица». Москва, 6-9 июня 2001г, перевод с английского А.Кырлежева, Журнал «Альфа и Омега» №2(32).Москва2002,с.110-123, http://www/pagez/ru/olb/117.php.
59.Лосев А.Ф. История античной эстетики, Софисты, Сократ, Платон, Искусство, Москва 1969.
60.Лосев А.Ф. История античной эстетики, Аристотель и поздняя классика , Искусство, Москва 1975.
61.Лопухин А.П., Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхаго и Новаго Завьта, т.I, Петербург 1904, Инст. перевода. Библии, Стокгольм 1987.
62.Лопухин А.П., Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхаго и Новаго Завьта, т.II, Пет.1907, Сток. 1987.
63. Лопухин А.П., Толковая Библия или комментарий на все книги Св. Писания Ветхаго и Новаго Завьта, т.III, Пет.1911, Сток.1987.

64.Лосский В., Богословие и Боговидение, изд.Свято-Владимировского братства, Москва 2000.

65.Лосский В., Очерк мистического богословия восточной церкви, Догматическое богословие, «СЭИ», М. 1991.

66.Мейендорф И., Введение в святооческое богословие, (конспекты лекций), пер. с английского Л.Волконской, изд. 2, исправленное, Нью-Йорк 1985.

67. Панайотис Нелас, Кожаные ризы, ч.I, http://www.pagez/ru/olb/066.php.

68. Панайотис Нелас, кожаные ризы, ч.II, http://www.pagez/ru/olb/067.php.

69. Панайотис Нелас, Образ Божий, http://www.pagez/ru/olb/062.php.

70.Св. Димитрий Ростовский, Жития Святых, т.I, Москва 1991.

71.Святитель Николай Сербский (Велимирович), Райская пирамида. Толкование заповедей блаженств, http://www.pagez/ru/olb/247.php.

72.Флоровский Г., Восточные отцы IV века, YMCA-PRESS, Paris 1990.

73. Флоровский Г., Восточные отцы церкви, Москва 2003.

74.Bouteneff Peter C., Essential or Existential:the problem of the body in the anthropology of St.Gregory of Nyssa, Gregory of Nyssa: Homilies on the Beatitudes, ed. by Hubertus R.Drobner and Albert Viciano, Brill. Leiden. Boston. Köln, 2001.

75.Risch Franz Xaver, Gregor von Nyssa über das Sechstageverk (Bibliotek der Griechischen Literatur, B.49), Anton Hiersmann/ Stuttgart 1999.

ლექსიკონები, ენციკლოპედიები

76.აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), “მეცნიერება”, თბილისი 1973.

77.ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ.I, თბილისი 2002.

78.ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ.II, თბილისი 2003.

79.იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა.შანიძის რედაქციით, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1986.

80.Библейская энциклопедия, труд и издание архимандрита Никифора (Москва 1891), репринтное изд. «Терра», Москва 1990.

81.Вейсманн, Греческо-Русский словарь, Москва 1991.

82.Дворецкий И.Х., Древнегреческо-Русский словарь, т.I-II, Москва 1958.

83.Дворецкий И.Х. Латинско-Русский словарь, Москва 1986.

84.Лопухин А.П., Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхаго и Новаго Завъта, т.I, (Петербург 1904), Стокгольм 1987.

85.Лопухин А.П., Толковая Библия, т.II, (Петербург 1907), Стокгольм 1987.

86.Лопухин А.П., Толковая Библия, т.III, (Петербург 1911), Стокгольм 1987.

87.Мюллер В.К., Англо-Русский словарь, Москва 1982.

88.Новый Завет Господа Нашего Иисуса Христа, Симфония к Новому Завету, Bruxelles, Milano 1990.

89.Полная симфония на канонические книги Священного Писания, Санкт-Петербург 2002.

90.Философский энциклопедический словарь, Москва 1989.

91.Bauer W.,Wörterbuch zum neuen Testament, Verlag Alfred Töpelmann, Berlin 1937.

92.Deutsch-Russisch Wörterbuch, Ruzička, Leipzig 1980.

93.Liddel, H.G.-Scott,Greek-English Lexicon, Oxford 1961.

94.Philosophenlexikon, Dietz Verlag, Berlin 1987.

95.The Oxford Dictionary of Byzantium, vol.I-III, Oxford University Press, New York, Oxford 1991.